"ცალკე არავისთან ვაჭრობას არ ვაპირებთ, მათ შორის - არც რუსეთთან!" - აცხადებს ამერიკელი სენატორი A8

ვლადიმირ ლუკინი: „პუტინმა მოსკოვში ნატო-ს ოცეულის შეხვედრა უნდა მოიწვიოს„ A8

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 12 თებერვალი, 2003 წელი. №41 (253)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ნატო-მდე დარჩენილი გზა მცირდება

*მიუნხენიდან დაბრუნებული ქართული დელეგაცია აშკარად კმაყოფილია. მისი წევრები იმ პერსპექტივებზე საუბრობენ, რომელიც ამ კონფერენციის მსვლელობისას გამოიკვეთა.* ***"ნატოსაკენ სავალი გზისა და დროის შემცირების რეალური შანსი, აფხაზეთის დაბრუნების საქმეში მეგობარი სახელმწიფოების მხარდაჭერა, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შექმნაში "მარშალის ცენტრის" ექსპერტთა დახმარება",*** *– ეს ის სასიამოვნო "ბარგია", რომლითაც კონფერენციის მონაწილეები სამშობლოში ბრუნდებიან.*

A2

## ეკონომიკა

### საკონსტიტუციო სასამართლომ მეანაბრეების 40-მილიარდიანი საქმე მიიბარა

*ხელისუფლების ინიციატივა - შიდა ვალები ბიუჯეტიდან გაისტუმროს - ყოვლად დაუშვებელია. "რა შუაშია ბიუჯეტი, რომელსაც ხალხი, ანუ ჩვენ ვქმნით გადასახადებით. გამოდის, რომ ჩვენ ისევ ჩვენსავე ხარჯზე გადაგვიხდიან?*

A4

## უცხოეთი

### ლონდონის დასაცავად არმია გამოვიდა

*სკოტლანდ იარდის ცნობით, ლონდონში არმიის დანაყოფები იქნა გამოყვანილი, რათა დედაქალაქზე ალ-ქაიდას შესაძლო დარტყმები თავიდან აიცილონ.*

A5

## საზოგადოება

### სანიტარული ინსპექცია გარე ვაჭრობას შემცირებული ძალებით შეეჭიდება

*თბილისის მერიამ გაზაფხულ-ზაფხულისთვის მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზრუნვა თებერვლიდანვე დაიწყო. ქალაქის ხელმძღვანელობის ასეთი წინდახედულება მისასალმებელი იქნებოდა, უკვე ღიმილის მომგვრელი რომ არ იყოს. ასეთ დავალებებს მერია, თითქმის, ყოველ კვირას იძლევა, გარე ვაჭრობის ადგილებს კი ბევრი არაფერი ემჩნევა.*

A6

## სამართალი

### მკვლელობაში ეჭვმიტანილი 155 პირი თავს არხეინად გრძნობს

*გასულ წელს 2001 წელთან შედარებით დედაქალაქში განზრახ მკვლელობათა რაოდენობა 13 ერთეულით გაიზარდა. ოფიციალური მონაცემებით, მკვლელობის მცდელობის რაოდენობაც გაზრდილია. სულ თბილისში რეგისტრირებულია 77 განზრახ მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის 94 ფაქტი.*

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 6 |
| ქუთაისი | 9 |
| ბათუმი | 10 |
| სოხუმი | 7 |
| ფოთი | 9 |
| თელავი | 4 |
| ზუგდიდი | 9 |
| გორი | 2 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1900 |
| ევრო | 2.3687 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5730 |
| რუბლი | 0.0688 |

# ბანანის რესპუბლიკა



საქართველოს ჰიმნის დამთავრებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ...

*...ბანანის რესპუბლიკა. მიმდინარეობს პარლამენტის სხდომა. ორი დაპირისპირებული კლანის წარმომადგენელი კამათიდან ურთიერთშეურაცხყოფაზე გადადის და ერთმანეთზე საცემად იწევს. დარბაზში სრული ქაოსია. სპიკერი სხდომას ტოვებს. პარლამენტში მყოფი შინაგან საქმეთა მინისტრი და გენერალური პროკურორი დაბნეულები არიან და არ იციან, რა მოიმოქმედონ. სხდომათა დარბაზში შემოდიან შეიარაღებული პირები - ცალკეულ დეპუტატთა პირადი დაცვის წევრები. დაპირისპირება თანდათან პარლამენტის შენობიდან ქუჩაში გადადის. კონფლიქტში მყოფი კლანების მხარდამჭერები მოწინააღმდეგეთა ოფისისკენ მიიწევენ და ანგარიშსწორებით იმუქრებიან. სისხლისმღვრელ შეტაკებამდე ერთი ნაბიჯიღა რჩება...*

გიორგი ასანიშვილი

ამ შესავალმა, ალბათ, გაგახსენათ რომელიმე მძაფრსიუჟეტიანი პოლიტიკური თრილერი, რომლებიც ჰოლივუდში მრავლად გადაუღიათ და სცენარად XX საუკუნის 60-70-იანი წლების რომელიმე ლათინურამერიკული ქვეყნის სინამდვილეა აღებული. მაგრამ ნუ გაოცდებით, თუ დღეს ან ხვალ ანალოგიურ კადრებს მსოფლიოს რომელიმე წამყვანი ელექტრომედიის ახალ ამბებში იხილავთ და ეკრანის კუთხეში წააწყდებით წარწერას: **"საქართველო, თბილისი, პარლამენტის შენობა, 11 თებერვალი, ადგილობრივი დროით 13 საათი, 2003 წელი. No Comment".**

გაგრძელება A3 გვერდზე

## აურზაური "იუპიტერის" გამო

### რომელშიც სულ სხვა რამ არის მთავარი

ზაზა წულაძე

*გუშინდელმა აურზაურმა, ყოფილი სამხედრო დაჯგუფების "იუპიტერის" გარშემო, მხოლოდ ორი რამ დაგვანახა: უშიშროების სამინისტროდან კვლავ იკარგება დოკუმენტები გრიფით – "სრულიად საიდუმლოდ" და კანონი "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" არ მუშაობს.*

ბანალური ისტორია – ყოფილი სამხედრო დაჯგუფების "იუპიტერის" შესახებ 2002 წლის 2 აგვისტოს, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს გახმაურებული სესიიდან დაიწყო, როცა დევნილი ხელისუფლების მეთაურის თამაზ ნადარეიშვილის ორმა მხარდამჭერმა – გოჩა დარჯანიამ და ნიკა კირცხალიამ ძიუდოს ილეთების გამოყენებით ტრიბუნიდან ჩამოაგდეს და დარბაზიდან გაათრიეს საქართველოს პარლამენტისა და ფრაქცია "აღორძინების" წევრი, ნადარეიშვილის მწვავე ოპონენტი, ჯემალ გამახარია. **"გამახარიას საჩივრის საფუძველზე, რომ 2 აგვისტოს ინციდენტი ორგანიზებული იყო თამაზ ნადარეიშვილის მიერ და მას ჰყავს გასამხედროებული დაჯგუფება, რომლითაც პოლიტიკურ ოპონენტებს უსწორდება, აფხაზეთის მაშინდელმა უშიშროების მინისტრმა მალხაზ კორძახიამ მიიღო დავალება და დაიწყო მოკვლევა "იუპიტერის" გარშემო, კონკრეტულად ვისგან მიიღო მან ეს დავალება და რა ინფორმაციის საფუძველზე შეირჩა მოკვლევის ობიექტად "იუპიტერი", ახლა არ შემიძლია გითხრათ. კირცხალიასა და დარჯანიას მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მოკვლევის ოპერატიული შედეგები კი კანონის შესაბამისად გადაეგზავნა საქართველოს**

გაგრძელება A3 გვერდზე

## "თბილგაზზე" გამოცხადებული ტენდერი ფიქციაა - აცხადებენ პარლამენტარები

*"თბილგაზის" მართვის უფლებაზე იანვრის ბოლოს გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადების მომზადება უმოკლეს ვადაში - 28 თებერვლამდე უნდა მოასწრონ. როგორც ენერგოკრიზისის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩუბინიშვილი აცხადებს, გაუგებარია მერიის აჩქარება, რადგან "თბილგაზის" მართვის უფლებით გაცემა ამ ზამთრისთვის მაინც არ ესწრება:* ***"ასეთ მცირე ვადაში, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რომელიმე ახალმა მონაწილე კომპანიამ მოამზადოს საკუთარი სატენდერო წინადადება. ასე რომ, ეს ტენდერი ვიღაც კონკრეტული ორგანიზაციისთვისაა გამიზნული."*** *ჩუბინიშვილი ეჭვობს, რომ თუ ხმაური ატყდა, საიდუმლო პრეტენდენტმა, შესაძლოა, თავი არც გამოამჟღავნოს.*

მაია ურუშაძე

როგორც ენერგოკრიზისის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ გუშინ ჟურნალისტებს აცნობა, გამოცხადებულ სატენდერო პირობებში კომისიამ ბევრი ნონსენსი აღმოაჩინა. **"თბილისის მთავრობა უფლებას იტოვებს, ტენდერის გამოცხადებიდან ნებისმიერ ეტაპზე**

გაგრძელება A4 გვერდზე

## აქვთ თუ არა ჩეჩენ პატიმრებს ლტოლვილის სტატუსი

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში დიდი ხნის განმავლობაში განიხილავდნენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან გამოთხოვნილ დოკუმენტაციას, რათა გარკვეულიყო, თავის დროზე მისცა თუ არა საქართველოს მთავრობამ გელოგაევს, ელიხაჯიევსა და ალხანოვს ლტოლვილობის სტატუსი. სასამართლოზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აღმოჩნდა, რომ საზღვრის დამრღვევი სამი ჩეჩენიდან ამჟამად არც ერთს არ გააჩნია დევნილის სტატუსი.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით, რუსტამ ელიხაჯიევს საქართველოში ლტოლვილის სტატუსით არასდროს უსარგებლია. ჰუსეინ ალხანოვმა რეგისტრაცია გაიარა 2001 წელს, 2002 წლის სავალდებულო ხელახალი რეგისტრაცია მას არ გაუვლია. ამიტომ, არსებული დოკუმენტაციის მიხედვით, ალხანოვი დევნილის უფლებით აღარ სარგებლობს. რაც შეეხება რუსლან გელოგაევს, მასზე 2002 წლის თებერვალში მართლაც გაიცა ლტოლვილის მოწმობა, მაგრამ ისევე როგორც ალხანოვს, მასაც არ გაუვლია ბოლო, სავალდებულო რეგისტრაცია. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დოკუმენტაციის მიხედვით, ჩეჩენი პატიმრები, რომელთა ექსტრადიციის საკითხსაც მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო განიხილავს, ამ დროისთვის დევნილის უფლებებით აღარ სარგებლობენ.

გაგრძელება A7 გვერდზე

## არასამთავრობოები და სახელმწიფო მინისტრი ჰეპი-ენდით გაიყარნენ

თამარ ხორბალაძე

**- რითი დავიმსახურეთ თქვენი გულისწყრომა?** - პირველი კითხვით მიმართა ავთანდილ ჯორბენაძემ კანცელარიაში მისულ "არასამთავრობოთა კოალიციის" წარმომადგენლებს და ჩვეულებისამებრ გაიღიმა.

**- მოგახსენებთ!** - დააიმედეს.

**- როგორ ხართ?** - მოიკითხა სტუმრები მასპინძელმა.

**- ასეთი მთავრობის ხელში როგორ ვიქნებით?!.** - ხუმრობით შეაგებეს.

ხუმრობები და ღიმილი გუშინდელ შეხვედრაზე ამით ამოიწურა. შეხვედრის დანარჩენმა ნაწილმა შედარებით დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა.

"24 საათი" უკვე იუწყებოდა იმ პრეტენზიების შესახებ, რომლებიც არასამთავრობოებს ხელისუფლებასთან გააჩნდათ. მათ გუშინ გაუმეორეს სახელმწიფო მინისტრს, რომ საარჩევნო ქვეკომისიის შექმნა არ შეიძლება იქცეს ადრე შეთანხმებული ტექნიკური ჯგუფის ალტერნატივად, რომელმაც საარჩევნო სიები **"თავიდან უნდა შეადგინოს".**

**"ჩვენ უკვე ერთმანეთთანაც და დონორებთანაც შეთანხმებული ვიყავით იმაზე, რომ შეიქმნებოდა ტექნიკური ჯგუფი; არჩევნებამდე არაუგვიანეს 8 თვისა გამოცხადდებოდა ტენდერი სიების შემდგენი ორგანიზაციის გამოსავლენად, ამაში მონაწილეობას მიიღებდა შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილიც; დაზუსტებული იყო ტექნიკური ჯგუფის შემადგენლობაც. ამ დროს კი გვთავაზობენ ქვეკომისიას, რაც**

გაგრძელება A4 გვერდზე

## ვაშინგტონის წინააღმდეგ ფრანგულ-რუსულ-გერმანული ალიანსი ჩამოყალიბდა

ლევან ღირსიაშვილი
შოთა უტიაშვილი

*ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში ერაყის საკითხთან დაკავშირებით შექმნილი კრიზისი კვლავ გრძელდება. გუშინ წევრი ქვეყნების ელჩები ბრიუსელში საგანგებო თათბირზე კვლავ შეიკრიბნენ. ნატო-ს წევრები შექმნილი და აქამდე უპრეცედენტო ვითარებიდან გამოსავლის პოვნას ცდილობენ. როგორც ცნობილია, გუშინწინ საფრანგეთმა, გერმანიამ და ბელგიამ დაბლოკეს აშშ-ს წინადადება, თურქეთთან დაკავშირებით ნატო-ს წესდების მე-5 პუნქტის ამოქმედების შესახებ. თუ რომელიმე წევრ ქვეყანას საფრთხე დაემუქრება, მაშინ მე-5 პუნქტი ავალდებულებს დანარჩენ წევრ სახელმწიფოებს მის დაცვას. თურქეთი კი, რომელმაც ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის დაწყებას მხარი დაუჭირა, ნატო-ს ერთადერთი წევრი ქვეყანაა, რომელიც ერაყს უშუალოდ ესაზღვრება.*

ერაყში ომის დაწყების მოწინააღმდეგე ქვეყნების – საფრანგეთის, გერმანიისა და ბელგიის გადაწყვეტილება ვაშინგტონის პოლიტიკისთვის საკმაოდ ძლიერ დარტყმად იქცა. თეთრმა სახლმა მათ ოფიციალურად დასდო ბრალი კრიზისის გაჩაღებაში

გაგრძელება A4 გვერდზე

## როგორ მზადდება ჰოლივუდის მთავარი კერძი

B1



REUTERS

კადრი ფილმიდან "ჩიკაგო" (გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი)

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პოლიტიკა

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# ელექტროენერგიის ტარიფის შემცირება "აღორძინებასაც" ჭკუაში დაუჯდა

მაია ურუშაძე

ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების იდეა გუშინ "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის ერთ-ერთმა ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამაც აიტაცა. ტარიფის შესამცირებლად იგი სასამართლოში ჩივილს აპირებს. ბაღათურიას თქმით, ტარიფში არსებობს რეზერვები, რაც დენის ღირებულების კიდევ 2 თეთრით შემცირების საშუალებას იძლევა. ის დაუბრუნდა ელექტროენერგიის ფასში "ეი-ი-ეს თელასის" მიერ განხორციელებული ინვესტიციის ორჯერ ასახვის თემას და "ეი-ი-ეს თელასთან" დადებული ხელშეკრულების გადახედვა მოითხოვა. **"ჩვენ ვიწყებთ "ეი-ი-ეს თელასთან" გაფორმებული ხელშეკრულების წინააღმდეგ ბრძოლას. უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე მათ წინააღმდეგ, ვინც მას ხელი მოაწერა,"** – აცხადებს ბაღათურია და განმარტავს, რომ მისი პრეტენზია ხელშეკრულების კონკრეტულ მუხლს ეხება: **"ამ მუხლის მიხედვით, "ეი-ი-ეს თელასს" ეძლევა უფლება, ჩათვალოს ინვესტიციად მის მიერ გაწეული ნებისმიერი ხარჯი."**

ელექტროენერგიის ტარიფის დამატებული ღირებულების გადასახადის ნულოვანი დაბეგვრის ხარჯზე შემცირებაზე კონსულტაციებს ბაღათურია, ჯერჯერობით, მხოლოდ საკუთარ ფრაქციასთან გეგმავს.

ამასობაში, ელექტროენერგიის ნულოვანი განაკვეთით დაბეგვრის წინააღმდეგ გამოდის პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე დავით სალარიძე. მისი განცხადებით, **"ბიუჯეტს ამით 40 მილიონი ლარი მოაკლდება. ამჟამად დღგ-ს გაუქმება არ შეიძლება, ამ თემაზე ბიუჯეტის მიღებამდე უნდა გვემსჯელა."** გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტი ამ ინიციატივას მხარს არ დაუჭერს.

დღეს ელექტროენერგიის ტარიფის შემცირების საკითხზე იმსჯელებს პარლამენტის ენერგოკრიზისის მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიაც. კომისიის თავმჯდომარის, ირაკლი ჩუბინიშვილის თქმით, **"ეი-ი-ეს თელასსა" და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ჩარჩო-ხელშეკრულების გადახედვას კომისია, ექვსი თვეა, რაც ითხოვს."**

## მოკლედ

**თბილისი.** ელენე თევდორაძის თქმით, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ ევროსაბჭოში უკვე გამოითქმის სერიოზული შენიშვნები დაგეგმილ არჩევნებთან დაკავშირებით. "არჩევნების შედეგების ფალსიფიკაციის შემთხვევაში, შეიძლება, დღის წესრიგში დადგეს ამ ქვეყნების ევროპის საბჭოდან გარიცხვის საკითხი", - თქვა ელენე თევდორაძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იაშარ იაკიშის საქართველოში ვიზიტი, რომელიც 11-13 თებერვალს იგეგმებოდა, გადაიდო ერაყის გარშემო შექმნილი სიტუაციის გამო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის სასაზღვრო უწყებათა წარმომადგენლები სამშაბათს საქართველოს-რუსეთის საზღვარზე საკონტროლო-გამშვებ პუნქტ "ზემო ლარსზე" შეხვდებიან და თებერვლის ბოლოს კასპიისკში დაგეგმილი პირველი ერთობლივი საშტაბო-სამეთაურო სწავლებების ჩატარების დეტალებს განიხილავენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სახალხო პარტია" კონსულტაციებს გამართავს ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებთან, რომელთა მთავარი მიზანი იქნება არეულობის თავიდან აცილება ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნების წინ, რომლებიც შემოდგომაზე უნდა გაიმართოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთისკენ მიმავალ გემებს თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პორტებში უკონტროლო შესვლის შესაძლებლობას მოუსპობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა საკანონმდებლო ორგანოს საგაზაფხულო სესიის სამუშაო გეგმის დეპუტატებისთვის გაცნობისას ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად პრესის შესახებ კანონი დაასახელა. მისი თქმით, პარლამენტმა პრესის თემაზე საფუძვლიანად უნდა იმსჯელოს, რადგან მისი დემოკრატიულობის დღევანდელი ხარისხი არ შეესაბამება საზოგადოების განვითარების დონეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პირველი ჩეჩნური ფილმის - „თავისუფლების" პრემიერას 13 თებერვალს თბილისში კინოთეატრი „ელისო" უმასპინძლებს. ფილმი, რომელიც შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის სტუდენტმა, ეროვნებით ჩეჩენმა მურად გაზაევმა გადაიღო, ჩეჩნეთში მიმდინარე ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე, ერთი ჩეჩნური ოჯახის ისტორიას მოგვითხრობს. **მედია-ნიუსი**




# ნატო-მდე დარჩენილი გზა მცირდება

თამარ ასათიანი

*მიუნხენიდან დაბრუნებული ქართული დელეგაცია აშკარად კმაყოფილია. მისი წევრები იმ პერსპექტივებზე საუბრობენ, რომელიც ამ კონფერენციის მსვლელობისას გამოიკვეთა.* ***"ნატო-საკენ სავალი გზისა და დროის შემცირების რეალური შანსი, აფხაზეთის დაბრუნების საქმეში მეგობარი სახელმწიფოების მხარდაჭერა, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შექმნაში "მარშალის ცენტრის" ექსპერტთა დახმარება",*** *– ეს ის სასიამოვნო "ბარგია", რომლითაც კონფერენციის მონაწილეები სამშობლოში ბრუნდებიან.*



გივი შეღაროვი და გიორგი ბარამიძე მიუნხენური შთაბეჭდილებებით.

გუშინ დელეგაციის ორმა წევრმა – პარლამენტარებმა გიორგი ბარამიძემ და გივი შეღაროვმა - ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს, რომელზეც დაწვრილებით ისაუბრეს მიუნხენის კონფერენციის მსვლელობის თაობაზე, იმ დაპირებებზე, რომელიც მეგობარი სახელმწიფოების წარმომადგენლების მხრიდან ისმოდა.

ორივე პარლამენტარი ცალსახად აღნიშნავს, რომ გლობალური პოლიტიკის მომავალი დიდწილად იქნება დამოკიდებული **"იმ მესიჯებზე, რომლებიც ამ კონფერენციის მსვლელობისას გაისმოდა".** გივი შეღაროვის თქმით, **"მომავლის გეგმა იხაზებოდა არა მხოლოდ კონფერენციის მსვლელობისას, არამედ კულუარებშიც".**

როგორც ირკვევა, თავდაპირველად ქართული დელეგაცია შიშობდა, რომ კონფერენციის მონაწილეებს **"არ გამორჩენოდათ საქართველო და აფხაზეთის პრობლემა";** მით უფრო, რომ დღეს მსოფლიოს ყურადღება ერაყისკენ არის მიმართული. ამის მიუხედავად, პარლამენტარები აღნიშნავენ, რომ **"მიუნხენში აფხაზეთის თემა სულ ჟღერდა".** თუმცა, გიორგი ბარამიძის თქმით, **"მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებმა ერთხმად ურჩიეს ქართულ მხარეს პანკისის ხეობაში დაწყებული ანტიტერორისტული ოპერაციის ბოლომდე მიყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს გაუჭირდება აფხაზეთის დაბრუნების პროცესში მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების აქტიური ჩართვა".**

პარლამენტარების თქმით, ქართული დელეგაციის წევრები შეხვდნენ "მარშალის ცენტრის" დირექტორს, რომელმაც ქართულ მხარეს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემქნაში სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

დღემდე საქართველოს არა აქვს ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინა. არადა, საქართველოს პრეზიდენტი ამ დოკუმენტის შექმნას ჯერ კიდევ 1998 წლის ოქტომბერში გვპირდებოდა. იმის მიუხედავად, რომ უსაფრთხოების დოქტრინის პროექტზე რამდენიმე ოფიციალური სტრუქტურა პარალელურად მუშაობდა, დღემდე ვერ მოხერხდა ამ პროექტების შეჯერება და საერთო დოკუმენტის შექმნა. ამ ფონზე მსოფლიო დონის ექსპერტების დახმარება, გიორგი ბარამიძის თქმით, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს, რადგან ისინი ქართულ მხარეს დღევანდელი საფრთხეების გაანალიზებაში დაეხმარებიან.

პარლამენტარები აღნიშნავენ, რომ უშიშროების საბჭოს რეფორმირებისა და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივის ფონზე უნდა შეიცვალოს უსაფრთხოების დოქტრინის პროექტი და ბევრი ისეთი სფერო მოიცვას, რომელიც აქამდე ამ პროექტში გათვალისწინებული არ იყო. მათი თქმით, ამ პროცესში უცხოელი ექსპერტების ჩართვა დააჩქარებს ამ დოკუმენტზე მუშაობას და სულ მალე, აპრილის ბოლოს ან მაისში, უშიშროების საბჭო მაგიდაზე უკვე მზა დოქტრინას დადებს.

# ნათელაშვილს შურისძიება ჩაეშალა

სოფო ბუკია

*ნათელაშვილი განდგომილ თანაპარტიელებს ორ ფრონტზე ებრძვის. სასამართლოს ძალით "მოღალატეთა" საკრებულოდან გამოძევება ნათელაშვილმა ვერ შეძლო და ყოფილ თანაგუნდელთა დასჯას ლეიბორისტთა ლიდერი პარლამენტის საშუალებით შეეცდება. საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საკრებულოდან დეპუტატების უკან გამოწვევას ითვალისწინებს, ფრიდონ ინჯიამ უკვე გააცნო პარლამენტს.*



ყოფილი "ლეიბორისტები" ყოფილი ბოსის წინააღმდეგ.

**"ბატონმა შალვამ იცოდა, კარგად იცოდა, ის ყველაფერს მიხვდა და ამიტომ არ მობრძანდა საკუთარი სარჩელის განხილვაზე ... ის შეგნებულად არიდებს თავს იმ ადგილებში გამოჩენას, სადაც წააგებს,"** – ამბობდნენ გუშინ საოლქო სასამართლოში გამართულ პროცესზე ყოფილი "ლეიბორისტები".

"ლეიბორისტებმა" გუშინდელი სასამართლო პროცესი მართლაც წააგეს. საოლქო სასამართლომ ნათელაშვილის სარჩელი ცესკო-ს წინააღმდეგ, ხანდაზმულობის გამო არ დააკმაყოფილა. მომჩივანი, რომელსაც სასამართლოში სარჩელის შეტანა ოცი დღით დააგვიანდა, ითხოვდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის იმ ნაწილის გაუქმებას, რომელმაც ყოფილი "ლეიბორისტები" - ზაზა ბეგაშვილი, ავთანდილ ტყებუჩავა და ჯუმბერ შენგელია საკრებულოს წევრებად ცნო. სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებით, განდგომილმა "ლეიბორისტებმა" საკრებულოს წევრის მანდატი შეინარჩუნეს.

თავად მოსარჩლეები ამ დამარცხებას არ დასწრებიან. სასამართლოს კურიერმა გუშინ ორჯერ აფრინა უწყება "ლეიბორისტების" ოფისში, მაგრამ შრომის პარტიის წევრები თემიდას მსახურებმა პროცესზე მისასვლელად ვერ დაიყოლიეს.

გახარებულმა განდგომილმა "ლეიბორისტებმა" სასამართლო გადაწყვეტილება მქუხარე ტაშით დააჯილდოეს, სამართალმა პური ჭამაო, აღნიშნეს და ყოფილ ბოსს ერთი-ორი კეთილი რჩევაც არ დააამადლეს:

**"დაანებოს შალვამ თავი ამ კლაუზნიკობას და საქმეს მიხედოს. ჩვენს დევნას ურჩევნია, ის საარჩევნო პროგრამა შეასრულოს, რასაც მოსახლეობას დაჰპირდა. განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო გვსჯის ბატონი შალვა, სხვა არაფერი,"** – ასკვნის ჯუმბერ შენგელია.

**"სამართლიანობა აღდგა. უსაფუძვლოდ, უკანონოდ მომჩივანი ნათელაშვილი დამარცხდა. ამ სარჩელითა და ჩვენი დევნით "ლეიბორისტების" ლიდერი კანცელარიის დაკვეთას ასრულებს - ეს ცხადზე ცხადია. მოსამართლეზეც იქნებოდა უეჭველად ზეწოლა, მაგრამ მიხარია, რომ ქალბატონმა თოდრიამ ამ ზეწოლას გაუძლო და სავსებით სამართლიანი გადაწყვეტილება გამოიტანა,"** – ამბობს ავთანდილ ტყებუჩავა, რომელმაც გუშინ სასამართლოზე საკუთარი ოჯახის ბიუჯეტიდან "ლეიბორისტების" ხაზინაში გადარიცხული ორი ათასი ლარიც გაიხსენა. ეს ფული ნათელაშვილის ფოტოთი დამშვენებული წინასაარჩევნო პლაკატებისთვის დაიხარჯა. **"ჩვენ არა მარტო მორალურ, არამედ მატერიალურ მხარდაჭერასაც ვუწევდით პარტიას. მითხარით ერთი, რა გაიღო ნათელაშვილმა პარტიისთვის? - არაფერი,"** – სწყინს ტყებუჩავას.

სასამართლო პროცესზე მესამე პირად თბილისის საკრებულოც იყო გამოცხადებული. დედაქალაქის პარლამენტის წარმომადგენელმა დავით იოსელიანმა, კოლეგების სახელით, დაგმო "ლეიბორისტების" სარჩელი და მას საკრებულოსა და დემოკრატიის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი უწოდა.

დამარცხებულ "ლეიბორისტებს" გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ერთი თვის ვადაში უზენაეს სასამართლოში აქვთ.

"მოღალატე" თანაპარტიელებთან ანგარიშის გასასწორებლად ნათელაშვილს შესაძლოა სასამართლოს დახმარება არც დასჭირდეს. ფრიდონ ინჯიას საკანონმდებლო ინიციატივა, საკრებულოდან დეპუტატების გამოწვევის თაობაზე, უკვე პარლამენტშია შეტანილი. ამ კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში "მოღალატე" "ლეიბორისტები" საკრებულოს მანდატს დაემშვიდობებიან.

საკრებულოს წევრების - ზაზა ბეგაშვილის, ბერდია გველებიანის და რეზო უმფრიანის გუშინდელი აღშფოთებისა და პრესკონფერენციის გამართვის მიზეზიც სწორედ ინჯიას ეს წამოწყება გახლდათ. ისინიც, შენგელიას და ტყებუჩავას მსგავსად, დედაქალაქის პარლამენტში შრომის პარტიის ეგიდით მოხვდნენ, შემდეგ კი "ლეიბორისტებთან" კავშირი გაწყვიტეს.

ზაზა ბეგაშვილის აზრით, კორუფციაში მხილებულ ინჯიას, რომლის **"ადგილი მეხუთე იზოლატორშია",** არავითარი მორალური უფლება არა აქვს არა თუ რაიმე საკანონმდებლო ინიციატივით გამოვიდეს, არამედ, საერთოდ, პარლამენტში მოღვაწეობდეს.

რაც შეეხება ბატონ შალვას, მისი ყოფილი თანაგუნდელები ირწმუნებიან, რომ "ამ კაცს" შურისძიება ამოძრავებს და "განდგომილებს" განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო ერჩის.

**"მე მივედი "ლეიბორისტულ" პარტიაში და გამოვიქეცი ინჯიას კორუმპირებული პარტიიდან,"** – ემატება რეზო უმფრიანს, რომელიც შიშობს, რომ სულ მალე "ლეიბორისტების" პარტიიდან ყველა თავქუდმოგლეჯილი გამოიქცევა და **"იქ დარჩებიან მხოლოდ ნათელაშვილის მეუღლის ნათესავები".**

ყოფილ "ლეიბორისტებს", რომელთაც დღეს შესაშური ურთიერთობა აქვთ სააკაშვილის "ნაციონალურ მოძრაობასთან", პარლამენტართა სალი აზრის იმედი აქვთ: **"დიდი წარმოდგენის არ ვართ პარლამენტზე, მაგრამ ამ კანცელარიის დაკვეთით დაწერილ კანონპროექტს მხარი რომ არ უნდა დაუჭირონ, მგონი მიხვდებიან,"** – აცხადებენ ისინი.

# „ასლან აბაშიძეს სტრასბურგში ვუჩივლებთ"

## აცხადებს ლევან ქიძინიძის ადვოკატი

*გუშინ საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ასლან აბაშიძესთან დაპირისპირებული ლევან ქიძინიძის სარჩელი. ქიძინიძის ადვოკატის რონინ გელაშვილის განცხადებით, ისინი ბოლომდე აპირებენ სიმართლისთვის ბრძოლას და უახლოეს მომავალში სტრასბურგში შეიტანენ სარჩელს.*

ვერიკო თევზაძე

**"საქართველოში ნებისმიერი ინსტანციის სასამართლო პოლიტიკურ დაკვეთებზე მუშაობს. გამონაკლისი არც საკონსტიტუციო სასამართლოა",** - აცხადებს გელაშვილი. ლევან ქიძინიძე უკანონოდ მიიჩნევს 2001 წლის 4 ნოემბერს ჩატარებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის და ორპალატიანი პარლამენტის, ასევე 2002 წლის 16 ივნისის აჭარის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ბათუმის მერის არჩევნებს. იგი საკონსტიტუციო სასამართლოსგან მოითხოვდა, რომ მას ხსენებული არჩევნები, მთელ რიგ ნორმატიულ აქტებთან ერთად, ბათილად ეცნო. სასამართლომ ლევან ქიძინიძე უფლებამოსილ პირად არ ცნო და სარჩელი განსახილველად არ მიიღო.

ქიძინიძის ადვოკატების თქმით, მათ კლიენტს ჯერ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ხოლო შემდგომ ბათუმის მერის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს. **"განცხადება რეგისტრაციაში არ მიიღეს, ყოველგვარი განმარტების გარეშე გამოისტუმრეს უკან."**

ლევან ქიძინიძის ადვოკატები აცხადებენ, რომ აბაშიძე თანამდებობებზე ნიშნავს მხოლოდ ნათესავებს, რომელთა ნაწილი **"ნაყიდდიპლომიანი ნარკომანია"... აბაშიძის ცოლის ძმა, სოსო გოგიტიძე, აჭარის უშიშროების მინისტრია; აბაშიძის დეიდაშვილი, ილია წულუკიძე, აჭარის პოლიციის მინისტრია; აბაშიძის ნათესავი, გივი აბაშიძე, აჭარის პროკურორი იყო; აბაშიძის ცოლის ნათესავი, კონცელიძე, აჭარის ახალი პროკურორია; აბაშიძის ნათესავი და მეგობარი, ნოდარ დიასამიძე, აჭარის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეა; აბაშიძის სიძე, თემურ კომახიძე, კულტურის მინისტრია; აბაშიძის სიძე, ნოდარ თამაზაშვილი, კავშირგაბმულობის მინისტრია; აბაშიძის ბიძაშვილი, დავით აბაშიძე, ფინანსთა მინისტრია; აბაშიძის ცოლის ბიძაშვილი, გია გოგიტიძე, საგადასახადო დეპარტამენტის უფროსია; აბაშიძის სიძის ძმა, კომახიძე, აჭარის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეა..."**

ქიძინიძის ადვოკატებმა "24 საათთან" საუბრისას არ უპასუხეს კითხვას: სად და რას საქმიანობს ამჟამად ლევან ქიძინიძე? ერთ-ერთი ვერსიით, ქიძინიძე გერმანიაში იმყოფება და პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს.

# „საქართველოს მოსახლეობა ნელ-ნელა იწამლება"

## არასამთავრობოები მოხმარებული პროდუქტების ნახევარს უვარგისად მიიჩნევენ

სოფო კვინტრაძე

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში არასამთავრობო ორგანიზაციის "კავშირი 21-ე საუკუნის" წარმომადგენლებმა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში არსებულ პრობლემებზე ისაუბრეს. როგორც კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ პაატა გაჩეჩილაძემ განაცხადა, მომხმარებელთა უფლებები ყველა მოქალაქეს ეხება, რადგან ნებისმიერი ადამიანი ყოველდღიურად სარგებლობს სხვადასხვა სახის პროდუქციითა თუ მომსახურებით. გაჩეჩილაძემ ხაზგასმით მიუთითა, რომ საქართველოში მომხმარებელთა უფლებები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა, რისი მიზეზიც კანონის დაუცველობაა. "21-ე საუკუნემ" წარმოადგინა ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში გამოცემული წიგნები, სადაც მომხმარებელთა უფლებების შესახებ არსებული ყველა კანონი თუ ნორმატიული აქტია თავმოყრილი. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მოსახლეობამ პირველ, რიგში, საკუთარი უფლებები უნდა იცოდეს.

პაატა გაჩეჩილაძის განცხადებით, საქართველოში განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა საკვები პროდუქტების ვარგისიანობის მხრივ. **"50 პროცენტი იმ პროდუქტებისა, რასაც ჩვენ მივირთმევთ, საკვებად უვარგისია ან ჯანმრთელობისთვის საზიანო. საქართველოს მოსახლეობა ნელ-ნელა იწამლება და ამას ძალზე მძიმე შედეგები მოჰყვება რამდენიმე წლის შემდეგ,"** – განაცხადა პაატა გაჩეჩილაძემ.

კავშირის თავმჯდომარემ ისიც აღნიშნა, რომ მთავარი პასუხისმგებელი ორგანოები საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებით, საბაჟო დეპარტამენტი, სანიტარული ზედამხედველობის სამსახური და ანტიმონოპოლიური სამსახური არიან.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ბანანის რესპუბლიკა

პირველი გვერდიდან

ნურც იმას იფიქრებთ, რომ ამ შემთხვევაში "ევრონიუსი" (გინდაც, "ბი-ბი-სი", "სი-ენ-ენი" - ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა) შეცდა, რაიმე შეეშალა ან შეგნებულად გაავრცელა დეზინფორმაცია. მსოფლიო ელექტრონული მედიის ლიდერს ტყუილად დაადანაშაულებთ - გუშინ საქართველოს პარლამენტმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ნამდვილად ბანანის რესპუბლიკაში ვცხოვრობთ...

■ ■ ■

- შენ გაყიდე აფხაზეთი, შე ჩათლახო! - გასძახა ჯემალ გოგიტიძემ თამაზ ნადარეიშვილს.

- მტყუანის დედა... - თავის უდანაშაულობის დამტკიცება სცადა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ.

შემდეგ ეს ტექსტი განმეორდა, ოღონდ, ბრალმდებელი უკვე ნადარეიშვილი იყო, ხოლო "დედაზე მოძალადე" - საპარლამენტო ფრაქცია "აღორძინების" ლიდერი.

ყოველივე ეს, საგაზაფხულო სესიის გახსნის აღსანიშნავად საქართველოს ჰიმნის დაგუგუნებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ მოხდა...

ორი დეპუტატის სიტყვაბილწობაზე და ენამრუდობაზე, შესაძლოა, არც ღირდეს წერა. მითუმეტეს, მსგავსი აყალმაყალი პარლამენტში იშვიათობას არ წარმოადგენს. მაგრამ ამ შემთხვევაში რამდენიმე გარემოება იწვევს განგაშს: ყველაზე ანგარიშგასაწევი, ალბათ, მაინც ის არის, რომ ნადარეიშვილი და გოგიტიძე საქართველოს ორი სხვადასხვა კუთხის სახელისუფლებო ავანგარდში არიან, სერიოზული პოლიტიკური ბერკეტები გააჩნიათ და შეუძლიათ, კონფლიქტი უფრო "მაღალ რანგში", საშიშ ფაზაში გადაიყვანონ. თუ ასე მოხდება, მაშინ ნადარეიშვილი და გოგიტიძე უკვე აღარავის გაახსენდება და "მთავარი შედეგი" ერთი კუთხის მეორეზე გადაკიდება იქნება.

**"უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ამაზე, ალბათ, ვერც კი იოცნებებდნენ - საქართველოს ორი კუთხის წარმომადგენლები ერთმანეთს წაეკიდნენ,"** - მომხდარის გამო შეშფოთებას ვერ მალავს "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე.

**"ეს საკითხი ამ დარბაზში უნდა მოგვარდეს და მისი ხალხში გატანა დაუშვებელია,"** - საფრთხის თავიდან აცილების აუცილებლობაზე კი თავად პარლამენტის თავმჯდომარე საუბრობს.

კიდევ ერთი და არანაკლებ საშიში გარემოება, რომელიც გოგიტიძე-ნადარეიშვილის შეჯახებას მოჰყვა, პარლამენტის სხდომათა დარბაზში შეიარაღებულ პირთა გამოჩენაა. ნუგეშად ნამდვილად ვერ გამოდგება ის ამბავი, რომ დეპუტატების პირად დაცვას დარბაზი უმალ დაატოვებინეს და ამასთან დაკავშირებით მათ რაიმე წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. საგანგაშოა თავად ფაქტი: პარლამენტის დარბაზში შეჭრის პრეცედენტი უკვე არსებობს და კანონის დამრღვევთა ვინაობით, ჯერჯერობით, არავინ დაინტერესებულა. ასევე ვერავინ იტყვის, რა მოხდება ხვალ, თუ სხდომათა დარბაზში კიდევ ერთხელ მოხდება ჩხუბი და დაცვის თანამშრომლები, თავისი "ობიექტის" უსაფრთხოების მიზნით, მათი ოპონენტების "ადგილზე ლიკვიდაციას" მოინდომებენ.

ამ საშიშროების რეალობას, როგორც ჩანს, სხვებზე მეტად პარლამენტის თავმჯდომარე გრძნობს. ნინო ბურჯანაძე კატეგორიულად აცხადებს, რომ ამიერიდან პარლამენტის შენობაში ვერც ერთი პიროვნება (მათ შორის, პარლამენტარები) იარაღით ვეღარ შევლენ. თუმცა, არაოფიციალური ინფორმაციით, სპიკერის მოთხოვნიდან სულ რამდენიმე წუთის შემდეგ "აღორძინების" ერთ-ერთმა დეპუტატმა, სატაბელო იარაღის ჩაბარების შესახებ სამთავრობო დაცვის კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, სხდომათა დარბაზში მაინც შეიარაღებულმა შეაბიჯა.

ერთი სიტყვით, როგორც პარლამენტარი ვასილ მაღლაფერიძე შენიშნავს, **"ზამბარა თანდათან იჭიმება და არავინ იცის, როდის გაწყდება"**.

■ ■ ■

მთელი აურზაური კი გუშინ იმით დაიწყო, რომ თამაზ ნადარეიშვილმა მოითხოვა განმარტება იმის შესახებ, თუ რა მოხდა პარლამენტის ბიუროს დახურულ სხდომაზე და რატომ იმსჯელეს პირადად მასთან დაკავშირებულ ბრალდებებზე მის გარეშე. ამასთან, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ კატეგორიულად უარყო ბრალდების მთავარი პუნქტი - უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების მფარველობა.

**"მე ოფიციალურად მყავს ოთხი ათასამდე შეიარაღებული კაცი - ავტონომიური რესპუბლიკის შინაგანი ჯარი, სპეცსამსახურის მუშაკები და ასე შემდეგ. ამდენად, გაუგებარია, რაში უნდა დამჭირებოდა ქუჩიდან 50-მდე კაცის აყვანა და მათი შეიარაღება?"** - გაოცებას ვერ მალავდა ნადარეიშვილი და იმ დოკუმენტების განსაიდუმლოებას ითხოვდა, რომლებიც ორგანიზაცია "იუპიტერის" წევრთა საქმიანობას შეეხებოდა. თუმცა, ჯემალ გოგიტიძემ მოვლენებს გაასწრო და აფხაზეთის უშიშროების აწ უკვე ყოფილი მინისტრის, მალხაზ კორძახიას მიერ გასული წლის აგვისტოში სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში გაგზავნილი დოკუმენტიდან თავად "მოხსნა" გრიფი "საიდუმლო" და მისი შინაარსი კოლეგებს გააცნო. მანვე პარლამენტარებს შეახსენა აჭარის წარმომადგენლობაში ხანძრის გაჩენის, აგრეთვე "იმელის" შენობაში დეპუტატ ჯემალ გამახარიასთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ისტორია და, ტრადიციისამებრ, ხელი ნადარეიშვილისკენ გაიშვირა.

ვალში, ცხადია, არც ნადარეიშვილი დარჩა. **"დაგვანებეთ თავი თქვენი ასლან აბაშიძით და მოაშორეთ ის აფხაზეთის საკითხის მოგვარებას"**, - ამ შეძახილმა ის დეპუტატებიც კი გამოაფხიზლა, რომლებსაც მყვირალასათაურებიან გაზეთებში საკუთარი ინტერვიუების კითხვა დაემთავრებინათ და კროსვორდებს შესჭიდებოდნენ - დარბაზში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ "ინტელექტუალური საქმიანობა" შეუძლებელი გახდა.

მტყუან-მართლის განსჯა გუშინ ვერაფრით მოესწრო: ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებს პარლამენტმა ვერ მოუსმინა - ნარჩემაშვილსა და ხაბურძანიას პრეზიდენტთან აუდიენციაზე აგვიანდებოდათ. გარდა ამისა, "ჩვენება აქვს მისაცემი" ერთ-ერთ მთავარ მოწმეს, აფხაზეთის უშიშროების ყოფილ მინისტრს მალხაზ კორძახიას.

გოგიტიძე-ნადარეიშვილის "პროცესი", პარლამენტის სხდომად წოდებული, დღეს დილიდან განახლდება.

# აურზაური „იუპიტერის" გამო

პირველი გვერდიდან

**უშიშროების მინისტრს 2002 წლის 14 აგვისტოს,"** – გვითხრა გუშინ აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა ლევან კიკნაძემ. კორძახია დღეს კიკნაძის მოადგილეა, მათ თანამდებობები გასული წლის სექტემბერში გაცვალეს.

"იუპიტერის" წინააღმდეგ მასალებს აფხაზეთის უშიშროება, "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონის მოთხოვნით, საიდუმლოდ აგროვებდა. ვინაიდან ეს ინფორმაცია ეხებოდა **"პირებს, რომლებიც სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში კონფიდენციალურ საფუძველზე თანამშრომლობენ ან ადრე თანამშრომლობდნენ ასეთი საქმიანობის განმახორციელებელ საქართველოს შესაბამის ორგანოებთან"** *(კანონი "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ", თავი 2, მუხლი 7)*. "იუპიტერი", რომელიც 1992 წელს, აფხაზეთში ომის დაწყების შემდეგ შეიქმნა, ძირითადად, აფხაზეთის მაშინდელი ხელისუფლებისა და მინისტრთა საბჭოს შენობის დაცვას უზრუნველყოფდა, მასში გაერთიანებული იყო 300-მდე მებრძოლი, ძირითადად სოხუმელები ("იუპიტერის" წევრი იყო პარლამენტარი გია ბარამიძეც), თუმცა მათ შორის იყვნენ ადამიანებიც, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე, სხვადასხვა დანაშაულისთვის სასჯელს იხდიდნენ და, მათივე თხოვნით, ციხიდან გამოუშვეს. **"პროცენტულად ზუსტად არ ვიცი, ამ რაზმში რამდენი ადამიანი იყო ნასამართლევი, თუმცა ასეთები ნამდვილად იყვნენ, ეს ადამიანები იმ პირობით გამოუშვეს ციხიდან, რომ ებრძოლათ, ამის სურვილი მათ თავად გამოთქვეს,"** – ამბობს პარლამენტარი ელენე თევდორაძე. მოგვიანებით, აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ, "იუპიტერის" წევრების ნაწილმა 2000 წელს, არასამთავრობო ორგანიზაცია "მაშველთა კორპუსი-იუპიტერი" ჩამოაყალიბა, რომელმაც დაღუპული და



"იუპიტერის" წევრები.

დაინვალიდებული მებრძოლების ოჯახების დახმარება იტვირთა (აფხაზეთში 25 იუპიტერელი დაიღუპა, 5 უგზო-უკვლოდ დაიკარგა, 100-მდე მძიმედ დაიჭრა), ნაწილი კი კვლავ თანამშრომლობდა ხელისუფლებასთან, მაგალითისთვის, იგივე გოჩა დარჯანია და ნიკა კირცხალია იყვნენ პარტიზანული ჯგუფების "ტყის ძმებისა" და "თეთრი ლეგიონის" წევრები. **"მე ვიცი, რომ ეს ბიჭები იყვნენ "იუპიტერის" წევრები, იბრძოდნენ აფხაზეთში, მერე გოჩა ჩემთან იყო, კირცხალია კი "თეთრ ლეგიონში", ესენი კარგი მეომრები არიან,"** – გვითხრა გუშინ პარტიზანული მოძრაობის ყოფილმა ლიდერმა დავით შენგელიამ *(შენგელიასგან განსხვავებით, დარჯანიასა და კირცხალიას "იუპიტერის" წევრობას კატეგორიულად უარყოფს ნჯო "იუპიტერის" წარმომადგენელი თემურ ბაძალუა)*. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის უშიშროების გასაიდუმლოებული მოკვლევა სრულად შეესაბამებოდა "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონის მოთხოვნას. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი (თუნდაც ასეთი სუსტად მომზადებული) არ ექვემდებარებოდა საჯარო განხილვას.

ამის მიუხედავად, სწორედ ეს დოკუმენტი გახდა გუშინ პარლამენტში მორიგი "წივილ-კივილის" საბაბი. პარლამენტარმა ჯემალ გამახარიამ თურმე "თავისი წყაროებიდან" გაიგო, რომ დოკუმენტი, რომელშიც *"დადასტურებულია, რომ კრიმინალებით დაკომპლექტებული "იუპიტერი" სწორედ თამაზ ნადარეიშვილის სამხედრო დაჯგუფებაა"*, მალხაზ კორძახიამ გასული წლის 14 აგვისტოს გადაუგზავნა უშიშროების მინისტრს ვალერი ხაბურძანიას. ეს ინფორმაცია მან პარლამენტის თავჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს მიაწოდა. უკვე 16 დეკემბერს, "საიდუმლო" დოკუმენტის შესახებ ინფორმაციას კიდევ ოთხი პარლამენტარი ფლობს; ჯუმბერ პატიაშვილი, გიორგი თარგამაძე, ანზორ აბრალავა და ელიზბარ ჯაველიძე ითხოვენ, პარლამენტის საგამოძიებო კომისიას ამ "საიდუმლო" დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების შესწავლა დაევალოს. გუშინ კი ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარემ ჯემალ გოგიტიძემ, არც მეტი არც ნაკლები, საიდუმლო დოკუმენტის თითქმის ერთი თავი პირდაპირ ღია სესიაზე ჩაიკითხა...

დღეს იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რა წერია ამ დოკუმენტში – ნამდვილად არის თუ არა "იუპიტერი" თამაზ ნადარეიშვილის არაკანონიერი სამხედრო დაჯგუფება და მართლა იყენებენ ამ ორგანიზაციას პოლიტიკური ორგანიზაციების დასაშინებლად; ნამდვილად კრიმინალები და რეციდივისტები არიან დარჯანია, კირცხალია და დოკუმენტში ჩამოთვლილი კიდევ ოთხი პიროვნება, იყვნენ თუ არა ისინი "იუპიტერის" წევრები და ომის დროს თანამშრომლობდნენ თუ არა მტრის აგენტურასთან, შემდგომი ძიებისა და მოკვლევის დასადგენია. **"ეს იყო ოპერატიული ე.წ. შავი მასალა, რომელიც დამუშავებას, დამატებით ძიებას საჭიროებდა,"** – გვითხრა გუშინ თავად დოკუმენტის ავტორმა მალხაზ კორძახიამ.

მთავარი "იუპიტერის" გამო ატეხილ აურზაურში არის ის, რომ უკვე მერამდენედ, უშიშროების სამინისტროდან (აფხაზეთის უშიშროებაც საქართველოს უშიშროების სამინისტროს დაქვემდებარებაშია) იკარგება (ან იყიდება) მასალები, გრიფით "სრულიად საიდუმლოდ" და შემდგომ ეს დოკუმენტები საჯარო განხილვის ობიექტი ხდება ისეთ ადგილას, როგორიც საქართველოს პარლამენტის ღია სესიაა. ეს არის დანაშაული, რომელიც ისჯება კანონით. **"პირი, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაუშვეს, ვალდებულია, არ გაახმაუროს სახელმწიფო საიდუმლოება, რომელიც მას გაანდეს ან მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს,"** – ამბობს "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონის 32-ე მუხლი. **"პირს, რომელიც დაარღვევს 32-ე მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას ან არ დაიცავს სხვა სახელმწიფოსათვის სახელმწიფო საიდუმლოების გადაცემის შეზღუდვებს, დაეკისრება კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობა,"** – ეს უკვე ამ კანონის 38-ე მუხლში წერია..

# არასამთავრობოები და სახელმწიფო მინისტრი ჰეპი-ენდით გაიყარნენ

პირველი გვერდიდან

**ძალიან ჰგავს დროის გაყვანის მცდელობას... საარჩევნო სიების და ცესკო-ს დაკომპლექტების წესის საკითხი უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან,"** - ასეთია არასამთავრობოთა პრეტენზია.

გარდა ამისა, "არასამთავრობოები" პოლიტიკური ტერორის თემასაც შეეხნენ: "ახლებისა" და ევანგელისტური ეკლესიის დარბევის ფაქტი და ამ ფაქტების დროს პოლიციის სრული უმოქმედობაც მოიყვანეს მაგალითად. თქვეს, რომ **"თუ პოლიტიკაში ძალადობის დამკვიდრების ტენდენცია ამ მიმართულებით წავიდა, საერთოდ აზრსმოკლებული იქნება საარჩევნო სიებზე საუბარი."**

ავთანდილ ჯორბენაძეს შეახსენეს ისიც, რომ იგი "მოქალაქეთა პარტიის" ლიდერია და სთხოვეს განმარტება იმ აბსოლუტურად მიუღებელ საარჩევნო პროექტთან დაკავშირებით, რომელიც მისი პარტიის წარმომადგენლების მიერ გახმოვანდა. გარდა ამისა, სახელმწიფო მინისტრს რამდენიმე უხერხულ შეკითხვაზეც მოუწია პასუხის გაცემა.

სახელმწიფო მინისტრმა შეხვედრის დასაწყისში მიღებული საყვედურების გამო გაღიზიანება ვერ დაფარა და კონტრშეტევაზე გადავიდა:

**"დღეს ვინც ყველაზე მეტად აკრიტიკებს შექმნილ ვითარებას, მასაც უნდა მოეკითხოს, თუ ვის რა წვლილი მიუძღვის ქვეყნის აქამდე მიყვანაში?!**

**როცა არასამთავრობო ორგანიზაციაში მიკერძოება იწყება გარკვეული პოლიტიკური პარტიის მისამართით, მაშინ მთავრდება ყველაფერი...**



ვენდოთ, არ ვენდოთ, საკითხავი, აი, ეს არის.

**შეეჩვივნენ საქართველოში ნებისმიერი ქმედების ხელისუფლებისკენ გადამისამართებას.**

**რაში უნდა მაწყობდეს, მაგალითად, მე და სახელისუფლებო პარტიას ის შიდა გარჩევები, რომელიც "ახლებში" გაიმართა?**

**სხვათა შორის, თქვენ როცა გიჭირდათ (საუბარია "თავისუფლების ინსტიტუტის დარბევის ფაქტზე), მე მოვედი თქვენთან...**

**მე ვერ ავუკრძალავ ჩემი პარტიის წევრს საკუთარი აზრის გამოთქმას საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, თუმცა კოდექსი, რომელსაც პარტია გაახმოვანებს, არ იქნება "დრაკონული". იქნებ, ამ წესით მუშაობდნენ ზოგიერთები "მოქალაქეთა კავშირში", მაგრამ ჩვენ ვცდილობთ, უარი ვთქვათ ბევრ რამეზე, რაც პარტიაში დანერგილი იყო...**

**იმპერატიულ მანდატს მე, პირადად, არ ვემხრობი.**

**მე ინფორმაცია არ მქონდა რუსთავის არჩევნებზე. "თემატური უმრავლესობა" ყველა საკითხს მე კი არ მითანხმებს?!."**

თინათინ ხიდაშელმა პირდაპირ განაცხადა, რომ იგი არ იღებს გარკვეულ მინიშნებებს არასამთავრობოთა ტენდენციურობის შესახებ და ხელისუფლებას შესთავაზა, ჩაეხედა არჩევნების მონიტორინგის შედეგად დაწერილ დასკვნებში, სადაც ძალიან ბევრი ნაცნობი გვარია.

დისკუსია "ძალიან შორს წასვლისგან" ისევ "არასამთავრობოებმა" "დაიცვეს", რომლებმაც საარჩევნო სიებთან დაკავშირებული ჯგუფის და უკვე მიღწეული შეთანხმების თაობაზე ზუსტი პასუხი მოითხოვეს სახელმწიფო მინისტრისგან.

უნდა ითქვას, რომ გუშინდელი "მძაფრსიუჟეტიანი" შეხვედრა "ჰეპი-ენდით" დამთავრდა: სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, რომ ხელისუფლება უარს არ ამბობს უკვე მიღწეულ შეთანხმებებზე და ახალი ქვეკომისიის უკვე დღეისთვის დანიშნულ შეხვედრაზე ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა უნდა გადაწყდეს.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებს კი ავთანდილ ჯორბენაძე შეჰპირდა, რომ აუცილებლად წაყვება დარბეული კონფესიების წარმომადგენლებთან შესახვედრად და ძალადობის წინააღმდეგ პროტესტის დასაფიქსირებლად.

# აქცია აჭარის წარმომადგენლობის წინააღმდეგ

*პარლამენტის შენობის წინ გაიმართა აფხაზეთის მეომართა კავშირისა და აფხაზეთიდან დევნილთა საპროტესტო აქცია. ისინი აპროტესტებდნენ აჭარის ხელისუფლების ჩარევას აფხაზეთის დაბრუნების საკითხში. მოგვიანებით აქციის ასამდე მონაწილემ აჭარის წარმომადგენლობის შენობასთან გადაინაცვლა და რამდენიმე წუთში დაიშალნენ.*



ჰამლეტ ჭიპაშვილი

ბელა მახარაძე

აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ეს მათთვის ახალი არ ყოფილა. "**ასეთივე აქცია გაიმართა ჩვენს წინააღმდეგ გასული წლის ივლისის ბოლოს, როცა ოფისში შემოიჭრა ორასამდე ადამიანი და გვემუქრებოდნენ; ამის შემდეგ პირველ აგვისტოს, ღამე გაჩნდა ხანძარი, დაიწვა ჩვენი შემოსასვლელი კარი და ეს საქმე დღემდე არ არის გამოძიებული პროკურატურის მიერ**". რაც შეეხება დღევანდელ ფაქტს, ჭიპაშვილის აზრით, ეს ხალხი არის ნადარეიშვილის მოგზავნილი, რადგან მის ინტერესებში შედის აფხაზეთის პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით მოგვარება. "**პარტიზანების ამოქმედება და ძალისმიერი მეთოდით აფხაზეთის დაბრუნება არის აბსურდი,**"- აცხადებს აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი. დღევანდელი აქცია, როგორც იგი აცხადებს, დაიშალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნადარეიშვილმა დარეკა ამ ხალხთან.

ბატონი ჭიპაშვილის აზრით, ეს ყველაფერი ხელს აძლევს საქართველოს ხელისუფლებას, რათა ქვეყანაში გამოიწვიოს დესტაბილიზაცია და არ ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები. "**ასეთი ფაქტები ხშირია, თუნდაც, "ახლების" ოფისზე თავდასხმა. მოსალოდნელია მსგავსი ფაქტების განმეორება და ბოლოს საგანგებო რეჟიმის გამოცხადება, რაც ხელს აძლევს არსებულ ხელისუფლებას,**"- განაცხადა საუბრის ბოლოს ბატონმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა.



# საკონსტიტუციო სასამართლომ მეანაბრეების 40-მილიარდიანი საქმე მიიბარა

თამარ კეველიშვილი

ყოფილი საბჭოთა კავშირის შემნახველი ბანკის საქართველოს ფილიალებში განთავსებულ ანაბრებზე თანხების დაბრუნების საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 11 ნოემბრის განჩინებით დაინიშნა საფინანსო-ეკონომიკური ექსპერტიზა. ექსპერტიზის ჩატარება დაევალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრს. დასკვნის მოსამზადებლად შეიქმნა ექვსკაციანი საექსპერტო კომისია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ კარლო ღურწკაიას თავმჯდომარეობით.

რაც შეეხება საექსპერტო კომისიის მუშაობას, თავდაპირველად "ეროვნული ბანკი" და "გაერთიანებული ქართული ბანკი" მასთან თანამშრომლობდნენ. თუმცა, მოგვიანებით ამ ბანკებმა თანამშრომლობაზე უარი თქვეს. ამიტომ მათ, ალბათ, სასამართლოს დადგენილების საფუძველზე მოუწევთ კომისიის წევრებისათვის მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება.

საექსპერტო კომისიის წევრების განცხადებით, **"მეანაბრეები მოითხოვენ 0,56-0,60 აშშ დოლარის ექვივალენტ თანხას ერთ საბჭოთა მანეთზე, წლების მიხედვით და შესაბამისი კურსით. 1991 წელს დოლარის მიმართ კომერციული კურსიც შემოიღეს, 100 აშშ დოლარი 168 მანეთი ღირდა. ამიტომ პერიოდების მიხედვით, ვინ როდის შემოიტანა, ისე უნდა დაანგარიშდეს. წლების მიხედვით მოხდეს კლასიფიკაცია და, რა თქმა უნდა, პროცენტის გათვალისწინებაც."**

1998 წლიდან მეანაბრეთა ერთმა ჯგუფმა, ემზარ გრიგოლიას ხელმძღვანელობით, წამოიწყო ხანგრძლივი სასამართლო პროცესები პრეზიდენტის, პარლამენტის, ფინანსთა სამინისტროს, სააქციო საზოგადოება "გაერთიანებული ქართული ბანკის" მიმართ. მათ მიაღწიეს პრეზიდენტის 716-ე ბრძანებულების გაუქმებას, რომლის თანახმადაც მეანაბრე ყოველ 10 ათას საბჭოთა მანეთზე, ინდექსაციით, 190 ლარს იღებდა. 716-ე ბრძანებულება შეიცვალა პრეზიდენტის 258-ე ბრძანებულებით (02.07.2001.), სადაც ნათქვამია, რომ **"შეიქმნას კომისია მეანაბრეთა თანხების დაბრუნების ღონისძიებათა გაუმჯობესებისათვის"**, რაც, ფაქტობრივად, ამ პროცესის გაჭიანურების ხელახალი მცდელობა იყო.

მეანაბრე ემზარ გრიგოლიამ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა სარჩელი, სადაც 14 ნორმატიული აქტის გაუქმებას ითხოვდა. საკონსტიტუციო სასამართლომ 2003 წლის 11 თებერვალს დაადგინა: **"მიღებულ იქნას საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითად განსახილველად საქართველოს მოქალაქის ე. გრიგოლიას ნომერ 170 რეგისტრირებული კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის და პრეზიდენტის წინააღმდეგ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება: 1. საქართველოს მოსახლეობისათვის ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნების მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგიერთი პოზიციის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის 258-ე ბრძანებულების მეორე, მესამე, მეოთხე პუნქტებისა და 2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის პირველი ოქმის რატიფიცირების შესახებ, საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მეექვსე პუნქტის კონსტიტუციურობის, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით."**

მეანაბრეებისათვის ავადსახსენებელი მეექვსე პუნქტის თანახმად, **"საქართველოს ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაბრუნებაზე პირველი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება გავრცელდეს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის 258-ე ბრძანებულების საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტის შესაბამისად."**

პროფესორ კარლო ღურწკაიას შეფასებით, ხელისუფლების ინიციატივა - შიდა ვალები ბიუჯეტიდან გაისტუმროს - ყოვლად დაუშვებელია. **"რა შუაშია ბიუჯეტი, რომელსაც ხალხი, ანუ ჩვენ ვქმნით გადასახადებით. გამოდის, რომ ჩვენ ისევ ჩვენსავე ხარჯზე გადაგვიხდიან?** – კითხულობს საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე, თუმცა პასუხი ნაპოვნი აქვს, - **მეანაბრეების გაანგარიშებით, დღეისათვის, მათი ფული პროცენტთან ერთად 40 მილიარდ დოლარზე მეტია. ეს თანხა ვინც მიითვისა და გაიტანა შესანახად, მანვე უნდა დააბრუნოს. ხელისუფლების კეთილი ნების შემთხვევაში, ეს სრულიად რეალურია."**

# საპარლამენტო კომიტეტი ახალი მაკონტროლებელი სამსახურის შექმნას ლობირებს

ნინო ნარჩემაშვილი

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მოქალაქე დავით ებრალიძის თანაავტორობით შემუშავებულ "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ მსჯელობს. დავით ებრალიძის მიერ შემუშავებულ იქნა კანონპროექტი, რომლის მიხედვით, "მარეგულირებელ კომისიასთან ყალიბდება მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური", რომლის ხელმძღვანელს, "ანტიმონოპოლიური სამსახურის წარდგინებით", ნიშნავს და ათავისუფლებს სახალხო დამცველი. მას აქვს მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის თანაბარი ხელფასი და "წელიწადში ერთხელ მაინც, ფინანსურ ანგარიშებს წარუდგენს შესაბამის მარეგულირებელ კომისიასა და საზოგადოებას". კანონპროექტის შესაბამისად, აღნიშნული სამსახურის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა მომხმარებელთა უფლებების სასამართლოში დაცვა იქნება. ხოლო, რაც შეეხება ხარჯებსა და თანამშრომელთა სახელფასო თანხებს, კანონპროექტში ეს პუნქტი კონკრეტულად არ არის განსაზღვრული.

საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს დემურ გიორხელიძეს მიაჩნია, რომ კანონპროექტი მისაღებია, რადგან მისი მეშვეობით სამოქალაქო უფლებათა დაცვის მექანიზმის დაზუსტება მოხდება. მისი განცხადებით, კანონპროექტის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად უკვე გადაეცა ყველა შესაბამის უწყებას, რომლებმაც ათი დღის ვადაში თავიანთი მოსაზრებები უნდა შეიმუშაონ და წარადგინონ კომიტეტში. პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე კი მისი განხილვა მოხდება.

კომიტეტის წევრის, პარლამენტარ ზურაბ ცქიტიშვილის განცხადებით, რეალურად, აღნიშნული კანონპროექტი არავის უნახავს: **"მუშაობა მხოლოდ მსჯელობის დონეზე მიმდინარეობს და დეტალებში, თვითონ კანონპროექტის ავტორებიც არ არიან გარკვეული".** მისივე განცხადებით, აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტორი, რასაც კანონპროექტის ავტორები არ ითვალისწინებენ. კერძოდ, "დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" კანონის თანახმად, აღნიშნულ დოკუმენტში დამატებებისა და შესწორებების წარმოდგენის პრეროგატივა აღმასრულებელ და არა საკანონმდებლო ხელისუფლებას ეკუთვნის. საკმაოდ ბუნდოვანია, რა სპეციფიკითა და კონკრეტული პროფილით უნდა იმუშაოს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა. ზურაბ ცქიტიშვილი აცხადებს, რომ წარმოდგენილ ვარიანტს იგი მხარს არ დაუჭერს.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში 2001 წლის ივნისიდან უკვე მუშაობს სამოქალაქო უფლებების დაცვის დეპარტამენტი. ის ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიებთან მიმართებაში, მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად, ზუსტად იმ ფუნქციებს ასრულებს, რასაც "ახალი" კანონპროექტი გულისხმობს. სემეკში აცხადებენ, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმის გაძლიერება, თავისთავად მხარდასაჭერია, მაგრამ წარმოდგენილი კანონპროექტი, როგორც მასში ჩადებული პრინციპის, ასევე "მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის" ფუნქციებისა და უფლება-მოვალეობების განსაზღვრის კუთხით, არასრულფასოვანია. ამასთან, არაკანონიერია ნებისმიერი მარეგულირებელი ორგანოსაგან დაფინანსების მოთხოვნა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გარდა იმისა, რომ ასეთი სტრუქტურა სემეკში უკვე არსებობს, კანონპროექტით გათვალისწინებული სამსახურის შექმნა ხარჯების გაზრდას გამოიწვევს, რაც თავის მხრივ, სამომხმარებლო ტარიფებზე აისახება. სემეკს კი ეს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია.

საერთოდ კი, კანონი "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" უკვე აწესებს მომხმარებელთა დაცვის სამსახურის არსებობას, საზღვრავს მათ ფუნქციებს და სტრუქტურაში ორი იდენტური რგოლის არსებობას არ ითვალისწინებს.

## მოკლედ

**თბილისი.** "ჭიათურმანგანუმში" შექმნილი კრიზისული სიტუაციისადმი მიძღვნილ სპეციალურ თათბირზე სამშაბათს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის წევრებს ოთხი თვის დაგვიანებული ხელფასის დაუყოვნებლივ გაცემა მოსთხოვა. **"პრაიმ-ნიუსი".**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის საკრებულოს ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელის ლევან გაჩეჩილაძის განცხადებით, მერიის მიერ დაფუძნებული შპს-ების რაოდენობა 300-ს აღწევს, საიდანაც შარშან ბიუჯეტმა მხოლოდ 230 ათასი ლარი მიიღო. გარდა ამისა, თითქმის ყველა შპს წამგებიანია. თბილისის მერიასთან არსებული თითქმის ყველა უწყება შპს-ებად და სააქციო საზოგადოებებად არის გადაკეთებული, მათ შორისაა „თბილწყალკანალი", „მეტროპოლიტენი", "თბილბაგირტრანსი", „თბილლიფტი", „თბილგაზი". **"მედია-ნიუსი".**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი თბილსრესის ენერგობლოკი მიმდინარე ზამთარს, შესაძლოა, არც ჩაირთოს, რადგან მისი გაზმომარაგების შარშანდელი სქემა წელს სავალუტო ფონდმა დაიწუნა. **"ინტერ-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** ენერგოსაბითუმო ბაზარმა ურჩი გადამხდელების მიმართ სადამსჯელო ღონისძიებები განაახლა და დღეს რუსთავს იანვარში მოხმარებული დენის საფასურის გადაუხდელობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა. სამ დღეში გამოირთვება გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიაც, თუ მანამდე ის დავალიანებას არ დაფარავს. **"ინტერ-პრესი".**

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 6 - 12 თებერვლის მდგომარეობით



# "თბილგაზზე" გამოცხადებული ტენდერი ფიქციაა - აცხადებენ პარლამენტარები

პირველი გვერდიდან

**ანულირება გაუკეთოს სატენდერო განაცხადს, ან მოახდინოს მისი მოდიფიცირება. ასეთ ვითარებაში, სატენდერო განაცხადი საერთოდ უაზრობაა,"** – მიიჩნევს ჩუბინიშვილი.

სატენდერო პირობების მიხედვით, პრეტენდენტების ფინანსური ვალდებულებები მეტისმეტად ბუნდოვანია. **"კონკურსანტმა გაურკვეველი ოდენობის ათპროცენტიანი კრედიტი 10 თვით უნდა აიღოს და, ისიც, მერიის გარანტიით. "თბილგაზის" რეაბილიტაციისთვის ეს ვადა საკმარისი არ არის. არ არის დაკონკრეტებული რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ვალდებულებები და საჭირო თანხა. როგორც ჩანს, "თბილგაზის" კრედიტებით შენახვის მერიის მიერ დამკვიდრებული ტენდენცია კვლავ გაგრძელდება, "თბილგაზს" კი, რეალურად, არაფერი ეშველება,"** – აცხადებს ჩუბინიშვილი. მის ეჭვებს ისიც აძლიერებს, რომ კონკურსანტს გაზის საფასურის ამოღების კოეფიციენტის 50 პროცენტამდე გაზრდა 2004 წლის 1 აპრილამდე მოეთხოვება, ამ მაჩვენებელზე გასვლას კი "თბილგაზი" დღესაც ახერხებს.



ირაკლი ჩუბინიშვილი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ჩუბინიშვილისთვის გაუგებარია ტენდერის მიზანიც. საკონკურსო პირობების მიხედვით, სხვის მართვაში "თბილგაზის" გაცემა იმიტომ ხდება, რომ ის ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღარ "იკვებებოდეს". ამავდროულად, მერია კიდევ სამი წლის მანძილზე კისრულობს "თბილგაზის" დაფინანსებას.

ენერგოკრიზისის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის განსაკუთრებული ყურადღება საკონკურსო პირობებში ჩადებულმა "უპრეცედენტო მუხლმა" გამოიწვია. როგორც ირკვევა, მერია "თბილგაზის" მმართველობაში ჩარევის ჩვევას არ ღალატობს და კონკურსანტს თავიდანვე სთხოვს კომპანიის მომავალი დირექტორის ვინაობის დაკონკრეტებას.

**"ტენდერის შედეგად "თბილგაზში" არაფერი შეიცვლება. ამიტომ, არ მგონია, თბილისის საკრებულომ "თბილგაზის" მართვის ამგვარი ფორმით გასხვისებას მხარი დაუჭიროს,"** – ვარაუდობს ჩუბინიშვილი და დასძენს, რომ როგორც ჩანს, "თბილგაზს" თვალი პრეზიდენტთან დაახლოებულმა პირებმა დაადგეს. **"ამაზე საკონკურსო პირობებში წარმოდგენილი "თბილგაზის" რეაბილიტაციისთვის დადგენილი ვადები – 2005-2006 წელი მეტყველებს",** – აკონკრეტებს პარლამენტარი.

ჩუბინიშვილის მოსაზრებებს იზიარებს "დემოკრატი" მიხეილ მაჭავარიანი და აღნიშნავს, რომ **"ის პირობები, რაც ტენდერშია ჩადებული, არასერიოზულია: ინვესტორი ფინანსურად პასუხს არაფერზე აგებს, რბილი პირობებია გადასახადის ამოღებასთან დაკავშირებითაც. ჩვენ ვეჭვობთ, რომ ერთ თვეში ვერც ერთი კომპანია ვერ შეძლებს დოკუმენტაციის მომზადებას, თუ, რასაკვირველია, მისთვის წინასწარ არ იყო ცნობილი ამ ტენდერის შესახებ."** ანალოგიური აზრისაა პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძეც.


## საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი (MBG) – ევროპული სტანდარტი ქართულ რეალობაში

ქართული რეალობა და ევროპული სტანდარტი. ეს ორი ცნება მრავლისმომცველია და ერთმანეთისაგან განსხვავებული. Bბოლო ათწლეულის მანძილზე მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების გამო კი მეტად აქტუალური გახდა და, შესაბამისად, ხშირად ისმის კითხვა, თუ რამდენად შეთავსებადია ერთმანეთთან ზემოთხსენებული ორი განზომილება?

დასავლური სტანდარტების ზეგავლენა ყველა სფეროში იგრძნობა, განსაკუთრებით კი ბიზნესში. ყველაზე მეტად შეთავსებადობა საბანკო სექტორში აისახა – ნათელი დასტური ამისა არის საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი ემ-ბი-ჯი, რომლის აქციათა 100%-ის მფლობელები სოლიდური უცხოური ბანკები და ფინანსური ორგანიზაციები არიან. აქციონერთა სტრუქტურა დღეისათვის შემდეგია:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, (EBRD)- 10%

ჰოლანდიის სახელმწიფო განვითარების ბანკი, (FMO) - 10%

კომერცბანკი, Commerzbank AG – 15%

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია, (IFC) – 16%

გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკი, (KFW) – 20%

საერთაშორისო მიკროსაინვესტიციო კომპანია, (IMI) – 29%

თუ გერმანული ჟურნალის "Die Bank" – ის მიერ შედგენილ გერმანული ბანკების რეიტინგს გადავხედავთ, საინტერესო დეტალს აღმოვაჩენთ, ცხრილში მოყვანილია გერმანიის 10 საუკეთესო ბანკი. რეიტინგი 2001 წლის მონაცემების საფუძველზეა შედგენილი. სასიამოვნო ფაქტია, რომ ათეულში, შესაბამისად, მე-4-ე და მე-9-ე პოზიციები უჭირავთ ემ-ბი-ჯი ბანკის აქციონერებს კომერცბანკსა და გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკს (KfW).

| ადგილი | ბანკი | აქტივები მილიონ ევროში |
|---|---|---|
| 1 | Deutsche Bank AG | 918,222 |
| 2 | Bayerische Hypo- und Vereinsbank AG | 728,170 |
| 3 | Dresdner Bank AG | 506,683 |
| 4 | Commerzbank AG | 501,312 |
| 5 | Westdeutsche Landesbank Girozentrale | 431,910 |
| 6 | DZ Bank AG | 364,600 |
| 7 | Bayerische Landesbank Girozentrale | 325,825 |
| 8 | Landesbank Baden-Wuerttemberg | 302,020 |
| 9 | Kreditanstalt fuer Wiederaufbau (KfW) | 244,883 |
| 10 | Norddeutsche Landesbank Girozentrale | 199,855 |

არსებობის სამი წლის მანძილზე საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი, ემ-ბი-ჯი ქვეყნის ერთ-ერთ უმძლავრეს ბანკად ჩამოყალიბდა. ამას პირველ რიგში განაპირობებს საბანკო საქმის წარმართვის გერმანული პრინციპები და ორიენტაცია მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებზე, მოსახლეობის იმ კატეგორიაზე, რომლებიც ქმნიან ეროვნული ეკონომიკის საფუძველს.

აღსანიშნავია, რომ ბანკის აქციონერები ერთობ კმაყოფილები არიან მიღწეული შედეგებით და ბანკის მენეჯმენტს აბსოლუტურ მხარდაჭერასა და თანადგომას უცხადებენ. სწორედ ამის დასტურია ის ფაქტი, რომ 2002 წლის ნოემბერში აქციონერთა ასამბლეამ საქმიანობის გაფართოების მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის 10,000,000 ლარიდან 20,000,000 ლარამდე გაზრდის შესახებ. კაპიტალის გაზრდის პროცესი უკვე დასრულებულია, მასში ბანკის ყველა აქციონერმა შეიტანა საკუთარი წვლილი.

ის გარემოება, რომ საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკმა შეძლო დასავლური სტანდარტების დამკვიდრება საბანკო სექტორში მხოლოდ ჟურნალისტებისა და მოსახლეობის შეხედულება არ არის, ამ ფაქტმა ოფიციალური აღიარებაც მიიღო, კერძოდ კი 2002 წლის დეკემბერში საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ გამოცემათა სამსახურმა შეაჯამა წლის ტრადიციული კონკურსის "ეროვნული ეკონომიკის მეწინავენი –2001"-ის შედეგები. ნომინაციაში წლის საუკეთესო უცხოური კომპანია პირველი პრიზი საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკმა დაიმსახურა.

სასიხარულოა, რომ საქართველოში არსებობს ბანკი, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენებზეა ორიენტირებული და თავისი საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.



## ექსპლოატაციის ტექნიკოსი

კომპანია "ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიან სი) ლიმიტედ" (საქართველო) BP Exploration (Caspian Sea) LTD. Georgia) აცხადებს კონკურსს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლოატაციის ნაწილში ექსპლოატაციის ტექნიკოსის ვაკანსიის დასაკავებლად.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

შერჩეული კანდიდატები გაივლიან ოფიციალურ სწავლებას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სრულ ამოქმედებამდე, და ორიენტაციის პროგრამის გავლის შემდეგ ჩაირიცხებიან მილსადენის ექსპლოატაციის და ტექმომსახურების ჯგუფში, რომელიც უზრუნველყოფს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის და მისი ობიექტების გამართულ მუშაობას და მექანიკურ მთლიანობას.

**ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):**

- საექსპლოატაციო ტექმომსახურების პროცედურების ცოდნის დემონსტრირება;
- მილსადენის ტექმომსახურების ყველა საჭირო პროცესის, პროცედურის და ვალდებულების სათანადოდ შესრულება;
- კომპანიის პოლიტიკის წესების დაცვა, ვალდებულებების და მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნების შესრულება;
- "ადამიანთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის" (HSE) პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირება:
  - უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის განხორციელება სამუშაო ობიექტზე;
  - "მუშაობის ნებართვის" სისტემის და ობიექტის უსაფრთხოების ჟურნალის შევსების ყველა წესის შესრულება;
  - HSE-ს და "წარმოების" სფეროებში პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა.
- პროფილაქტიკური მიდგომა პრობლემების მოგვარებისადმი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის მზადყოფნა;
- მზადყოფნა მოშორებული ადგილმდებარეობის მქონე ობიექტებზე მუშაობისათვის;
- აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარის გამოვლენა ობიექტზე მომუშავე პერსონალთან და მილსადენის საოპერაციო ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას;
- აუცილებელია გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლების ათვისების უნარის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა მილსადენის / ობიექტების გამართული მუშაობის მართვის პროცესში;
- სამუშაოს დაგეგმვის და დროის განაწილების ჩამოყალიბებული უნარი.

**კონკრეტული მოვალეობები განისაზღვრება გამოსაცდელი პერიოდის გასვლის შემდეგ.**

**მუშაობის გამოცდილება და განათლება:**
**კანდიდატს უნდა გააჩნდეს:**

- შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების დიპლომი ტექნიკური სპეციალობით (ინჟინერი);
- საწარმოო დაწესებულებებში, მაგ., ელექტრო, ხელსაწყოების, მექანიკურ საწარმოებში მუშაობის საკმარისი გამოცდილება;
- ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერითი მეტყველების უნარი და ენის უკეთ შესწავლის სურვილი;
- ავტომანქანის მართვის უფლება (მინიმუმ "B" კატეგორია);
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 14 თებერვალი, პარასკევი, 18 საათი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"**
**"ბი-პი საქართველო", საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**

# ვაშინგტონის წინააღმდეგ ფრანგულ-რუსულ-გერმანული ალიანსი ჩამოყალიბდა

პირველი გვერდიდან

და გააფრთხილა, რომ ვაშინგტონი მათი გადაწყვეტილების შეცვლას მოუთმენლად ელოდება. **"მე არ მესმის ეს გადაწყვეტილება. ეს მთელ ალიანსზე უარყოფითად აისახება,"** - განაცხადა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა. თუმცა, ექსპერტების აზრით, "მეამბოხე" ქვეყნების მხრიდან პოზიციების დათმობა ნაკლებადაა სავარაუდო.

უკვე მრავალი ექსპერტი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ნატო-სთვის ეს განხეთქილება შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტროუმ მკაცრად გააკრიტიკა ერაყის პრობლემის დარეგულირების გერმანიისა და საფრანგეთისეული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ბაღდადში გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა რიცხვის გაზრდას და მათი მისიის გაძლიერებას. სტროუს თქმით, პრობლემის მოგვარებისათვის ახლანდელზე ათასჯერ მეტი ინსპექტორის ჩასვლაც კი არ იქნება საკმარისი.

აღსანიშნავია, რომ ამ გეგმის არსებობის შესახებ პირველად მიუნხენის კონფერენციაზე გახდა ცნობილი. იმის ნაცვლად, რომ გეგმა მის ავტორებს ალიანსის სხვა ქვეყნებისათვის განსახილველად გადაეცათ (დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად), იგი მათ პირდაპირ მასმედიას წარუდგინეს.

ამიტომ მიუნხენში,. ჟურნალისტებთან საუბრისას, გავლენიანმა ამერიკელმა სენატორმა მაკკეინმა განაცხადა, რომ ეს გეგმა საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიის ნაწილია და არა ერაყის განიარაღების მცდელობა.

ამავე დროს გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრებთან გამართულ არაოფიციალურ შეხვედრაზე განიხილა გაერო-ს მზადყოფნა ჰუმანიტარული კრიზისის შემთხვევაში, რომელიც გარდაუვალი იქნება, თუ ომი დაიწყო.

გუშინვე გერმანიის კანცლერის გერჰარდ შრიოდერის და აშშ-ს ევროპელი მხარდამჭერის, ესპანეთის პრემიერ-მინისტრის ხოსე მარია ასნარის შეხვედრა გაიმართა. მიმომხილველთა განცხადებით, პრემიერ-მინისტრი ასნარი თეთრი სახლის თხოვნით მოქმედებს და ცდილობს თავის ევროპელ კოლეგებს ერაყთან დაკავშირებით შეაცვლევინოს პოზიცია. ამ შეხვედრის შედეგები, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის.

დღეისათვის ომის მოწინააღმდეგეთა ბანაკს (როგორც რამსფელდი ამბობს - "ძველ ევროპას") შეადგენენ:



ვლადიმირ პუტინი და ჟაკ შირაკი

გერმანია, საფრანგეთი, ბელგია და რუსეთი.

შეერთებულ შტატებს მხარს უჭერს დარჩენილი ქვეყნების უმრავლესობა (ცხადია, ნეიტრალური და ამ სტატუსთან ახლოს მყოფი ქვეყნების: შვეიცარიის, შვედეთის, ირლანდიის და სხვ. გამოკლებით), განსაკუთრებით აქტიურად კი – აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები, რომლებიც ახლახან გაწევრიანდნენ ნატოში (პოლონეთი, ჩეხეთი უნგრეთი), ან ახლო მომავალში აპირებენ მასში გაწევრიანებას (ე.წ. ვილნიუსის ათეული: ალბანეთი, ბულგარეთი, ხორვატია, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, რუმინეთი, სლოვაკია, სლოვენია. გარდა ამისა, ამერიკის მიმართ მხარდაჭერა გამოხატეს მისმა ტრადიციულმა ევროპელმა მოკავშირეებმა (ინგლისი, დანია, იტალია. ესპანეთი და სხვ).

ამერიკის მხარდამჭერთა შორისაა საქართველოც. გუშინდელ რადიოინტერვიუში პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ ტოტალიტარული რეჟიმი, რომელიც მასობრივი განადგურების იარაღს ქმნის, მთელი მსოფლიოსათვის წარმოადგენს საფრთხეს.

გავრცელდა ხმები იმის თაობაზეც, რომ შეიძლება საქართველო, უკრაინასა და აზერბაიჯანთან ერთად, ვილნიუსის ათეულს შეუერთდეს.

რაც შეეხება საზოგადოების დღევანდელ დამოკიდებულებას შესაძლო ომისადმი, ცნობილი გახდა გელაპის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები; რომლის თანახმადაც, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობა ერაყში სამხედრო ოპერაციების დასაწყებად გაერო-ს მანდატს აუცილებელ პირობად მიიჩნევს.

რაც შეეხება თავად ამერიკელების აზრს, "ვაშინგტონ-პოსტისა" და "ეი-ბი-სის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მოსახლეობის 60 პროცენტი მხარს უჭერს ომის დაწყებას, თუნდაც გაერო-ს რეზოლუციის გარეშე. მაგრამ ისინი აუცილებელ პირობად მიიჩნევენ მოკავშირეების მხარდაჭერას. მოკავშირეებად პირველ რიგში მოიაზრებიან ინგლისი, იტალია და ავსტრალია.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელთა 56 პროცენტი წინააღმდეგია მათი ქვეყნის მონაწილეობისა ერაყის ომისშემდგომ რეკონსტრუქციაში, რასაც, წინასწარი შეფასებით, წელიწადში 15 მილიარდი დოლარი დასჭირდება.

პარალელურად, ერაყის მთავრობამ გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა კიდევ ერთი მოთხოვნა დააკმაყოფილა და თავის საჰაერო სივრცეში დასავლეთის ქვეყნების სადაზვერვო თვითმფრინავებს ფრენის უფლება დართო. ამასთანავე, რამდენიმე საათში სადამ ჰუსეინმა აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს ერაყის ტერიტორიების დაბომბვების შეწყვეტა მოსთხოვა. ერაყის პრეზიდენტმა კატეგორიულად დააყენა საკითხი, რომ შეწყდეს იმ ობიექტების დაბომბვა, რომლებიც ერაყის ავიაციისათვის დახურულ ზონად არიან გამოცხადებულნი და სადაც დასავლეთის ქვეყნების სადაზვერვო თვითმფრინავები დაიწყებენ მოქმედებას.

მიუხედავად ამისა, აშშ-მ ერაყის ეს კომპრომისი არაფრად მიიჩნია და ბაღდადს დროის გაყვანის მცდელობაში დასდო ბრალი. გარდა ამისა, პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, რომ ერაყის ხელისუფლებას შეგნებულად შეჰყავს თავისი სამხედრო შენაერთები დასახლებულ პუნქტებში და ამით მიზნად ისახავს მშვიდობიანი მოსახლეობის გამოყენებას "ცოცხალ ფარად". **"ჰუსეინს თავისი შეიარაღებული ძალები მშვიდობიანი მოსახლეობის სიღრმეში შეჰყავს, რათა ამით თავისი ჯარისკაცები დაიცვას და მოკავშირეთა ძალებს მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვა დააბრალოს,"** - განაცხადა ბუშმა.

ყოველივე ამის ფონზე კიდევ ერთ, უდავოდ ღირსშესანიშნავ მოვლენად ითვლება ფრანგულ-რუსულ-გერმანული ალიანსის გაფორმება. გავლენიანი ბრიტანული გაზეთის "ფაინენშალ ტაიმსის" ცნობით, ეს ნაბიჯი გაერო-ში არსებულ ურთიერთსაწინააღმდეგო დინებებზე უკვე აშკარად მიუთითებს. გამოცემის აზრით, პრეზიდენტმა შირაკმა გადაწყვიტა, რომ სათავეში ჩაუდგეს ომის დაწყების მოწინააღმდეგეთა ბლოკს და ამით ვაშინგტონს პოზიციების შეცვლა აიძულოს. **"ომის ალტერნატივა ჯერ კიდევ არსებობს. ძალის გამოყენება მხოლოდ უკანასკნელი საშუალება უნდა იყოს,"** - განაცხადა შირაკმა, ფრანგულ-რუსულ-გერმანული დეკლარაციის ციტირებისას პარიზში, პუტინთან გამართული შეხვედრის შემდეგ.

ერთობლივ დეკლარაციას ხელი მოეწერა ბერლინში, სამივე ქვეყნის ლიდერთა შეხვედრის დროს. ამავე დეკლარაციაში პუტინი, შრიოდერი და შირაკი კიდევ ერთხელ მოუწოდებენ აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს და მათ მოკავშირეებს ერაყში ინსპექტირების გაგრძელებისაკენ.

ამდენად, ამ კვირის საერთაშორისო მოვლენები, ძირითადად, ერაყის საკითხზე იქნება აქცენტირებული. ვაშინგტონის მიზნებს გარკვეულწილად აფერხებს ნატო-ში და გაერო-ს უშიშროების საბჭოში დაწყებული სერიოზული განხეთქილება და ერაყის ხელისუფლების მხრიდან კომპრომისებზე წასვლა.

არადა, სამხედრო ექსპერტები ერთხმად აცხადებენ, თუ ომი უახლოეს დღეებში არ დაიწყო, მარტიდან მისი წარმოება, კლიმატური პირობების გამო, საგრძნობლად გართულდება.

# ლონდონის დასაცავად არმია გამოვიდა

სკოტლანდ იარდის ცნობით, ლონდონში არმიის დანაყოფები იქნა გამოყვანილი, რათა დედაქალაქზე ალ-ქაიდას შესაძლო დარტყმები თავიდან აიცილონ.

უსაფრთხოების ზომების გამკაცრება დაკავშირებულია ჰაჯისთან, მუსლიმების ყოველწლიურ მსვლელობასთან მექაში. ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ჰაჯი, შესაძლოა, ფანატიკოსმა ტერორისტებმა საბაბად გამოიყენონ და ტერორისტული აქტები მოაწყონ.

ლონდონის ჰითროუს აეროპორტში 450 ჯარისკაცი განლაგდება. მსგავსი ღონისძიებები დედაქალაქის სხვადასხვა ნაწილშიც გატარდება.

სკოტლანდ იარდის წარმომადგენლის თქმით, უსაფრთხოების ზომების გამკაცრება წინდახედული ნაბიჯია. "ეს დაკავშირებულია სხვა ქვეყნებში განხორციელებულ ქმედებებთან და იმ შესაძლებლობასთან, რომ რელიგიური დღესასწაული, შეიძლება, ალ-ქაიდასა და მისი მოკავშირეებისათვის თავდასხმის საბაბი გახდეს".

"არსებობს საფრთხე, რომელიც დედაქალაქს, რეალურად, ემუქრება", - განაცხადა მან. "შეიარაღებული ძალების გამოყენება საგანგებო სიტუაციებისათვის შემუშავებული გეგმის ნაწილია, რომელიც მთავრობამ ჯერ კიდევ ირლანდიის რესპუბლიკური არმიის აქტიურობისას გამოიყენა".





ლონდონის აეროპორტში ჯავშანტექნიკა შეიყვანეს.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინ ბრიტანეთის უახლოესმა მოკავშირემ შეერთებულმა შტატებმაც გაამკაცრა უსაფრთხოების ზომები, რაც, ლონდონის მსგავსად, ალ-ქაიდას მოსალოდნელი თავდასხმებით ახსნა.

ჰითროუს აეროპორტში საჯარისო ნაწილები გუშინ, ადგილობრივი დროით დილის ექვს საათზე შეიყვანეს. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ჯარისკაცები მანამ დარჩებიან, სანამ პოლიცია ამას საჭიროდ მიიჩნევს. აეროპორტში მათ ჯავშანტექნიკაც შეუერთდება. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში აეროპორტის დაცვის წევრების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

აეროპორტში საჯარისო ნაწილები ადრე 1994 წელს განალაგეს, როდესაც ირლანდიის რესპუბლიკური არმია ჰითროუზე თავდასხმას გეგმავდა.

ჰითროუს აეროპორტის მმართველი დირექტორის მიკ ტემპლის თქმით, "მგზავრებისა და მომსახურე პერსონალის უსაფრთხოება მთავარი პრიორიტეტია". "ჩვენ ვთხოვთ მგზავრებს, რომ გარკვეული სირთულეების შემთხვევაში მეტი მოთმინება გამოიჩინონ , რაც, შესაძლოა, უსაფრთხოების გამკაცრებულმა ზომებმა გამოიწვიოს", - თქვა მან.





# სოციოლოგები კოჩარიანს გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ

სომხეთში 19 თებერვალს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში კოჩარიანს გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი აქვს – მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად ამ დასკვნამდე მივიდა ორი სხვადასხვა სოციოლოგიური სამსახური.

სააგენტო გლოუბ ნიუსის მიერ ჩატარებულ კვლევაში 3000 რესპოდენტი მონაწილეობდა. მათგან 56 პროცენტმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს ამჟამინდელ პრეზიდენტს. 18,7 პროცენტი, სავარაუდოდ, სახალხო პარტიის ლიდერს, სტეფან დემირჭიანს მისცემს ხმას, 16 პროცენტი კი ეროვნული ერთიანობის პარტიის ლიდერს, არტაშეს გეგამიანს ემხრობა.

ვაზგენ მანუკიანსა და არამ კარაპეტიანს, შესაბამისად, მოსახლეობის 4 და 3 პროცენტი უჭერს მხარს.

გლოუბ ნიუსის გამოკითხვა, ახალი ამბების სააგენტო არმინფოს ცნობით, მოიცავდა როგორც ერევანს, ისე რეგიონებს.

გლოუბ ნიუსისაგან რამდენადმე განსხვავებული შედეგები მიიღო სომხეთის სოციოლოგიურმა ასოციაციამ (სსა), რომელმაც ერევნის 600 მკვიდრი გამოკითხა.

სსა-ს ცნობით, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა გამოკითხულთა 87 პროცენტმ. მათგან 32 პროცენტი მხარს უჭერს კოჩარიანს, 9 პროცენტი - გეგამიანს, 8,8 - დემირჭიანს, 2,7 - კარაპეტიანს.

საინტერესოა, რომ სსა-ს შედეგების თანახმად, გამოკითხულთა 30 პროცენტმა ჯერ არ იცის, ვის დაუჭერს მხარს, 11 პროცენტი კი ყველა კანდიდატის გადახაზვას აპირებს.

აღსანიშნავია, რომ ორი სააგენტოს მიერ მიღებულ შედეგებს შორის არსებული განსხვავება შეიძლება აიხსნას როგორც დედაქალაქისა და ქვეყნის დანარჩენი ნაწილის მცხოვრებთა განსხვავებული პოლიტიკური სიმპათიებით, ისე კვლევაში დაშვებული შეცდომებით.

# მოლდოვა დნესტრისპირეთს ახალი კონსტიტუციის პროექტს სთავაზობს

რევაზ ბახტაძე

11 თებერვალს მოლდოვას პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმა დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარების გეგმა გამოაქვეყნა. ამ გეგმის ძირითად ნაწილს მოლდოვას ერთიანი სახელმწიფოს ახალი კონსტიტუციის პროექტი წარმოადგენს.

ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში რუსულენოვანი დნესტრისპირეთის რეგიონი, მოსკოვის წაქეზებითა და იმის შიშით, რომ მოლდოვა რუმინეთს შეუერთდებოდა, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე გამოეყო მოლდოვას.

ცენტრსა და რეგიონს შორის ხანმოკლე ომი 1992 წელს მიდინარეობდა. ამის შემდეგ, საერთო ენისა და ისტორიის მქონე მოლდოვამ და რუმინეთმა გაერთიანების თაობაზე ლაპარაკი საერთოდ შეწყვიტეს.

კიშინიოვი დნესტრისპირეთს მუდმივად ადანაშაულებდა კონტრაბანდაში, კრიმინალების მფარველობასა და საქონლის ექსპორტირებისას გადასახადებისათვის თავის არიდებაში.

"ჩვენ გვჭირდება კონსტიტუცია, რომელიც ჩვენი ხალხისათვის საამაყო გახდება, რომელიც მდინარე დნესტრის ორივე მხარეს საერთო მუშაობის შედეგი იქნება", - აღნიშნა ვორონინმა სამთავრობო გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში.

"დღეს ჩვენ დნესტრისპირეთში არ მივდივართ ჩვენი კანონებით და არ მოვითხოვთ უპირობო დანებებას. დღეს ჩვენ დნესტრისპირეთს ვთავაზობთ, რომ მოლდოვას რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის თანაავტორები გახდნენ", - აღნიშნა ვორონინმა კონსტიტუციის პროექტზე საუბრისას.

დნესტრისპირეთის ხელისუფლებას კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. მოლდოვა კონსტიტუციის შესაცვლელად რეფერენდუმის ჩატარებას გეგმავს.

გასულ წელს ეუთო-მ მოლდოვას მოუწოდა, რომ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მოდელად ფედერაცია აერჩია საერთო ვალუტით, არმიითა და საბაჟო სისტემით. რაც არ გამორიცხავს იმას, რომ დნესტრისპირეთს საკუთარი კონსტიტუცია ექნება.

გასულ კვირას ვორონინის რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრის დროს დნესტრისპირეთის პრობლემას ცენტრალური ადგილი ეკავა. მოლდოვას საინფორმაციო წყაროების ცნობით, მოსკოვი და კიშინიოვი შეთანხმდნენ, რომ დნესტრისპირეთის კონფლიქტი რუსეთის, უკრაინის და ეუთო-ს აქტიური მონაწილეობით და მხოლოდ მოლაპარაკებების გზით უნდა მოგვარდეს.

"[მოლაპარაკებების] საბოლოო შედეგი დნესტრისპირეთის გარანტირებული სტატუსი უნდა იყოს, რაც მოლდოვას რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას არ დაარღვევს", - ხაზგასმით აღნიშნა რუსეთის ლიდერმა. "ეს რუსეთის გრძელვადიან ინტერესებს შეესაბამება, რაც ორმხრივ სტრატეგიულ თანამშრომლობას გულისხმობს", - დასძინა პუტინმა

როგორც ჩანს, ახალი კონსტიტუციის თაობაზე განცხადების გაკეთებამდე ვორონინმა პროექტი რუსეთის პრეზიდენტთან შეათანხმა, რასაც ტირასპოლის (დნესტრისპირეთის დედაქალაქი) პოზიციაზე დიდი გავლენა ექნება. თუმცა, რამდენად უზრუნველყოფს ახალი კონსტიტუციის მოდელი მოლდოვას ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტის განმტკიცებას, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია.

# თურქული არმია საერთაშორისო კოალიციის სარდლობას არ დაექვემდებარება

რევაზ ბახტაძე

თურქეთის ლიდერმა რეჯებ ერდოგანმა მეზობელ ერაყში დაწყებული ნებისმიერი შეიარაღებული მოქმედების დაწყებისას თურქეთის შეიარაღებული ძალების აშშ-ს სარდლობის მეთაურობის ქვეშ გადასვლა გამორიცხა, რადგან ეს მთელი თურქი ერისათვის შეურაცხყოფა იქნება, - იუწყება საინფორმაციო სააგენტო "როიტერი".

რეჯებ ერდოგანმა აღნიშნული განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ნატო-ს წევრებმა საფრანგეთმა, ბელგიამ და გერმანიამ უარი განაცხადეს შეერთებული შტატების წინადადებაზე, რომ ნატო-მ ერაყის თავდასხმის შემთხვევაში თურქეთი დაიცვას.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა აბდულა გულმა სამშაბათს განაცხადა, რომ ნატო-ს ანკარას წინაშე მორალური და ხელშეკრულებითი მოვალეობა აქვს, რომ სამხედრო მზადება დაიწყოს ერთგული მოკავშირის დასაცავად, რომელიც ცივი ომის დროს ათწლეულების განმავლობაში თავად იცავდა ევროპის საფრონტო ხაზს.

მართალია, ანკარამ ნება დართო თავის ნატო-ელ მოკავშირეს შეერთებულ შტატებს, რომ თურქეთი ერაყის წინააღმდეგ მოსალოდნელ ომში გამოიყენოს, მაგრამ თურქეთის ხელისუფლება ხაზგასმით აცხადებს, რომ ის არანაირ სამხედრო მოქმედებას არ შეუერთდება და შეიარაღებულ ძალებს მხოლოდ ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად და თურქებით დასახლებულ ჩრდილოეთ ერაყში ვითარების გართულებისას გამოიყენებს.

ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენელთა მტკიცებით, ნებისმიერი სახის სამხედრო ოპერაცია ერაყში საერთაშორისო კოალიციის ერთიანი სარდლობის ქვეშ უნდა განხორციელდეს. თუმცა, ერდოგანმა ნათლად მიანიშნა ყველას, რომ თურქეთი ამგვარ გეგმას არ ეთანხმება.

"როგორც ერს, ჩვენ ეს დამამცირებლად მიგვაჩნია. "სამართლიანობისა და განვითარების პარტია" ამგვარ წინადადებას შეურაცხყოფად აღიქვამს", - მოჰყავს ერდოგანის სიტყვები თურქულ ყოველდღიურ გაზეთ "ჰურიეტს".

თურქეთის გავლენიანი გენერლები, რომლებიც ერდოგანს ისლამისტური ფესვების გამო, ტრადიციულად, ეჭვით უყურებენ, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ეთანხმებიან მას. თურქეთის მმართველი წრეები მიიჩნევენ, რომ მათ მოქმედების თავისუფლება უნდა ჰქონდეთ, რათა თავიანთი საზღვრები დაიცვან და შეეწინააღმდეგონ ქურთ მეამბოხეებს.

"მე შემიძლია ღიად განვაცხადო, როგორც "სამართლიანობისა და განვითარების პარტიის" თავმჯდომარემ: თურქეთის არმიას ამ ამოცანების განხორციელება საკუთარი სარდლობის მეშვეობითაც შეუძლია", - აღნიშნა ერდოგანმა.

ანკარა შეერთებულ შტატებთან სამ საკითხზე აწარმოებს მოლაპარაკებას: ერაყის წინააღმდეგ ომის ხელმძღვანელობის საკითხები, აშშ-ს ეკონომიკური დახმარება, რათა თურქეთის ეკონომიკა უზარმაზარ ზარალს გადაურჩეს და ომისშემდგომი ერაყის ბედი.

რეჯებ ერდოგანის გუშინდელი განცხადება აძლიერებს ეჭვებს, რომ ანკარას სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი ჩრდილოეთ ერაყში ინტერვენცია, რათა ქურთებით დასახლებული რეგიონი უშუალოდ აკონტროლოს და ნავთობით მდიდარი კირკუკის ოკუპაცია მოახდინოს. ამერიკელთა სარდლობის ქვეშ კი ეს შედარებით რთული განსახორციელებელი იქნება.

# სანიტარული ინსპექცია გარე ვაჭრობას შემცირებული ძალებით შეებრძოლება

*თბილისის მერიამ გაზაფხულ-ზაფხულისთვის მოსახლეობის უსაფრთხოებაზე ზრუნვა თებერვლიდანვე დაიწყო და შესაბამის სამსახურებს მალფუჭებადი პროდუქტებით ვაჭრობის აკრძალვა და მეტროების შესასვლელების გაწმენდა დაავალა. ქალაქის ხელმძღვანელობის ასეთი წინდახედულება მისასალმებელი იქნებოდა, უკვე ღიმილის მომგვრელი რომ არ იყოს. ასეთ დავალებებს მერია, თითქმის, ყოველ კვირას იძლევა, გარე ვაჭრობის ადგილებს კი ბევრი არაფერი ემჩნევა.*

ნანა ქადაგიშვილი

მალფუჭებადი პროდუქტებით ვაჭრობის პრობლემის მოგვარება ქალაქის სანიტარულმა ინსპექციამ, პოლიციასთან ერთად, უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს. თუმცა, ინსპექციიის თანამშრომლებს ახლახან შეტყობილმა ცნობამ რეიდზე გასვლის ხალისი დაუკარგათ - რამდენიმე დღის წინ ხელმძღვანელმა ისინი გააფრთხილა, რომ ერთ თვეში 30 პროცენტით შემცირება ემუქრებათ. შეშფოთებული სანიტრები საპროტესტო აქციის მოწყობას გეგმავენ, თუმცა ინსპექციის 357 თანამშრომლიდან 30 პროცენტს უსამსახუროდ დარჩენა მაინც არ ასცდება.

"ერთ თვეში კომისიას შევადგენთ და გადავწყვეტთ, ვინ გავათავისუფლოთ. ძალზე უსიამოვნო პროცესია, მაგრამ კანონი მოითხოვს. ბიუჯეტის შესახებ კანონი საბიუჯეტო ორგანიზაციებში თანამშრომელთა 30 პროცენტით შემცირებას ითხოვს. შემცირებაში, უპირველესად, ნაკლებად დასაქმებული თანამშრომელი უნდა მოყვეს", - აცხადებს სანიტარული ინსპექციის ხელმძღვანელი, ჯულული ახვლედიანი.

მიუხედავად იმისა, რომ ინსპექციას გარე ვაჭრობის კონტროლი ძალზე უჭირს, უსაქმო თანამშრომელი მაინც ბლომად ჰყოლია. როგორც ახვლედიანი გვარწმუნებს, სანიტრების შემცირება გარე ვაჭრობის ადგილებს ნამდვილად არ დაემჩნევა - მხოლოდ უსამსახუროდ დარჩენილ თანამშრომლებს დააზარალებს. მართალია, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი საბიუჯეტო უწყებების შემცირებაში მოყოლილ თანამშრომელთათვის კომპენსაციას ითვალისწინებს, მაგრამ გათავისუფლებულ სანიტრებს ბევრი არაფერი ერგებათ. ჯულული ახვლედიანის ცნობით, ინსპექციის უსამსახუროდ დარჩენილ თანამშრომელთა კომპენსაცია ორი თვის ხელფასს, საშუალოდ, 60-65 ლარს, არ აღემატება.

ასე რომ, ერთი თვის შემდეგ ინსპექცია გარე ვაჭრობას შემცირებული ძალებით შეებრძოლება, მაგრამ ეს მისი საქმიანობის ხარისხზე ვერ იმოქმედებს. ინსპექციას პრობლემას თანამშრომელთა სიმცირე კი არა, უხეირო კანონმდებლობა უქმნის. "ორი დღის წინ დეზერტირების ბაზარის დირექცია და მოვაჭრეები, ბაზარში სანიტარული პირობების დარღვევის გამო, დავაჯარიმეთ, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ასეთ დარღვევაზე ჯარიმა 9 ლარია, ეს კი ვერც მოვაჭრეს შეაშინებს და ვერც ბაზრის დირექციას", - აცხადებს ინსპექციის ხელმძღვანელი.

სანიტარული ინსპექცია მხოლოდ სანიტარული კოდექსისგან ელის შველას. იგი საჯარიმო სანქციების სერიოზულად გამკაცრებას ითვალისწინებს. კოდექსი პარლამენტში ერთხელ უკვე მოისმინეს და სანიტრები იმედოვნებენ, რომ მათი მხსნელი კოდექსი დღის სინათლეს მალე იხილავს. მაშინ კი ურჩი მოვაჭრეები მაკონტროლებლებს ასე იოლად ვეღარ გადაურჩებიან.

# ძველი პროგრამის ახალი კონტურები

მაკა ჭაიანი

*დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც, გასულ წელს განხორციელებული პილოტური პროექტით, საქართველოში საქმის ცოტა ფულით კეთების პრეცედენტი დაუშვა, წლეულს მნიშვნელოვნად ფართოვდება. 2003 წლის ბიუჯეტში დასაქმების ამ პროგრამისთვის შარშანდელზე ორჯერ მეტი თანხა გამოიყო. ამით, წესითა და რიგით, ორჯერ მეტი ადამიანი უნდა დასაქმდეს, თუმცა, ყველაფერი ასე უბრალოდ არ არის. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში კიდევ ერთი პილოტური პროგრამის ამოქმედებაზე საუბრობენ.*


პროექტის ავტორი რევაზ საყვარელიძე (მარჯვნივ)

იგი დასაქმების მოქმედი პროგრამის ფარგლებში განხორციელდება და 230 ათასი ლარი დაჯდება. ამდენის გამოყოფაა დაგეგმილი პროექტში მრავალშვილიანების, I და II ჯგუფის ინვალიდების, ხანგრძლივად უმუშევრების (12 თვე და მეტი), ასევე, საშუალო და მსხვილი მეწარმეების ჩასართველად. საშუალო და მსხვილ მეწარმეებზე დასაქმების პროგრამაში პირველად კეთდება აქცენტი. პროექტის ავტორის, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის, რევაზ საყვარელიძის განცხადებით, მათ სხვადასხვა პირობის მიხედვით შეარჩევენ.

შერჩევას ტენდერში გამარჯვებული და პროგრამაში მონაწილე ბანკი ხელმძღვანელობს, თუმცა, ძირითად კრიტერიუმებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო დაადგენს. კარგი ფინანსური მდგომარეობის გარდა, მეწარმეს, სულ ცოტა, 20 ადამიანი უნდა ჰყავდეს დასაქმებული და, სესხის მიღების შემთხვევაში, კიდევ 5-ს მაინც უნდა ასაქმებდეს. წარდგენილი პროექტის დაფინანსების პარალელურად, მას, ბანკსა და პოტენციურ დასაქმებულს შორის სამმხრივი ხელშეკრულება ფორმდება. აქ მეწარმეს ეძლევა დაქირავებულის გამოცდის საშუალება.

ეს პროგრამის კიდევ ერთი სიახლეა. საგამოცდო ვადის გასვლის შემდეგ მეწარმემ დაქირავებულს უნდა გაუფორმოს უვადო შრომითი ხელშეკრულება. ამის მერე მისი გათავისუფლება მხოლოდ საწარმოს დახურვის მიზეზით თუ იქნება შესაძლებელი. სამსახურში უნარშეზღუდული ადამიანების აყვანის დროს, მეწარმემ სამუშაო ადგილების 20 პროცენტი I ჯგუფის ინვალიდებისთვის უნდა გაითვალისწინოს. კიდევ ერთი პირობა, რომლის დაკმაყოფილებაც მას მოეთხოვება, ის არის, რომ არც ერთი დაქირავებულის ხელფასი არ უნდა იყოს 100 ლარზე ნაკლები.

რაც შეეხება თავად უნარშეზღუდულების, ხანგრძლივად უმუშევრებისა და მრავალშვილიანების პროექტების დაფინანსებას. I ჯგუფის ინვალიდებისთვის, გრანტის სახით, 2800 ლარის გამოყოფა ნავარაუდევი, დანარჩენებისთვის - 2000 ლარისა. უნარშეზღუდულებისა და მრავალშვილიანებისთვის პროგრამა თბილისში განხორციელდება, ხანგრძლივად უმუშევრებისთვის - ბათუმში. წინასწარი გათვლით, ახალი პროექტის ფარგლებში, მთლიანად, სულ ცოტა, 140 ადამიანი დასაქმდება. ოთხ ამდენს წლეულს დასაქმების "ძველი ახალი" პროგრამაც დაასაქმებს.

# ამერიკის ელჩი სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია

*გუშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი. ელჩმა დაათვალიერა უნივერსიტეტის კაბინეტ-ლაბორატორიები და წაიკითხა მოხსენება "სამოციანი წლების ამერიკის საზოგადოებრივი მოძრაობის შესახებ."*

თამარ დვალი

ამერიკის ელჩმა რიჩარდ მაილსმა და მისმა მეუღლემ უნივერსიტეტში მისვლისას პირველად ამერიკის შესწავლის ცენტრი მოინახულეს. მათ ცენტრს გადასცეს ამერიკელი მთამსვლელისა და ფოტოხელოვანის, ჯო ბენსენის ფოტოსურათები "როდეო ამერიკის დასავლეთში" (ბენსენი საქართველოში მოღვაწეობდა და უშბაზე ასვლისას დაიღუპა.) ელჩი ამერიკის შესწავლის ცენტრის უფროსს, ბატონ ვასილ კაჭარავას შეჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში ამერიკული ფილმების ვიდეოფირებს გადასცემს. ასევე, აღუთქვა, რომ სახელმძღვანელოების დაბეჭვდაში დაეხმარება.

ელჩის სტუმრობა უნივერსიტეტში დაემთხვა აფრო-ამერიკულ კვირეულს. მაილსი საინტერესო მოხსენებით წარდგა სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა წინაშე. მან გაიხსენა სამოციანი წლების ამერიკა, როდესაც არათეთრკანიანი მოსახლეობა მრავალმხრივ დისკრიმინაციას განიცდიდა და სტუდენტებს აჩვენა სლაიდები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო საპროტესტო აქციები თავად ელჩისა და მისი მეუღლის, ქალბატონ შერონის მონაწილეობით. მაილსმა გაიხსენა ლინკოლნის მემორიალთან მარტინ ლუთერ კინგის მიერ წარმოთქმული სიტყვა, "მე მაქვს ოცნება", რომელიც XX საუკუნის ამერიკის ყველაზე ცნობილ საჯარო მიმართვად იქცა. იგი შეჰპირდა სტუდენტებს, რომ ამ სიტყვის ვიდეოფირს აუცილებლად გადასცემს უნივერსიტეტის ინგლისურენოვან ბიბლიოთეკას, რაც მათ საშუალებას მისცემს, თავად ნახონ ეს ჩანაწერი.

უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ როინ მეტრეველის თქმით, უნივერსიტეტს აქვს ტრადიცია, რომ თითქმის ყველა ქვეყნის ელჩი სტუმრობს უნივერსიტეტს. ისინი მოხსენებით გამოდიან სტუდენტების წინაშე და კითხულობენ მათთვის საინტერესო მოხსენებას. ახლო მომავალში უნივერსიტეტს ესტუმრებიან ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორი როჯერ კომბიკი და თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი ქეთი კინწურაშვილი. ისინი აფრო-ამერიკული ხელოვნების ახალ და უახლეს ისტორიაზე ესაუბრებიან სტუდენტებს.

## მოკლედ

**რუისი**. გუშინ, დილით, ქარელის რაიონის სოფელ რუისის მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. "ორი კვირაა, ელექტროენერგიას არ გვაწვდიან, არადა, საფასურს ვიხდით", - ჩივიან რუისელები. ქარელის რაიონის გამგებელი, შიდა ქართლის გუბერნატორთან და ენერგოკომპანიის ხელმძღვანელთან ერთად, მოსახლეობას მდგომარეობის გამოსწორებას შეჰპირდა. თუ ისინი პირობას არ შეასრულებენ, რუისელები თბილისი-სენაკის ავტომაგისტრალის რუისის მონაკვეთის გადაკეტვას აპირებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ჭიათურა.** გუშინ ჭიათურაში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ორი მოშიმშილე ქალბატონი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გუშინწინ მაღაროდან გაიყვანეს, ისევ უკან დაბრუნდა. გუშინვე გაფიცულებს შეუერთდნენ ბაზრისა და სასურსათო მაღაზიების თანამშრომლები და პედაგოგებიც, რის გამოც ქალაქში სასწავლო პროცესი ჩაშალა.

ჭიათურის გამგებლის დავით ივანიშვილის ცნობით, პრეზიდენტმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება 800 ათასი ლარის გამოყოფაზე და "ჭიათურმანგანუმსაც" ელექტროენერგია უკვე მიეწოდება, მაგრამ მოშიმშილეები აქციას არ შეწყვეტენ მანამ, სანამ ხელისუფლება მათ ყველა მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს. მაღაროელთა სახელფასო დავალიანება დღეისთვის 1 165 ათასი ლარია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს არავითარი სამართლებრივი შენიშვნები არა აქვს სემეკის დადგენილების პროექტისადმი, რომელიც 1 მარტიდან ელექტროენერგიაზე ტარიფის 10.15 თეთრამდე შემცირებას ითვალისწინებს.

სემეკში აცხადებენ, რომ დადგენილების რეგისტრაციაზე არ იმოქმედებს პარლამენტში მიმდინარე განხილვები დღგ-სგან ენერგეტიკის გათავისუფლების თაობაზე, რადგან სემეკის მიერ შემუშავებული ტარიფი დღგ-ს გარეშეა გათვალისწინებული.

შეგახსენებთ, რომ დღგ-ს მოუხსნელობის შემთხვევაში 1 კვტ-სთ ელექტროენერგია 12.2 თეთრი იქნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ლანჩხუთი.** ერთი კვირის წინათ ლანჩხუთის რაიონის სოფელ აკეთში დიფტერიით 6 წლის ბავშვი გარდაიცვალა. ჯანმრთელობის დამცველები რაიონში დიფტერიის ახალ შემთხვევებს არ გამორიცხავენ, რადგან ბავშვის მშობლები, ახლობლები და მეზობლები დიფტერიის ვირუსის მატარებლები არიან. **მედია-ნიუსი**

# „ეი-ი-ეს თელასი" საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საპასუხოდ გამოსავალს პოულობს

ეთერ მამულაშვილი

*საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ "ლეიბორისტების" სარჩელის დაკმაყოფილებამ ყველაზე მეტად თბილისის გაუმრიცხველიანებელი რაიონის მოსახლეობას გაურთულა მდგომარეობა. ამ უბნებში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება დღემდე ენერგეტკის მარეგულირებელი კომისიის მიერ დამტკიცებული, ფიქსირებული გადახდის წესის მიხედვით ხდებოდა. სასამართლომ 30 დეკემბერს ეს წესი იურიდიულად ძალადაკარგულად გამოაცხადა და ელექტროენერგიაზე ფიქსირებული გადასახადი მთლიანად გააუქმა. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ, ავთანდილ აბაშიძემ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, რომ გაუმრიცხველიანებელი უბნების მოსახლეობას უფლება აქვს, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური გამრიცხველიანების დასრულებამდე არ გადიხადოს. "ეი-ი-ეს თელასი" კი გადაუხდელობის შემთხვევაში ელექტროენერგიის შეწყვეტით იმუქრება.*


დღეისათვის მრიცხველების გარეშე დარჩენილია, დაახლოებით, 150 000 ოჯახი.

ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის 2001 წლის №15 დადგენილებით, "ეი-ი-ეს თელასი" გაუმრიცხველიანებელ უბნებში მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს ოთახების რაოდენობის მიხედვით იღებდა. მაგალითად, სემეკის გაანგარიშებით, ზამთრის პერიოდში ერთოთახიანი ბინა თვეში 160 კილოვატსაათ ელექტროენერგიას უნდა მოიხმარდეს, ოროთახიანი - 250-ს, სამიანი - 300-ს, ხოლო ოთხიანი - 380-ს. საკონსტიტუციო სასამართლომ ეს არაკონსტიტუციურად მიიჩნია. 30 დეკემბრის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ნათქვამია, რომ "ოთახების მიხედვით ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ვერ პასუხობს მომხმარებლის ინტერესებს, არამარტო თვისებრივ-რაოდენობრივი, არამედ სტაბილური ელექტრომომსახურების თვალსაზრისითაც..."

"ლეიბორისტები", სკანდალურად ცნობილი სარჩელის ავტორები, მრიცხველის გარეშე დარჩენილ თბილისელებს კვლავ არგადახდისკენ მოუწოდებენ. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის, ავთანდილ აბაშიძის განმარტებით, აბონენტთა აღნიშნული კატეგორია არ არის ვალდებული, გამრიცხველიანებამდე ელექტროენერგიის საფასური გადაიხადოს. "თუკი დღეს თბილისელების გარკვეული ნაწილი მრიცხველების გარეშეა დარჩენილი, ეს "ეი-ი-ეს თელასის" ბრალია და, შესაბამისად, ამაზე მან უნდა აგოს პასუხი. რაც შეეხება ფიქსირებულ გადასახადს, ჩვენ ის ანტიკონსტიტუციურად ვცანით და საერთოდ გავაუქმეთ", - განუცხადა "24 საათს" მოსამართლემ.

მიუხედავად ამისა, ამერიკული კომპანია არ აპირებს, გამრიცხველიანებამდე ელექტროენერგიის უფასოდ მიწოდებას. ამიტომ, "ეი-ი-ეს თელასი" არ გამორიცხავს, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს იმ ბრძანების ამოქმედებას, რომელიც ითვალისწინებს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღებას ბინებში დადგმული ელექტროტექნიკის სიმძლავრეების მიხედვით. "ეს ბრძანება ხომ არ გაუუქმებია სასამართლოს და ამდენად, გამრიცხველიანების დასრულებამდე, შესაძლოა, ამ ნორმატიული აქტის საფუძველზე ამოვიღოთ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური", - გვითხრა ვალერი ფანცულაიამ, "ეი-ი-ეს თელასის" მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა.

დღეისათვის მრიცხველების გარეშე დარჩენილია, დაახლოებით, 150 000 ოჯახი, რაც საერთო რაოდენობის 15 პროცენტია. ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებში "ეი-ი-ეს" კორპორაცია დედაქალაქში გამრიცხველიანების პროცესის დასრულებას 2000 წლის ბოლომდე ვარაუდობდა. ამერიკული კომპანია კონტრაქტით გათვალისწინებული ამ პირობის შეუსრულებლობის მიზეზად აბონენტთა სიმრავლეს ასახელებს. "თავის დროზე, როცა "ეი-ი-ესი" საქართველოში შემოდიოდა, მაშინ მას აბონენტთა რაოდენობის შესახებ სხვა ინფორმაცია მიაწოდეს, შემოსვლის შემდეგ კი გაცილებით მეტი აბონენტი აღმოჩნდა. გარდა ამისა, მრიცხველების დაყენებას დროსთან ერთად სერიოზული თანხებიც სჭირდება", - გვითხრა "ეი-ი-ეს თელასის" ოფიციალური ლობის წარმომადგენელმა, მაგდა პოპიაშვილმა.

ამ ცოტა ხნის წინ ელექტროგამანაწილებელმა კომპანიამ ამერიკის მთავრობისგან, გრანტის სახით, 9.600.000 ამერიკული დოლარი მიიღო, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის გამრიცხველიანებას მოხმარდება. როგორც ელექტროგამანაწილებელ კომპანიაში ვარაუდობენ, ეს პროცესი მაისის ბოლომდე დასრულდება.

"ეი-ი-ეს თელასის" მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ვალერი ფანცულაიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ აღნიშნული თანხა მრიცხველების გარეშე დარჩენილ მოსახლეობას მთლიანად ვერ გაწვდება. "ამიტომ ჩვენ ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას წარვუდგინეთ ჯგუფური მოხმარების მრიცხველების შესახებ პროექტი. ეს კი შემდეგს ითვალისწინებს: 10-15 ოჯახს ექნება ერთი, საერთო მრიცხველი, რომელზეც დაფიქსირებული თანხა პროპორციულად გადანაწილდება თითოეულ ოჯახზე, სახლში დადგმული სიმძლავრეების მიხედვით", - გვითხრა ფანცულაიამ. თუ ეს წესი გაამართლებს და აბონენტთა აღნიშნული კატეგორია დროულად და სამართლიანად გადაიხდის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს, ელექტროგამანაწილებელი კომპანია მრიცხველის გარეშე დარჩენილ აბონენტებს 24 საათიან ელექტრომომარაგებას ჰპირდება. მანამდე ამერიკულმა კომპანიამ ხსენებულ პროექტზე დასტური სემეკისგან უნდა მიიღოს. "ეი-ი-ეს თელასს," თანხმობის მოსაპოვებლად, გაუმრიცხველიანებელ მოსახლეობაში სპეციალური გამოკითხვის ჩატარება მოუწევს. "პირველ რიგში, მან აბონენტებს უნდა აუხსნას კომუნალური მრიცხველების მნიშვნელობა. იმ შემთხვევაში, თუკი მათ ასეთი ტიპის მრიცხველებზე მოთხოვნა გაუჩნდებათ, სემეკიც შესაბამისი ნორმატიული აქტით გასცემს ნებართვას. სხვაგვარად "ეი-ი-ეს თელასი" ამ პროექტზე თანხმობას ვერ მიიღებს", - აღნიშნა სემეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა, თამარ ნოსელიძემ.

ასეა თუ ისე, გაუმრიცხველიანებელი რაიონის მოსახლეობას ელექტროენერგიის საფასურის გადახდა მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში დენის გარეშე დარჩებიან. "კერძო კომპანია არ არის ვალდებული, უფასოდ მოემსახუროს აბონენტებს, მითუმეტეს - ზამთრის პერიოდში", - აცხადებენ "ეი-ი-ეს თელასში".

# მკვლელობაში ეჭვმიტანილი 155 პირი თავს არხეინად გრძნობს

თამარ კაციტაძე

გასულ წელს 2001 წელთან შედარებით დედაქალაქში განზრახ მკვლელობათა რაოდენობა 13 ერთეულით გაიზარდა. ოფიციალური მონაცემებით, მკვლელობის მცდელობის რაოდენობაც გაზრდილია. სულ თბილისში რეგისტრირებულია 77 განზრახ მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის 94 ფაქტი; რაც, რა თქმა უნდა, შექმნილ მძიმე კრიმინოგენულ მდგომარეობაზე მეტყველებს.

ოფიციალური მონაცემებით, დედაქალაქში 32 მკვლელობა ცეცხლსასროლი იარაღით მოხდა, 34 - დანით, 11 კი სხვადასხვა ბლაგვი საგნით. კოლეგიის მომხსენებელი იყო თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე თამილა პაპავა. მისი ინფორმაციით, მკვლელობათა უმეტესი ნაწილი (65 შემთხვევა) საყოფაცხოვრებო ნიადაგზეა მომხდარი. 12 პიროვნება კი მოკლულია დაყაჩაღების შედეგად. კოლეგიისთვის მომზადებული ანალიზის თანახმად, მკვლელთა 90 პროცენტი უმუშევარია და ისინი მძიმე დანაშაულს ანგარების მიზნით ჩადიან.

**"გასულ წელს შინაგან საქმეთა ორგანოების და პროკურატურების მხრიდან ბევრი რამ გაკეთდა განზრახ მკვლელობების და მკვლელობის მცდელობების გახსნის მხრივ. დღეისათვის გახსნილია აღნიშნულ დანაშაულთა უდიდესი ნაწილი, მათ შორის - რამდენიმე გახმაურებული მკვლელობაც. გამოვლენილია და დაპატიმრებულია არა ერთი ჯგუფი, რომელსაც ჩადენილი აქვს მკვლელობა, მაგრამ ეს თვითდამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს. მატერიალური და საკანონმდებლო ხარვეზების გვერდით, თავად პოლიციელთა და პროკურორთა მხრიდან ხშირად ადგილი აქვს ისეთ დარღვევებსაც, რომლებიც დანაშაულის გაუხსნელობის მიზეზად იქცევიან,"** – აღნიშნა გუშინ ქალაქის პროკურატურაში გამართულ გეგმიურ კოლეგიაზე ქალაქის მთავარმა პროკურორმა. როგორც მახარაძემ აღნიშნა, ზოგიერთი რაიონის სამართალდამცველი, სტსტისტიკის "გალამაზების" მიზნით, გაუხსნელ მკვლელობებს გახსნილად ასაღებს. შემოწმებისას მარტო ისანი-სამგორის რაიონში ქალაქის პროკურატურას ორი ასეთი შემთხვევა გამოუვლენია.



კოლეგია ქალაქის პროკურატურაში

**"ჩვენ ყველა ფაქტს შევისწავლით და იმ შემთხვევაში, თუ გამოვავლენთ დანაშაულის ნიშნებს, დამნაშავე თანამდებობას კი არ დაემშვიდობება, არამედ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმესაც ავღძრავთ,"** – დაიმუქრა თენგიზ მახარაძე და რაიონის პროკურორებს იმ თანამშრომელთა დასახელება მოსთხოვა, რომელთა არაპროფესიონალიზმი თუ საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება მომავალში დანაშაულს გახსნის პერსპექტივას უკარგავს.

საქმის "გაფუჭება" კი, თურმე, შემთხვევის ადგილის დათვალიერებიდან იწყება. პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი კანონით ვალდებულია, რომ შემთხვევის ადგილი დაათვალიეროს და ნივთმტკიცებების შეგროვებაზეც თავად იზრუნოს. ქალაქის პროკურორის განცხადებით, ხშირ შემთხვევაში საქმეზე სრულფასოვანი მოკვლევა არ ტარდება. ამის მიზეზი კი ხშირად ისიც არის, რომ პოლიციელები თავად კისრულობენ პროკურორთა ფუნქციას და ზემდგომ სამართალდამცველებს მკვლელობის თუ მკვლელობის მცდელობის შემთხვევებს დაგვიანებით ატყობინებენ. საქმეს ართულებს ისიც, რომ ცალკეულ შემთხვევებში არ დგება ერთიანი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა გეგმა, დანაშაულს ეძლევა არასწორი კვალიფიკაცია, უკანონოდ ჭიანურდება საგამოძიებო ვადები და ა.შ.

პოლიციისადმი და პროკურატურის თანამშრომლებისადმი ქალაქის პროკურორის პრეტენზიები ამით არ ამოიწურება. **"დედაქალაქში სხვადასხვა წლებში მომხდარი მკვლელობისთვის ძებნილი 155 მკვლელიდან, დიდი ნაწილი თბილისში ან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში თავისუფლად დადის და მათ დასაკავებლად არაფერი კეთდება,"** – ამბობს თენგიზ მახარაძე და ყველაფერს ზოგადად - ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით ხსნის.

გუშინდელ კოლეგიაზე ყველაზე ნაკლები დრო დაეთმო ყველაზე რეზონანსულ მკვლელობებს (კახი ასათიანის და დუდუ დადიანის მკვლელობები). მართალია, თბილისის პროკურორი აღნიშნულ საქმეთა გაუხსნელობის მიზეზად მკვლელობის სირთულესაც ასახელებს, მაგრამ მათ გაუხსნელობაზე საბოლოო პასუხისმგებლობას არ კისრულობს და ხელს გენერალური პროკურატურისკენ იშვერს, სადაც აღნიშნული მკვლელობების გამოძიება მიმდინარეობს.

# თავდასხმა ფირმა „ომეგას" თანამშრომლებზე

ბექა სისაური
ქუთაისიდან

ქუთაისში კიდევ ერთი ყაჩაღობა მოხდა. თავდამსხმელებმა ქალაქის ცენტრში "ჟიგულის" მარკის მანქანიდან მგზავრები გადმოიყვანეს, გაძარცვეს, ხოლო შემდეგ მანქანა გაიტაცეს. ამჯერად თავდასხმა ფირმა "ომეგას" ქუთაისის ფილიალის "ომეგა-2"-ის თანამშრომლებზე განხორციელდა.

მანქანას, რომელსაც მართავდა "ომეგა-2"-ის თანამშრომელი გოჩა ობოლაძე, რუსთაველის ქუჩაზე წინ გადაუდგა ვაზ21-06 თეთრი ფერის მანქანა და ობოლაძეს გაჩერება მოსთხოვა. მძღოლი არ დაემორჩილა უცნობის ბრძანებას და გზა განაგრძო, რის შედეგადაც 2 მანქანა ერთმანეთს შეეჯახა. უცხო მანქანიდან სამი ნიღბიანი, ავტომატებით შეიარაღებული მამაკაცი გადმოვიდა. მათ ფირმის მძღოლი და დაცვის თანამშრომელი მანქანიდან იარაღის მუქარით გადმოიყვანეს და მიწაზე დააწვინეს.

"ომეგა-2"-ის მანქანაში ასევე იმყოფებოდნენ ფირმის ბუღალტერი და მოლარე, რომელთაც ყაჩაღებმა ფირმის კუთვნილი 23 ათასი ლარი წაართვეს და გაიქცნენ. სამართალდამცველებმა მოგვიანებით მიაგნეს ავტომობილს, რომლითაც ყაჩაღები მოძრაობდნენ. მანქანა ქუთაისში, ჭომის დასახლების ბოლოს, მდინარე რიონის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს. ავტომობილი მოპარული აღმონდა. იგი რამდენიმე დღის წინ "გაერთიანებული ქართულ ბანკის" ქუთაისის ოფისიდან მოიპარეს.

ფირმა "ომეგა-2"-ის თანამშრომლებზე მომხდარი თავდასხმის ფაქტს სამართალდამცველები იძიებენ. დამნაშავეები, ჯერჯერობით, დაკავებულნი არ არიან.

# ჯარისკაცის მკვლელობაში ბრალდებული სასამართლომ გაათავისუფლა

*ახალციხის სასამართლომ პატიმრობიდან გაათავისუფლა ახალციხის სოფელ წნისში რამდენიმე დღის წინ მომხდარი ინციდენტის მონაწილე, თავდაცვის სამინისტროს ახალციხის სამხედრო ნაწილიდან გაქცეული ჯარისკაცის, გიორგი გუგუშვილის, მკვლელობაში ბრალდებული მაიორი.*

ინგა ალავიძე

პროკურატურის მიერ 19 წლის ჯარისკაცის მკვლელობაში დადანაშაულებული, ახალციხის 22-ე ბრიგადის კომენდანტი შოთა გოგოლაძე წინასწარ პატიმრობას სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაურჩა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ახალციხის სამხედრო პროკურატურის მიერ შეგროვებული მტკიცებულებები არასაკმარისი აღმოჩნდა მის დასაკავებლად. გარდა ამისა, სასამართლოსთვის გათავისუფლების მოტივი გახდა ისიც, რომ შოთა გოგოლაძე გამოძიებას არ გაურბის.

გუშინ სამხედრო პროკურატურამ ახალციხის სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. პროკურატურის მტკიცებით, გიორგი გუგუშვილს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჰქონდა რამდენიმე ჭრილობა, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია. ჩატარებულია ცხედრის და იარაღის ექსპერტიზა. დადგენილია, რომ გუგუშვილი დაიჭრა შალვა გოგოლაძის იარაღიდან გასროლილი ტყვიით. თავად ბრალდებული კომენდანტი ჩვენებას არ იძლევა, დუმილის უფლებას იყენებს, ხოლო მისი ადვოკატი განზრახ მკვლელობის ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

**"გოგოლაძე და მისი ადვოკატი წაყენებულ ბრალდებას არ ეთანხმებიან, აცხადებენ, რომ გასროლა მოხდა ჰაერში, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე. ბრალდებული ჩვენებას არ იძლევა, არაფერს ამბობს. მის მაგივრად მე ვერ მოვყვები, რა მოხდა. საქმეში კი არის მასალები, რომელიც ადასტურებს მკვლელობის ფაქტს. ახალციხის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩვენი შუამდგომლობა მკვლელობაში ბრალდებულისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე. არადა, მოკლულია 19 წლის უდანაშაულო ჯარისკაცი,"** – აცხადებს მთავარი სამხედრო პროკურორი გია ჯიქია. როგორც სამხედრო პროკურორი ამბობს, ნაწილიდან გაქცეულ ჯარისკაცებს დადევნებულ მაიორ გოგოლაძეს იმ სიტუაციაში იარაღის გამოყენების და ჰაერში გასროლის უფლება არ ჰქონდა.

მთავარ სამხედრო პროკურორს გუშინ შალვა გოგოლაძის ადვოკატის შუამდგომლობა გადაეცა. ადვოკატი და ბრალდებული ითხოვენ გუგუშვილის მკვლელობის საქმის სხვა საგამოძიებო ჯგუფისთვის გადაცემას. მათი არგუმენტი ასეთია – გამომძიებელი ბუდუ შეყილაძე ბრალდებულის წინააღმდეგ პირადი ინტერესით მოქმედებს. გია ჯიქიას განცხადებით, ადვოკატის შუამდგომლობას იგი განიხილავს და შესაძლოა, ჯარისკაცის მკვლელობის საქმე გამოსაძიებლად მთავარი სამხედრო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში გადავიდეს.

4 თებერვალს ახალციხის 22-ე ბრიგადიდან გაქცეული 11 ჯარისკაციდან, ჯერჯერობით, მხოლოდ 6 დაუბრუნდა ნაწილს. 4 რიგითი კვლავ ძებნაში იმყოფება. თუ გაქცევიდან ერთი თვის განმავლობაში ისინი ბრიგადაში არ დაბრუნდებიან, სამხედრო პროკურატურა მათ დეზერტირებად გამოაცხადებს და გაქცეულებს 7-წლიანი პატიმრობა ელით.

# „უმთავრესი პრიორიტეტი საკანონმდებლო მუშაობა იქნება"

ინგა ალავიძე

*პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ახლად არჩეული ნანა ბიჭიაშვილი ჟურნალისტებს შეხვდა და საკუთარი პერსონა წარუდგინა. ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე ადამიანის უფლებების დამცველმა პარლამენტარმა ჟურნალისტებს თავისი ბიოგრაფია მოუთხრო.*

ავჭალის ბავშვთა კოლონიისა და წყნეთის ღამის სკოლის ყოფილი თანამშრომელი, კრწანისის გამგებლის ექსმოადგილე, პარლამენტის დედათა და ბავშვთა კომისიის ყოფილი თავმჯდომარე და ახლა პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე საკუთარი წარსულით ამაყობს. მისი თქმით, ზემოთ ჩამოთვლილი ბიოგრაფიული ეპიზოდები უფლებას აძლევს განაცხადოს, რომ იგი შემთხვევითი პიროვნება არ არის და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საკმაო გამოცდილება გააჩნია.

**"პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტისთვის უმთავრესი პრიორიტეტი საკანონმდებლო განხრით მუშაობა იქნება,"** – ასეთი პროგრამით წარდგა ჟურნალისტების წინაშე "მოქალაქე" ნანა ბიჭიაშვილი. ადამიანის უფლებების დამცველი საკანონმდებლო მუშაობაში, ფაქტობრივად, საზოგადოების იურიდიულ განათლებას გულისხმობს. მისი განმარტებით, ხალხი კანონებს არ იცნობს და ამიტომაც ხშირად ადამიანები კომიტეტს ისეთ საკითხებზე და ისეთი თხოვნით მიმართავენ, რაც კანონით ისედაც ეკუთვნით. "ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი შეასრულებს მედიატორის როლს აღმასრულებელ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის," – ასეთია ბიჭიაშვილის პირობა.



"ბუნებით მენეჯერი ვარ და არ დავიშურებ ჩემს გამოცდილებას"

გარდა საკანონმდებლო მუშაობაზე ზრუნვისა, ადამიანის უფლებების დამცველისთვის ასევე პრიორიტეტული იქნება ბავშვების, ქალთა, ჟურნალისტთა, მრავალშვილიანი დედების და სხვათა უფლებების დაცვაც. ახალმა თავმჯდომარემ კომიტეტში არსებულ ძველ ტრადიციებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ გააგრძელებს პატიმართა უფლებების დაცვის საკითხთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე მუშაობას. **"ასევე მინდა განვაცხადო, რომ ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ყველაფერს გავაკეთებ აფხაზეთიდან დევნილთა დასახმარებლად."** ნანა ბიჭიაშვილი მიიჩნევს, რომ პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტი ის ორგანოა, სადაც არ შეიძლება პრიორიტეტის გამოყოფა, რადგან ადამიანის უფლებები ყველა სფეროში ირღვევა.

უშუალოდ ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტთან დაკავშირებულ საკითხებს ახალმა თავმჯდომარემ კონკრეტული პასუხები ვერ გასცა. მისი გამამართლებელი არგუმენტი ასეთია: **"თანამდებობაზე რამდენიმე დღის დანიშნული ვარ და საქმეებს დეტალურად ჯერ არ გავცნობივარ".**

**"ბუნებით მენეჯერი ვარ და არ დავიშურებ ჩემს გამოცდილებას იმისათვის, რომ მომავალი მოწვევის პარლამენტს ადამიანის უფლებების დაცვის სრულიად მოწესრიგებული კომიტეტი დავუტოვო,"** – განაცხადა თავმჯდომარემ, რომელსაც ახალ პოსტზე მუშაობა სულ რამდენიმე თვე მოუწევს.

# აქვთ თუ არა ჩეჩენ პატიმრებს ლტოლვილის სტატუსი

პირველი გვერდიდან

**"დოკუმენტაცია გაურკვეველია და არასრული",** - ასეთი შეფასება მისცეს პატიმართა ინტერესების დამცველებმა ჩეჩენთა ლტოლვილობის სტატუსის გასარკვევად შეგროვებულ მასალებს. ადვოკატებმა ამ დოკუმენტაციის გასაცნობად დრო მოითხოვეს. მათი თქმით, იმ დროს, როდესაც გელოგაევს, ელიხაჯიევსა და ალხანოვს ხელახალი რეგისტრაცია უნდა გაევლოთ, უკვე მეხუთე საპყრობილეში იმყოფებოდნენ. ჩეჩენ პატიმართა ადვოკატებმა მოსამართლეს მოსთხოვეს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ოფიციალური რწმუნებულის, მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ყეინიშვილის სასამართლო პროცესზე მოწვევა. გუშინ წარმოდგენილ დოკუმენტაციას სწორედ ყეინიშვილი აწერს ხელს. ადვოკატიები რწმუნებულისგან მოითხოვენ კონკრეტულ განმარტებას, რის საფუძველზე მოეხსნათ ალხანოვს და გელოგაევს დევნილის სტატუსი საქართველოში.

სახელმწიფო ბრალდების მხარე სასამართლო პროცესის გაჭიანურებაში დაცვის მხარეს ადანაშაულებს. **"ჩეჩნების დამცველების მიერ ყველა პროცესზე ახალი დოკუმენტების წარმოდგენა მიმართულია სასამართლო პროცესის გაჭიანურებისკენ,"** – ასეთია პროკურორების პოზიცია.

თუკი საბოლოოდ გაირკვევა, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროდან მიღებულ დოკუმენტაციაში ხარვეზებია და გელოგაევი, ალხანოვი და ელიხაჯიევი კვლავ სარგებლობენ საქართველოში ლტოლვილის სტატუსით, მათი ექსტრადიციის საკითხი ავტომატურად იხსნება, რადგან საერთაშორისო და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირი არ შეიძლება იყოს ექსტრადირებული.

გუშინ ადვოკატები ირწმუნებოდნენ, რომ ელიხაჯიევის, ალხანოვისა და გელოგაევის ექსტრადირება რუსეთს საქართველოსთვის არ მოუთხოვია. ადვოკატთა განცხადებით, გენერალურმა პროკურატურამ საკუთარი სურვილის შესაბამისად, თვითნებურად გამოიტანა მათი რუსეთში ექსტრადირების გადაწყვეტილება. სახელმწიფო ბრალმდებლები ამ მოსაზრებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან და აცხადებენ, რომ რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ სწორედ ელიხაჯიევის, გელოგაევისა და ალხანოვის ექსტრადიცია მოსთხოვა ქართველ კოლეგებს.

იმ შემთხვევაში, თუ რაიონული სასამართლო გენერალური პროკურატურის გადაწყვეტილებას ჩეჩნების რუსეთში ექსტრადირების შესახებ კვლავ კანონიერად ჩათვლის, მათი საქმე ისევ უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლებს. ჩეჩენთა დამცველები რაიონული სასამართლოს ასეთ გადაწყვეტილებას ბოლო ინსტანციის სასამართლოში კვლავ გაასაჩივრებენ.

## მოკლედ

**თბილისი.** სასჯელაღსრულების ზუგდიდის მე-4 საპყრობილეში 24 წლის პატიმარმა გიგა ბალავაძემ გათავისუფლების მოთხოვნით გამოაცხადა უვადო შიმშილობა.

ბალავაძე პოლიციელებმა იარაღის უკანონო ტარების, პროსტიტუციაში ჩაბმის, სხვისი ქონების დაზიანებისა და ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების დარღვევის ბრალდებებით დააკავეს. ბალავაძე მიიჩნევს, რომ უკანონოდ არის დაკავებული და პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მომხრე თამაზ წიკლაურისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის მოთხოვნით თბილისის საოლქო სასამართლოში სააპელაციო სარჩელი შეიტანა მისმა ადვოკატმა თემურ ჭილვინიძემ. თამაზ წიკლაური პოლიციელებმა 1 თებერვალს, მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მომხრეთა მიტინგის აღკვეთისას დააკავეს. მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ შეუფარდა სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით. პოლიციამ მიტინგი მას შემდეგ დაშალა, რაც მომიტინგეები ფიზიკურად გაუსწორდნენ ტელეკომპანია „მე-9 არხის" ჟურნალისტებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 17 თებერვალს, უზენაესი სასამართლოს შენობაში, თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი პირველი იურიდიული ბიბლიოთეკა გაიხსნება. უზენაესი სასამართლოს იურიდიული ბიბლიოთეკა აშშ-ს განვითარების სააგენტოს (USAID), ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA), საქართველოსა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) დაფინანსებით შეიქმნა. ბიბლიოთეკაში 1000-მდე დასახელების 3.000 წიგნი და ჟურნალია დაცული ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. მკითხველებს საშუალება ექნებათ, ისარგებლონ მათთვის განკუთვნილი ორი კომპიუტერით. ბიბლიოთეკა მოემსახურება მოსამართლეებს, იურისტებს, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** 19 წლის მერაბ შელაშვილი აცხადებს, რომ შს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის მე-4 განყოფილების პოლიციელებმა სცემეს. თბილისის მე-5 საპყრობილეში გადაყვანისას პატიმარს სხეულის დათვალიერება ჩაუტარა ექიმმა. მის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, გელაშვილს დაზიანებები აქვს ორივე ბეჭის, ზურგის არეში, ყურზე, ორივე ქვედა კიდურზე. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დუშეთის რაიონის პოლიციამ დააკავა თბილისელები: 20 წლის ლევან ქათამაძე, 22 წლის ბესიკ ასანიშვილი, 22 წლის ლაშა ბეროზაშვილი, 23 წლის ზურაბ ედიშერაშვილი და 32 წლის მაია უშიკიშვილი, რომლებმაც თბილისში მცხოვრებ ზაზა ხორხელს ძალით გასტაცეს „ვაზ 2106" მარკის ავტომანქანა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის ფედერაციის ქალაქ ტულაში დააკავეს მკვლელობისთვის ძებნილი, 37 წლის გულუ ასადოვი, რომელმაც 2000 წლის 20 აპრილს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა მარნეულში მცხოვრები ინტიზარ ბაირამოვი. ტარდება ღონისძიებები ასადოვის ექსტრადიციის მიზნით. **მედია-ნიუსი.**

# "ცალკე არავისთან ვაჭრობას არ ვაპირებთ, მათ შორის - არც რუსეთთან!" - აცხადებს ამერიკელი სენატორი

ეკა კვესიტაძე
მიუნხენი-თბილისი

*დონალდ რამსფელდი, ხავიერ სოლანა, ლორდ რობერტსონი, იოშკა ფიშერი, სენატორები მაკკეინი და ლიბერმანი, სერგეი ივანოვი, ნატო-ს წევრი ქვეყნების თავდაცვის და საგარეო საქმეთა მინისტრები, დეპუტატები და მსოფლიოს წამყვანი ანალიტიკოსები – ასეთია იმ ადამიანების სია, რომელთა გამოც მიუნხენის მთავარ ქუჩებს ორი დღის განმავლობაში ათასობით პოლიციელი იცავდა. ორი დღის განმავლობაში ბავარიის დედაქალაქი მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა.*

### "დავკავდეთ სიყვარულით და არა ომით"

ეს მიუნხენის 39-ე კონფერენცია იყო. ამ ერთ-ერთ ყველაზე დიდ და პრესტიჟულ კონფერენციას, სადაც ყოველწლიურად თავს მსოფლიო პოლიტიკის მეტრები იყრიან, რამდენიმე წლის წინ ქართული დელეგაცია პირველად ეწვია. დღემდე საქართველო ერთადერთია კავკასიის ქვეყნებიდან, რომელიც მიუნხენის კონფერენციაზე მონაწილის სტატუსით სარგებლობს.

ქართულ დელეგაციას უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე, თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გივი შუღაროვი, ფრაქცია დემოკრატების ლიდერი გიორგი ბარამიძე და "24 საათის" ორი ჟურნალისტი წარმოადგენდა. საგულისხმოა, რომ ქართველმა ჟურნალისტებმა კონფერენციაზე მიწვევა წელს პირველად მიიღეს.

უსაფრთხოების ზომები მიუნხენის პოლიციამ რამდენიმე დღით ადრე მიიღო და ქალაქის ყველაზე პრესტიჟული სასტუმრო "ბაიერიშე ჰოფი" გაძლიერებული დაცვის ქვეშ აღმოჩნდა.

ხმაურით, სტვენით და ანტიამერიკული მოწოდებებით დემონსტრაციის ჩატარება ანტიგლობალისტთა მრავალრიცხოვანმა ამალამ მხოლოდ სასტუმროს შორიახლო მოახერხა.

დავკავდეთ სიყვარულით და არა ომით! – ასეთი იყო დემონსტრანტების მთავარი მოთხოვნა.

**"მეტი დრო მივცეთ ინსპექტორებს!"** – ასე ჟღერდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, თავის დროზე სტუდენტური აქციების აქტიური მონაწილის, გულმხურვალე მწვანის და დღეს უკვე ყველაზე პოპულარული გერმანელი პოლიტიკოსის - იოშკა ფიშერის მთავარი არგუმენტი ერაყში სამხედრო კამპანიის წინააღმდეგ.

მას შემდეგ, რაც გერმანიამ ოფიციალურად განაცხადა, რომ საომარ მოქმედებებში ამერიკას მხარს არ დაუჭერს, ხოლო საპასუხოდ დონალდ რამსფელდმა გერმანია ლიბიისა და კუბის გვერდით მოიხსენია, ყველა ინტერესით ელოდებოდა ამერიკა-გერმანიის დაძაბულ დებატებს.

"ბაიერიშე ჰოფში" სპეციალურად გახსნილი პრესცენტრი ჟურნალისტებს ვერ იტევდა.

ნატო-ს წესდების მეხუთე პუნქტის დარღვევაში დადანაშაულებული გერმანია და საფრანგეთი ამერიკის თავდაცვის მინისტრის, სენატორ მაკკეინისა და ნატო-ს სხვა წევრი ქვეყნების თავდასხმებს ვერ იგერიებდნენ.

იოშკა ფიშერს მუდმივად ახსენებდნენ იმ დახმარებას, რომელიც ამერიკამ გერმანიას ფაშიზმისა და კომუნიზმის საფრთხისაგან გათავისუფლებაში გაუწია.

თუმცა ფიშერი ბოლომდე იცავდა თავს. იგი ამბობდა, რომ ავღანეთის, მაკედონიისა და კოსოვოს ოპერაციებში გერმანელი ჯარისკაცები ამერიკელი სამხედროების გვერდით დადგნენ, მაგრამ ერაყის შემთხვევაში, ბერლინს არ შეუძლია ვაშინგტონის მოსაზრებები გაიზიაროს.

**"მოსახლეობის ომის საწინააღმდეგო განწყობა მათი მთავრობების ბრალია,"** – განაცხადა რამსფელდმა და მოგვიანებით გერმანიის ერთ-ერთი ტელეარხის პოპულარულ გადაცემაში დააკონკრეტა, რომ მას გერმანელ ხალხთან პრობლემა არ აქვს, უბრალოდ, მას ცუდი მთავრობა ჰყავს.

მართალია, იოშკა ფიშერი მისთვის უჩვეულო ემოციურობით შეეცადა ეჩვენებინა, თუ როგორ აწუხებს ერაყში მოსალოდნელი ომი, ისევე როგორც ამერიკასთან გაფუჭებული ურთიერთობები, მაგრამ ამით ვერაფერს გახდა დონალდ რამსფელდის ჩვეულ სარკაზმთან და სენატორ მაკკეინის მკაცრ ტონთან.

რაც მთავარია, ფიშერმა უპასუხოდ დატოვა პორტუგალიის თავდაცვის მინისტრის მიერ დასმული კითხვა, რა არის გერმანიის ალტერნატივა და როგორ შეიძლება მოგვარდეს ერაყის კრიზისი, როცა სადამ ჰუსეინის რეჟიმზე არც სანქციები, არც დიპლომატია და არც შეზღუდული შეიარაღებული მოქმედებები ჭრის.

### რუსეთს აღარ ადანაშაულებენ და ისიც კმაყოფილია

კონფერენციის მსვლელობის დროს, ანტიგლობალისტებთან ერთად, დემონსტრაცია ქართველმა სტუდენტებმაც ჩაატარეს. მაგრამ ანტიგლობალისტების მოთხოვნებთან მათ მოთხოვნებს საერთო არაფერი ჰქონდა. ქართველი სტუდენტების მცირერიცხოვანი აქცია ანტირუსული ლოზუნგებით გამოდიოდა და აფხაზეთის საკითხში ამერიკისა და ევროპის ქვეყნებისაგან საქართველოს მხარდაჭერას ითხოვდა, თუმცა, აქციის მონაწილეების პეტიცია კონფერენციაზე არ გამრავლებულა. აფხაზეთისა და, საერთოდ, საქართველოს თემა წელს არააქტუალური იყო მიუნხენში.

პირველად საქართველო რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ახსენა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის და საფრანგეთის თავდაცვის მინისტრისაგან განსხვავებით, სერგეი ივანოვს არათუ არ დაუფიქსირებია რუსეთის პოზიცია ერაყის ომთთან დაკავშირებით, არამედ თავის გამოსვლაში ერთხელაც კი არ უხსენებია სიტყვა "ერაყი". სამაგიეროდ, ივანოვმა ფართოდ მიმოიხილა ტერორიზმის თემა და ამ კონტექსტში, ბუნებრივია, რამდენჯერმე საქართველოსაც შეეხო, რასაც გია ბარამიძის მხრიდან აფხაზეთის ოკუპაციაში რუსეთის დადანაშაულება მოჰყვა. ივანოვის შემდეგ სიტყვით უნდა გამოსულიყო თედო ჯაფარიძეც, მაგრამ ეს გამოსვლა არ შედგა. ზუსტად იმ დროს თედო ჯაფარიძე და დავით თევზაძე რამსფელდს ხვდებოდნენ.



თოვლი და ყინვა რა მოსატანია მიუნხენის პოლიციისთვის.

REUTERS





არც ანტიგლობალისტები თმობდნენ პოზიციას.

REUTERS

იმ საღამოსვე დაინიშნა სერგეი ივანოვისა და ნატო-ს გენერალურ მდივანის ლორდ რობერტსონის 15 წუთიანი ბრიფინგი. მთავარი თემა რუსეთსა და ნატო-ს შორის ხელმოწერილი შეთანხმება იყო - წყალქვეშა ნავების ეკიპაჟის გადარჩენის შესახებ.

ივანოვი კმაყოფილი ჩანდა. მან აღნიშნა, რომ ბოლო ოთხი წლის მანძილზე ეს პირველი შემთხვევაა, როცა რუსეთი არაფერში დაუდანაშაულებიათ; რობერტსონმა კი დასძინა, რომ ოცთა საბჭოში (ნატო-ს 19 ქვეყანა პლუს რუსეთი) თუ დღეს კიდევ მუშაობს სქემა 19 ერთის წინააღმდეგ, ეს "ერთი" უკვე ნამდვილად აღარ არის რუსეთი.

ერაყის თემაზე ივანოვს კომენტარი არც პრესკონფერენციაზე გაუკეთებია და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ეს საკითხი რამსფელდთან შეხვედრის დროსაც არ განუხილავს.

პრესკონფერენციისთვის განკუთვნილი 15 წუთიდან, ოფიციალური განცხადებების შემდეგ მორჩენილ ხუთ წუთში, ივანოვის თანაშემწემ სამი კითხვიდან ორი რუს ჟურნალისტებს დაასმევინა.

მაგრამ კითხვის დასმის საშუალება უკვე მეორე დღეს მოგვეცა, როცა ივანოვმა სახელდახელო პრესკონფერენცია ისევ გამართა.

**"პანკისში ზუსტად იგივე სიტუაციაა, როგორიც ერთი-ორი წლის წინ იყო. არამარტო პანკისში, არამედ საქართველოს სხვა ტერიტორიაზეც არიან ტერორისტები, რომელთაც არაერთხელ სცადეს რუსეთში შეჭრა. მათ აქვთ საწვრთნელი ბაზები და ამზადებენ მომწამვლელ ნივთიერებებს. რაც შეეხება, როგორც თქვენ ამბობთ, შესაძლო სამხედრო მოქმედებებს, ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით (თუმცა საბაბის გამოგონება არ არის საჭირო, რადგან ტერორისტები იქ ნამდვილად არიან), რუსეთი ამ რეგიონში სამხედრო მოქმედებას არ გეგმავს",** - განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე, თუ როგორ აფასებს ის პანკისში არსებულ მდგომარეობას და ხომ არ ელოდება რუსეთი ერაყში ომის დაწყებას, რათა ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაცია განახორციელოს.

### რატომ ლაპარაკობს ყველაფერს საქართველოს უშიშროების მინისტრი?

რატომ წამოწია ხელახლა ხაბურძანიამ პანკისის თემა? ეს იყო კითხვა, რომელსაც კონფერენციის კულუარებში პირადი საუბრისას ბევრი ექსპერტი და ამერიკის ადმინისტრაციასთან დაახლოებული პირი სვამდა.

პანკისი იყო დონალდ რამსფელდთან დავით თევზაძისა და თედო ჯაფარიძის შეხვედრის თემაც. დეტალებს ქართველი ოფიციალური პირები არ აკონკრეტებენ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ, თუ საჭირო გახდა, ოპერაციის მსვლელობაში მონაწილეობა წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში მომზადებულმა "კომანდოს" ბატალიონმაც მიიიღოს.

**"ვაშინგტონში მიაჩნიათ, რომ პანკისის პრობლემის დროულად მოგვარება აუცილებელია,"** – განაცხადა ჩვენთან საუბარში ალ გორის თანაშემწემ უსაფრთხოების საკითხებში ლეონ ფუერტმა. იგივე დაადასტურა აშშ-ს თავდაცვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ და ამჟამად ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ეშტონ კარტერმა.

ამერიკის ადმინისტრაციის ძველი და ახლანდელი წარმომადგენლები აცხადებენ, რომ, მართალია, შეშფოთების საფუძველი არსებობს, მაგრამ საქართველოს მაინც შეუძლია ამერიკის ადმინისტრაციის იმედი ჰქონდეს და ამ საკითხში დემოკრატებისა და რესპუბლიკელების მოსაზრებები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

**ჩვენ მთელ მსოფლიოს წარვუდგინეთ ჩვენი არგუმენტები, და ცალკე არავისთან ვაჭრობას არ ვაპირებთ, მათ შორის არც რუსეთთან**, – განაცხადა სენატორმა მაკკეინმა ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე - **ერაყის ომში მხარდაჭერის სამაგიეროდ ხომ არ მოიპოვებს რუსეთი პანკისში სამხედრო ოპერაციის ჩატარების უფლებას.**

რაც შეეხება "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამას, ამერიკელი სენატორის განცხადებით, ამერიკის ჯარებს, რომლებიც ამ პროგრამას ახორციელებენ, შესაძლოა როტაციის საფუძველზე ნატო-ს წევრი ქვეყნები ჩაენაცვლონ. "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამიდან სხვა პროგრამაზე უწყვეტი გადასვლის საკითხი იყო თევზაძისა და რამსფელდის საუბრის თემაც.

# ვლადიმირ ლუკინი: „პუტინმა მოსკოვში ნატო-ს ოცეულის შეხვედრა უნდა მოიწვიოს"

*რუსეთის პოლიტიკური ელიტა ეიფორიაშია: დასავლურ ტურნეში ვლადიმირ პუტინმა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი განამტკიცა და აშშ-სთან შუამავლობაზეც სერიოზული განაცხადი გააკეთა. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ერაყის ირგვლივ რუსეთის პოზიცია იყო პუტინის ერთგვარი ხარკი საკუთარი სამხედროებისადმი. თუ ადრე ქვეყნის პირველ პირს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეები და ძალოვნები უმოქმედობის გამო აკრიტიკებდნენ, დღეს იგივენი სიხარულით აღნიშნავენ, რომ რუსეთმა აშშ-ს გამოფხიზლება შესძლო...ყოველ შემთხვევაში, დღეიდან რუსეთის პოლიტიკურ ელიტას შეუძლია იამაყოს, რომ გაერო-ს მუდმივმა წევრმა რუსეთმა ღირსეული გავლენა იქონია ერაყში ომის პერსპექტივაზე... ასე თვლიან მოსკოვში. დაახლოებით, ასე ფიქრობს რუსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი **ვლადიმირ ლუკინიც.***

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

**- პირადად თქვენ კმაყოფილი ხართ პრეზიდენტ პუტინის ასეთი პოზიციის გამო, თვლით, რომ პუტინის ევროპულ ტურნეში რუსულმა დიპლომატიამ გაიმარჯვა?**

- მე სრულიად მაკმაყოფილებს ის, რომ რუსეთი დღეიდან შეიძლება გახდეს ხიდი გერმანიას, საფრანგეთსა და აშშ-ს შორის. დიდ პოლიტიკაში ხიდების ჩატეხვა არ შეიძლება. ეს მისია ჩვენ ისტორიულად დაგვეკისრა და ხელიდან არ უნდა გავუშვათ. რამდენიმე თვის წინ პოპულარულ ჟურნალში "რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში" (ს. კარაგანოვის ჟურნალია - რ.ნ.) ჩემი იდეა გავახმოვანე, თუ რატომ უნდა ითამაშოს რუსეთმა დასაშლელად გამზადებულ ევროპასა და აშშ-ს შორის შუამავლის როლი. თუ გაინტერესებთ ეს სტატია, წაიკითხეთ და ნახავთ, რომ ამ უთანხმოებას დღეს კონიუნქტურული ხასიათი არ აქვს. ჩემი იდეის მატერიალიზება უკვე მოხდა. რუსეთი დღეს არ არის დაინტერესებული ევროპა-აშშ დაშორებით. რუსეთს, როგორც ევროპული ორიენტაციის სახელმწიფოს, გაუჩნდა ისტორიული შანსი, იყოს აშშ-თან ევროპის შუამავალი. ეს შანსი უკვე დაკარგა ინგლისმა.

**- კონფლიქტებში რუსეთის შუამავლობაზე ჩვენთან ცოტა ცუდი წარმოდგენა აქვთ.**

- თქვენთან საქმე ეგზოტიკასთან გვაქვს. ისევე, როგორც ეგზოტიკურია პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადებები პანკისში საერთაშორისო ტერორისტების არსებობაზე. ევროპა-აშშ-ის შუამავლობაში რუსეთმა მხარი უნდა დაუჭიროს მასობრივი განადგურების იარაღის შეზღუდვის მოთხოვნას, რასაც აკეთებს კიდეც და მეორე, ფსიქოლოგიურად, პოლიტიკურად შექმნას გარდამავალი ეტაპი უსაფრთხოების სისტემის მოდერნიზაციაში. რუსეთმა ამ მოდერნიზაციაში ტაიმ-აუტი უნდა აიღოს. დასუსტებულმა რუსეთმა უნდა მოახერხოს, აშშ-ევროპის უთანხმოებაში, ელიტებს შორის დაპირისპირებაში თავისი სიტყვა თქვას.

**- არ გეჩვენებათ, რომ პუტინი ამის პარალელურად საკუთარ წინსაარჩევნო პიარსაც იწყებს?**

- მე ასე არ მეჩვენება. რუსეთში პრეზიდენტის არჩევნებამდე კიდევ ორი წელია დარჩენილი. ის, რაც ევროპაში ამ დღეებში მოხდა, სულაც არ განიხილება, როგორც პუტინის პიარი ევროპული საზოგადოების თვალში. თუმცა, ნაწილობრივ გეთანხმებით, პიარის ხასიათი ასეთ დროს ზოგიერთ რაღაცას შეიძლება ჰქონდეს.



ვლადიმირ ლუკინი

**- მოსკოვში ჩვენი უცხოელი კოლეგები სხვადასხვა ევროპული გაზეთებიდან თვლიან, რომ პუტინის მიდგომაში უკვე ანტიამერიკული აქცენტი გაჩნდა.**

- 1968 წლიდან რუსეთის ჟურნალისტთა კავშირის წევრი ვარ და ნება მომეცით, მეც თქვენს კოლეგად ჩავთვალო თავი და გითხრათ, რომ ჩვენს უცხოელ კოლეგებს რაღაცა ეშლებათ. ჩვენი პრეზიდენტი არ ამბობს, რომ ომი უნდა იყოს. ამერიკა აცხადებს: ომი იქნება, თუკი სადამი არ განიარაღდება. პუტინი პასუხობს: ომი არ იქნება, თუკი ერაყი განიარაღდება. სხვაობას ამჩნევთ? თანაც სადამმა უკვე მიიღო ინსპექტორები და ექსპერტთა ყველა რეკომენდაცია. ასეთ პირობებში ომის დაწყება აშშ მხრიდან გამოუსწორებელი პოლიტიკური მარცხი იქნებოდა .რუსეთს აქვს ისტორიული შანსი, საკუთარი სახის დაუკარგავად ამ რთული სიტუაციიდან გამოსავალი ნახოს. აშშ-ს რუსეთი განგებამ მოუვლინა. იგი ნატო-ს წევრი არ არის, კონფლიქტი ნატო-ში კი ნევროზულ გარემოს ქმნის აშშ-ევროპას შორის, რითიც ევროპამ თავი გამარჯვებულად არ უნდა იგრძნოს. გამოსავალი კი უნდა ნახოს. ანუ ომი არ უნდა დაუშვას.

**- უფრო კონკრეტულად დღეს რუსეთის პოზიციის ჩამოყალიბება როგორ შეიძლება?**

- რუსეთის პოზიცია ნათელია: საკუთარი ინტერესების შესაბამისად იგი თვლის, რომ ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი არ უნდა ჰქონდეს. თუმცა, სადამის ბოლომდე ნდობაც არ შეიძლება, რადგანაც ბოლო 10-15 წლის მანძილზე იგი ბევრჯერ ტყუოდა. ჩვენი პოზიციაა: ინსპექცია აუცილებელია. თუ დადასტურდება, რომ ერაყში იარალი არ არის, ომი არ იქნება. თუ ერაყი ეშმაკობს, მაშინ აშშ პოლიტიკა გამართლებულია.

**- ე.ი. თქვენ მაინც ფიქრობთ, რომ ვლადიმირ პუტინი ამერიკასთან მისასვლელ ხიდს არ დაწვავს?**

- უფრო მეტიც: პუტინს ვურჩევდი, რომ ერაყში ინსპექტორების მუშაობის შედეგების გამოქვეყნებამდე მოსკოვში მოიწვიოს ნატო-ს ოცეულის შეხვედრა მაღალ დონეზე – "ოცი პლუს ერთი" და ომის საკითხებზე წავიმუშაოთ. მე, მაგალითად, მოვლენათა განვითარების ორ სცენარს ვხედავ: პირველი, იარაღს ერაყში იპოვიან და მეორე, ინსპექტორები დაადასტურებენ სადამის მათთან თანამშრომლობის ფაქტს. ასე რომ, რუსეთი სწორად იქცევა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ერაყში ომი არ იქნება. ჩვენ იქ საერთაშორისო ინსპექტორების მუშაობის მომხრენი ვართ. თუკი გაერო-ს სანქციის გარეშე აშშ ომს მაინც დაიწყებს, ეს იქნება მთელი ამერიკული განათლებული საზოგადოების კრახი. ეს იქნება აშშ-ის ომი მთელს არაბულ სამყაროსთან, რასაც კატასტროფული შედეგები მოჰყვება. ზემოხსენებულ სტატიაში ვწერ, რომ რუსეთს შეუძლია, ამ კონფლიქტში ღირსეული კოორდინატობა გასწიოს.

**- რამდენად პერსპექტიულია დსთ რესპუბლიკებში ამერიკის სამხედრო ბაზების გამოყენება ომის შემთხვევაში? თქვენს კოლეგებს პარლამენტში დღემდე ვერ უპატიებიათ საქართველოსათვის ჩვენთან ამერიკელი ინსპექტორების არსებობის ფაქტი.**

- დსთ-სა და საქართველოში ამერიკული ბაზები - ეგზოტიკურად ჟღერს. შევარდნაძემ, როგორც ჩანს, კარგად ვერ გაიგო, რას ამბობენ ამერიკელები, ამიტომ ეს ფსიქოლოგიური საკითხია და არა პოლიტიკური. დღეს მე ტაჯიკეთის პარლამენტის დელეგაციას შევხვდი და მათგან გავიგე, რომ აშშ მხრიდან არანაირი მიმართვა არ ყოფილა ბაზებზე. საქართველოში ამერიკელი ინსპექტორები მხოლოდ იმიტომ უნდა სჭირდებოდეთ, რომ იქ მოკალათებულ ტერორისტებს ებრძოლონ. რუსეთს ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, რადგანაც ჩვენც ანტიტერორისტული კოალიციის წევრი ვართ. შეაიარაღონ და ავარჯიშონ. მე არ მაქვს რაიმე საფუძველი ვამტკიცო, რომ ამერიკელი ექსპერტები საქართველოში რაიმე უკანონობას ჩადიან. საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მას უფლება აქვს, ვინც სურს, ის მოიწვიოს. თუ მოიწვევს რომელიმე ქვეყნის მსხვილ არმიას და რუსეთთან სახელმწიფო საზღვარზე ჩააყენებს, ეს უკვე სხვა საკითხი იქნება.

www.24hours.ge 24 B

# როგორ მზადდება ჰოლივუდის მთავარი კერძი

"მობილური გაქვთ? დამიტოვეთ, თუ შეიძლება, შეტანა არ შეიძლება. სანამ უფლებას არ მოგცემთ, შენობა არ დატოვოთ. ნუ მოიწყენთ! გამოსაფხიზლებლად, ჰოლში მაგარი ყავა და საუზმე გელით"... – ეს კატეგორიული ბრძანებები და სტუმართმოყვარე მასპინძლის მიპატიჟებები გუშინ გამთენიას, კალიფორნიის დროით 04:50 წუთზე, ბევერლი ჰილსზე ისმოდა. ამერიკული კინო-აკადემიის მთავარ ოფისს გაძლიერებული დაცვა და ყურადღებადქცეული პერსონალი იცავდა. მთელი ეს აურზაური კი "ოსკარის" 75-ე ნომინანტების გამოცხადებას ეძღვნებოდა. 200-მდე ჟურნალისტი, სტუდიის თანამშრომლები, "ოსკარის" კამპანიის მონაწილენი, სულ ხუთასი კაცი – ახალი ამბავი პირველებმა, სწორედ მათ შეიტყვეს. თუმცა, კინო-აკადემიას არც ის ამერიკელები დაუჩაგრგავს, ვინც გარიჟრაჟზე გაღვიძება იკადრა: ნომინანტთა გამოცხადების ცერემონიალს სამი არხის – CNN-ის, E!-ისა და BBC-ის დილის შოუები პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ.

დარბაზში კი აკადემიის პრეზიდენტი ფრენკ პირსონი და მსახიობი მარისა ტომეი "ოსკარის" გამარჯვებულთა ვინაობებს ასახელებდნენ. აი, ვის აქვს წელს გამარჯვების შანსი:

პირველ რიგში, მიუზიკლ "ჩიკაგოს", რომელზეც პრესა პრემიერის დღიდანვე საუბრობს. ეს გახლავთ "ოქროს გლობუსის" ლიდერი ფილმი და სურათი, რომელიც წელს "ოსკარის" 13 ნომინაციაზეა წარდგენილი, მათ შორის, კატეგორიაში "საუკეთესო ფილმიც".

ფავორიტთა ნუსხას, მეორე ადგილით, მარტინ სკორსეზეს "ნიუ იორკის ბანდები" აგრძელებს. ის სულ ათ კატეგორიაში ლიდერობს. რჩეულთა სამეულს, ცხრა ნომინაციით, ბრიტანელი რეჟისორის სტივენ დალდრის "საათები" აგვირგვინებს (ფილმი ვირჯინია ვულფის შესახებ, რომელშიც მერილ სტრიპი, ნიკოლ კიდმანი და ჯულიან მური თამაშობენ).

ბუნებრივია, სამივე ფავორიტი სურათი წარდგენილია ნომინაციაზე "საუკეთესო ფილმი". მათ ამ "ოსკარის" მოპოვებაში "ბეჭდების მბრძანებელი" და რომან პოლანსკის "პიანისტი" შეეცილება....

კინო-აკადემია ჯერ კიდევ 1955 წელს მიხვდა, რომ თუ "ოსკარის" პომპეზური სანახაობით საზოგადოება სიამოვნებით "იკვებებოდა", ის ასეთივე სიამოვნებით "მიირთმევდა" ნომინანტთა გამოვლენის ცერემონიალსაც. მსგავსი დასკვნა გააკეთა ტელეარხმა NBC-მ, რომელიც მანამდე, ორი წლის განმავლობაში, უდიდესი კომერციული წარმატებით გადასცემდა "ოსკარის" დაჯილდოების ცერემონიალს. და ასე, პრინციპით – "მოდი, მაყურებელს კიდევ ერთი ჰოლივუდური კერძი შევთავაზოთ", ტელე-არხებმა 1955 წელს ნომინანტების გამოვლენის ღონისძიება ყველაზე ძვირ დროს – "პიკის საათში" გაუშვეს. შესაძლო კანდიდატები კი იქვე, ღამის კლუბებში კათხა ლუდის თანხლებით შეიკრიბნენ და შოუს ტელე-ეთერით ადევნეს თვალი. ბარის ცისფერი ეკრანიდან ლოელა პარსონი გამოთქმით კითხულობდა გამარჯვებულთა სახელებს: საუკეთესო ქალი მსახიობი – ანა მანიანი, საუკეთესო მამაკაცი მსახიობი – ერნსტ ბორნინი, საუკეთესო რეჟისორი – დელბერტ მანი, საუკეთესო ფილმი – "მარტი". მომდევნო წლებში, ტელე-ეთერით გამარჯვების შესახებ კიდევ იულ ბრინერმა, ალეკ გინესმა, ინგრიდ ბერგმანმა, ჯოან ვუდვორდმა, ჯორჯ სტივენსმა და დევიდ ლინმა შეიტყვეს. შემდეგ კი მაყურებელმა დაასკვნა, რომ "ოსკარის" ეს ახალი კერძი არც ის გემრიელი იყო და ტელეარხების ფინანსურმა მოგებამაც საგრძნობლად იკლო. შედეგად, NBC-იმ უარი განაცხადა პირდაპირ ეთერზე, მით უმეტეს "პიკის საათის" დროს...

"დაძალების პრინციპით" ტრადიცია მხოლოდ 30 წლის შემდეგ, 1987 წელს აღდგა. როგორც ჩანს, მე-20 საუკუნის მიწურულს მასკულტურა და, ზოგადად, შოუბიზნესის კომერციული ფასეულობები გაცილებით უფრო ძლიერი და ფეხმოკიდებული აღმოჩნდა, ვიდრე 50-იან წლებში. შესაბამისად, კინო-აკადემიამ შოუს აღდგენაზე ტელე-არხები იოლად დაითანხმა. ჩინებულად იმუშავეს იმიჯმეიკერებმაც. მათ ღონისძიებას მეტი ინტრიგა და პროვოკაცია შემატეს და ნომინანტთა გამოვლენის ცერემონიალი გამთენიას დანიშნეს. ეს დეტალი, ბუნებრივია, მაყურებლის მისაზიდად მშვენიერი ფსიქოლოგიური ხერხი აღმოჩნდა. კომერციულმა წარმატებამაც არ დააყოვნა და დღეს უკვე პირდაპირ ეთერს "ოსკარის" ნომინანტთა შოუს ისეთი მსხვილი ტელე-კომპანიები უთმობენ, როგორებიცაა CNN თუ BBC. ბევრი ამერიკელი კი სიამოვნებით იკლებს ძილს და ისეთი გატაცებით უყურებს პირდაპირ ჩართვას ბევერლი ჰილსიდან, თითქოს, ტელე-არხები იგივე ცნობას აღარასდროს გაიმეორებდნენ და საერთოდ, თითქოს, "ოსკარის" გადამწყვეტი ცერემონიალი 23 მარტს კი არა, იმ დილას იყოს დანიშნული...

ამგვარი საზოგადოებრივი რეზონანსის შექმნას, ბუნებრივია, ისევ და ისევ, ცერემონიალში ჩადებული ინტრიგა აძლიერებს. ყველამ იცის, რომ ალიონისთვის მზადება კინო-აკადემიის შტაბბინაში წინა საღამოს, 9 საათზე იწყება. აკადემიის თანამშრომლები, აღმასრულებლები – ბრიუს დევისი, რიკ რობერტსონი და ჯონ პავლიკი შენობის ბოლო სართულზე იკრიბებიან. საბუღალტრო ფირმას Pricewaterhouse Coopers-ს კი მათთან საგულდაგულოდ დალუქული შედეგები აქვს და შენობაც იკეტება. "დილამდე გარეთ გასვლა ეკრძალება ყველას, ვინც კი საღამოს 9 საათზე შენობაში იმყოფება. გამორთულია ტელეფონისა და ფაქსის ყველა აპარატი. გვეკრძალება მობილური ტელეფონების შეტანაც. მთელ ამ ცერემონიალს ჩვენ ძალიან სერიოზულად ვუყურებთ", - აცხადებს აკადემიის პრეს-აგენტი ლესლი ანგერი.

სანამ აკადემიის პერსონალი დალუქულ ინფორმაციას ხსნის და პრეს-რელიზებისთვის შედეგების ამსახველ 1200 ქსეროასლს იღებს, ყველა დაძაბულია. ზუსტად 3 საათსა და 30 წუთზე კი იწყება რეპეტიცია – პირსონი და მარისა ტომეი თავიანთ ტექსტებს ეცნობიან და ხმას იყენებენ. მოწვეული სტუმრები კი, შენობაში შედიან ცერემონიალის დაწყებამდე 40 წუთით ადრე, ისიც მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურის გვარიანად შემოწმების შემდეგ. სწორედ მაშინ ცოცხლდება ქუჩა და ისმის შეძახილები, რომლებიც თავშივე გაგაცანით...

ბუნებრივია, ეს ყველაფერი მომქანცველად ჟღერს. მით უფრო, თუ გავიხსენებთ, რომ "ოსკარის" ნამდვილ ცერემონიალამდე ჯერ კიდევ მთელი თვეა დარჩენილი; ეს წინასწარი ნერვიულობა კი მხოლოდ მაყურებლის ემოციების შემოწმებას ემსახურება – აბა, გაუძლებენ თუ არა ისინი 23 მარტის საღამოს ტელე-ეკრანთან ჯდომას და, "ოსკარისადმი" გამოვლენილი ინტერესით, დაეხმარებიან თუ არა ტელე-კომპანიებს რეკლამების მიზიდვაში, ანუ დიდი ფულის გაკეთებაში...

საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, ასეც მოხდება, თან, ყველა ნასიამოვნები დარჩება – ფულიც გაკეთდება, "წითელი ხალიჩისთვის" ლამაზი კაბებიც შეიკერება, ვარსკვლავთა ამბიციებიც დაკმაყოფილდება, რჩეულებიც გაიხარებენ, დამარცხებულებს შეშურდებათ, საზოგადოება კი კიდევ ერთხელ და თან უდიდესი სიამოვნებით მიირთმევს ჰოლივუდის მთავარ კერძს – ისე, თითქოს ამ საკვებს პირველად უსინჯავდეს გემოს.









## ნომინაციები

### საუკეთესო მსახიობი ქალი:

რენე ზელვეგერი ("ჩიკაგო")
ნიკოლ კიდმანი ("საათები")
დაიან ლეინი (Unfaithful)
სალმა ჰაიეკი ("ფრიდა")
ჯულიენ მური ("ზეციდან შორს")

### საუკეთესო მსახიობი მამაკაცი:

ჯეკ ნიკოლსონი ("შმიდტის შესახებ") (აღსანიშნავია, რომ ნიკოლსონი მამაკაცებს შორის რეკორდსმენია – ის "ოსკარის" ნომინანტი 12-ჯერ ყოფილა)
ნიკოლას კეიჯი ("ადაპტაცია")
ედრიენ ბროდი ("პიანისტი")
სერ მაიქლ კეინი ("ჩუმი ამერიკელი")
დენიელ დეი-ლუისი ("ნიუ იორკის ბანდები")

### მეორეხარისხოვანი მსახიობი ქალი:

ქეთრინ ზეტა-ჯონსი ("ჩიკაგო")
ჯულიენ მური ("საათები")
მერილ სტრიპი ("ადაპტაცია")
ქეთი ბეიტსი ("შმიდტის შესახებ")
ქუინ ლატიფა

### მეორეხარისხოვანი მსახიობი მამაკაცი:

პოლ ნიუმენი (Road to Perdition)
კრისტოფერ უოკენი ("დამიჭირე, თუ შეგიძლია")
ედ ჰარისი ("საათები")
კრის კუპერი ("ადაპტაცია")
ჯონ ს. რილი ("ჩიკაგო")

### საუკეთესო უცხოური ფილმი:

El Crimen Del Padre Amaro (მექსიკა),
"გმირი" (ჩინეთი),
"კაცი წარსულის გარეშე" (ფინეთი),
"არსად აფრიკაში" (გერმანია),
Zus & Zo (ჰოლანდია)

### საუკეთესო რეჟისურა:

"ჩიკაგო"
"ნიუ იორკის ბანდები"
"საათები"
"პიანისტი"
"ესაუბრე მას"

### საუკეთესო მუსიკა (სიმღერა):

"ჩიკაგო"
"8 მილი"
"ფრიდა"
"ნიუ იორკის ბანდები"
The Wild Thornberrys Movie

### საუკეთესო ანიმაციური მხატვრული ფილმი:

Ice Age
"ლილო და სტიჩი"
"სპირიტი"
Spirited Away
"განძის პლანეტა"

### საუკეთესო ვიზუალური ეფექტები:

"ბეჭდების მბრძანებელი"
"კაცი-ობობა"
"ვარსკვლავეთის ომები, ეპიზოდი II"

### საუკეთესო სცენარი:

"ზეციდან შორს"
"ნიუ იორკის ბანდები"
"ჩემი დიდი ბერძნული ქორწილი"
"ესაუბრე მას"
Y Tu Mama Tambien

### საუკეთესო კოსტუმი:

"ჩიკაგო"
"ფრიდა"
"ნიუ იორკის ბანდები"
"საათები"
"პიანისტი"

სინემა

კინოთეატრები "რუსთაველი" და "ელისო"

# „ექსტრემალები"

Extreme ops

(აშშ. 2002წელი)



კადრი კინოფილმიდან

რეჟისორი: **კრისტიან დუგეი,**
მთავარ როლებში: **დევონ სავა, ბრიჯიტ ვილსონ-სამბრასი, რუპერტ გრეივსი, რუფუს სეველი**

ეს უფრო ნახევრად დოკუმენტური ფილმია, ვიდრე მხატვრული ნაწარმოები. კინოსურათში რამდენიმე ადამიანის ისტორიაა მოთხრობილი, რომლებიც სიცოცხლისთვის საშიში ექსტრემალური სპორტის სახეობებს მისდევენ, იქნება ეს ფრიალო კლდეებიდან თხილამურებით დაშვება თუ აქაფებულ მდინარეში ბაიდარებით ცურვა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ძალიან ძნელი გასარკვევია, სად მთავრდება ჩვეულებრივი კინემატოგრაფიული სპეცეფექტები და სად იწყება ნამდვილი თავგადასავლები. ფილმში საკმაოდ ცნობილ მსახიობებთან ერთად, სწორედ ექსტრემალური სპორტის მოყვარულებიც იღებენ მონაწილეობას. სურათის უდიდესი ნაწილი მათ გიჟურ და სულის გამყინავ მოქმედებებს აქვს დათმობილი, რაც ნამდვილად შთამბეჭდავი და საინტერესოა, რასაც ვერ ვიტყვით თავად ფილმის სიუჟეტზე.

კინოსურათის პერსონაჟების მოქმედებები თითიდან გამოწოვილს ჰგავს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სცენარი მხოლოდ იმისთვის იწერებოდა, რათა ფილმში რაც შეიძლება მეტი სპეცეფექტი ყოფილიყო. სურათი სპორტული თავგადასავლებით იწყება და მთავრდება. მთელი სიუჟეტი კი ის არის, რომ ექსტრემალური სპორტის მოყვარულები, ფულის გაკეთების მიზნით, გადაწყვეტენ გადაიღონ ფილმი სპორტის ექსტრემალურ სახეობებზე!

მოქმედება ავსტრიის ალპებში ვითარდება, სადაც სრულიად სხვადასხვა ჯურის ტერორისტებიც გამოჩნდებიან, მაგრამ რაც უნდა პარადოქსული იყოს, ისინი ამ ფილმში მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ და მთავარი გმირების ქცევებზე ვერანაირ ზეგავლენას ვერ ახდენენ. ექსტრემალები ტერორისტების გამოჩენამდეც საფრთხეში იგდებდნენ თავს და იარაღიანი ბოროტმოქმედები მათ, უბრალოდ, დამატებით სტიმულს აძლევენ, უფრო გულმოდგინედ შეასრულონ ესა თუ ის სპორტული ილეთი. ამ ექსტრემალების გადამკიდე ტერორისტები, ისეთი უმწეოები ჩანან, რომ მაყურებელს შეიძლება მათ მიმართ სიბრალულიც კი გაუჩნდეს.

უნდა ითქვას, რომ სიუჟეტის განვითარებისას, ტერორისტების გამოჩენამ სერბი გენერლის მეთაურობით, კინოსურათზე, აშკარად, უარყოფითად იმოქმედა. დამეთანხმებით, ბევრად უფრო საინტერესოა იმის ხილვა, თუ როგორ ებრძვის ადამიანი ბუნების ძალებს (იქნება ეს ქარბუქი, ზვავი თუ მიზიდულობის ძალები), ვიდრე ადამიანების მიერ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტის ყურება. ეს ფილმი სიუჟეტის მიხედვით ძალიან ჰგავს ცნობილ ფილმს "მთამსვლელი" სილვესტერ სტალონეს მონაწილეობით. მაგრამ იქ სცენარი აზრობრივად გამართული იყო, რასაც ვერ ვიტყვით "ექსტრემალებზე". ფილმში იმდენი ლოგიკური უზუსტობაა დაშვებული, რომ კინოსურათი საკუთარი თავის პაროდიას ემსგავსება. განა დასაჯერებელია, რომ მსოფლიოში ცნობილი დამნაშავე, გაგანია სეზონის დროს პოპულარულ კურორტზე იმალებოდეს?! ანდა, იმის მაგივრად, რომ ტერორისტებმა ტყვეები მოკლან, რატომღაც ერთმანეთის ხოცვას იწყებენ! მსგავსი დაუჯერებელი ამბები ფილმში მრავლადაა და ჩვენ არ შევუდგებით მათ დეტალურ განხილვას. კინოსურათი ხომ, უპირველეს ყოვლისა, ექსტრემალურ სპორტის სახეობებზეა და არა სამხედრო დამნაშავეებზე. ამ ფილმს შანსი ჰქონდა ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე რომანტიული ნაწარმოები გამხდარიყო. სამწუხაროდ, ტერორისტებმა ყველაფერი გააფუჭეს!

*არჩილ მელიქიშვილი*

# წერილი მეგობრისგან

*სხვისი წერილების კითხვა, რომ მაღალზნეობრივი საქმე არ არის, ყველამ იცის. ყოველთვის მიკვირდა ხოლმე, როდესაც კლასიკოსთა ნაწარმოებების მრავალტომეულის ბოლო ორი-სამი ტომი მთლიანად პირადი წერილებისგან შედგებოდა. ეპისტოლარული ჟანრი მოგვიანებით დავაფასე, როდესაც მეგობრისადმი მიწერილი საკუთარი ნაწერები გადავიკითხე – იმდენი დავიწყებული ფაქტი გავიხსენე... გადავწყვიტე ერთ-ერთი ასეთი წერილი გამოვაქვეყნო, თანაც გაზეთში. თუმცა, ამის მიზეზი საზოგადოებრივი ინტერესია, რომელიც წერილის შინაარსისადმი არსებობს ჩვენთან, რადგანაც საქმე ეხება ჯგუფ* Soft Eject-*ის წარმატებულ ტურნეს დიდ ბრიტანეთში. იანვრის ბოლოდან "სოფთები" იქ არიან. თუმცა, ყველანაირ დეტალს სწორედ ამ წერილიდან შეიტყობთ.*



Soft Eject

ლევან ხერხეულიძის ფოტო

მხურვალე სალამი ინგლისიდან!
როგორ ხართ, რას შვრებით?

ძალიან გამიკვირდა, რომ არ მიგიღია ჩემი წერილი, იმიტომ რომ ჩამოსვლის შემდეგ ორ დღეში გამოგიგზავნე და ეტყობა შეცდომით დავწერე მისამართი; ამიტომ გიგზავნი ხელმეორედ ახალ წერილს ახალი ინფორმაციით.

ჩვენ კარგად ჩავფრინდით, ცოტა დავიღალეთ, მაგრამ ჩამოსვლისთანავე კონცერტი გვაჯახეს და ამიტომ დიდად ვერ მოვახერხეთ დამღლელი მგზავრობის თანმხლები წუწუნი.

23-ში ჩამოვფრინდით ღამე და 24-ში ქალაქ გლოსოპში გვქონდა კონცერტი კლუბში The Globe. წინა ჩამოსვლაზე აქ გამოვედით და ახლა პუბლიკა უკვე ნაცნობ ჯგუფს შეხვდა, მოკლედ მაგარი იყო. ამ კონცერტის ცოცხალი ჩანაწერი გაკეთდა და საკმაოდ კარგი, რომ ჩამოვალთ წამოვიღებთ აუცილებლად.

25, 26, 27, 28 სულ კონცერტები გვქონდა მანჩესტერში და მის გარშემო პატარა ქალაქებში.

დღეს (*10-ში*) დასვენება გვაქვს, ხვალ კი ვუკრავთ ქალაქ ბუქსტონში; ამავე ქალაქში დავუკრავთ 8-შიც (*მარტი*) ბუქსტონის ჯაზ-როკ ფესტივალზე. მანამდე, კი 6-ში ლონდონში გვაქვს კონცერტი და დიდ იმედებს ვამყარებთ. უნდა დავუძახოთ ვილაც ტიპებს BBC-დან და რაღაც საკონცერტო სააგენტოებიდან, მერე ისევ მანჩესტერის გარშემო და შეიძლება ლივერპულშიც; იქით კვირაში რადიო ინტერვიუ გვაქვს მანჩესტერის მუსიკალურ რადიოში. 15-დან 18-მდე კიდევ 2 კონცერტის დანიშვნას აპირებენ, მაგრამ ჯერ არ ვიცი ზუსტად. მოკლედ 19-მდე მაგარი დატვირთულები ვართ, მერე კი ჩამოვალთ ჩვენს ბედკრულ სამშობლოში, სადაც დარწმუნებული ვარ, არც სინათლეა იმისთვის, რომ თუნდაც 2 საათი ვირეპეტიციოთ და არც გაზი, რომ რეპეტიციის გარეშე მყოფმა ხალხმა ხელები მაინც გაითბოს! ვხუმრობ.

უკვე მიპატიჟება მივიღეთ გლოსოპის ყოველწლიურ ფესტივალზე ზაფხულში, ივლისში. ანუ შემდეგი 3 ტურნე უკვე იგეგმება ზაფხულში, ივლისი-აგვისტო.

იმედი მაქვს, მოვხვდებით პიტერ გაბრიელის ფესტივალზეც, რომელიც სწორედ ზაფხულშია. ხვალ სწორედ გაბრიელის ახლანდელ უდარნიკს (*დასარტყამ საკრავებზე შემსრულებელი*) ვხვდებით და ვნახოთ...?

აბა დროებით ჩემო ვერო, გაუძელი მაგ ბებერ ძაღლს (იცი ვისაც ვგულისხმობ!) და მოიკითხე ჩვენგან ყველასგან!

მოგწერთ 2-3 დღეში და იქნებ შენც მიპასუხო ვახო (*ვახტანგ ბაბუნაშვილი - ჯგუფის ლიდერი*)

# მომაჯადოებელი კავკასია და მსგავსი ხასიათები

**ბრიტანელი ჟურნალისტის დანახული ამიერკავკასიული პრობლემები**

ვერა ნეფარიძე

"სამყარო უსაზღვროა, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი ადგილი გვიზიდავს გამუდმებით. კავკასია მაჯადოებს. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც შინ", - ეს სიტყვები ბრიტანელ ფოტოჟურნალისტს ენ დოჰერთს ეკუთვნის. რამდენიმე თვეა მისი ექსპოზიცია "კავკასია – მსგავსი ხასიათები" ამიერკავკასიაში მოგზაურობს. გუშინწინ ის სომხეთიდან ჩამოიტანეს. გუშინ კი ბრიტანელი ფოტოჟურნალისტის ნამუშევრებს გალერეა TMS-ში ათვალიერებდნენ.

დოჰერთი ხუთი წელიწადია ფოტოგრაფიაში მუშაობს. წლების განმავლობაში თანამშრომლობს ჟურნალ The Sunday Times Magazine-თან. ამაიერკავკასიით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც შემთხვევით გადააწყდა ჯონ შტაინბეკის წიგნს "რუსული დღიური", რომელშიც ნაამბობია ავტორის საბჭოთა კავშირში მოგზაურობა. წიგნის იმ პასაჟმა, რომელიც კავკასიას ეხებოდა, თურმე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ენზე და სწორედ ამის გამო გადაწყვიტა, თავად მოენახულებინა წიგნში აღბეჭდილი ადგილები. ენ დოჰერთი ორი წლის წინათ ჩამოვიდა კავკასიაში და მას შემდეგ განუწყვეტლივ მოგზაურობს. ფოტოგრაფი გუშინ TMS-ში გახსნილ გამოფენასაც ამ მიზეზით ვერ დაესწრო – როგორც გამოფენის ორგანიზატორებმა მითხრეს, ფოტოჟურნალისტი ამჟამად სომხეთშია.



გამოფენაზე

ვახო ბასილიას ფოტო

კავკასიაში ყოფნისას ბრიტანელი ფოტოგრაფი ბევრს დადიოდა და ფირზე აღბეჭდავდა რიგითი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას.

"მნიშვნელობა არ აქვს, თუ სად ცხოვრობენ ისინი: საქართველოში, სომხეთსა თუ აზერბაიჯანში; მათ აერთიანებთ საერთო პრობლემები დემოკრატიზაციის გზაზე. ჩვენ შეგნებულად არ ვაკონკრეტებთ, თუ რომელ ქვეყანაშია გადაღებული თითოეული ფოტო ამ ექსპოზიციიდან", - წერია ბრიტანეთის საბჭოს მიერ მომზადებულ პრეს-რელიზში. და როდესაც ექსპოზიციას დაათვალიერებთ, მიხვდებით, რომ ორგანიზატორთა გადაწყვეტილება არც ისე ურიგოა. მნიშვნელობა მართლაც არ აქვს სად არის გადაღებული: "ავტობუსი", "ოჯახური პორტრეტები", "აბანოში", "მოხუცი ვაშლს ფცქვნის", "ქალები აცხობენ", "სამი ქერა გოგონა", "დედა-შვილი წინაპართა პორტრეტებით", "ქუჩის ბიჭები", "ოჯახი მონასტერში", "გასვენება", "მიცვალებულის ხსოვნის სადღეგრძელო", "სინაგოგა" და ა.შ., - მსგავსი სცენები თუ ეპიზოდები ძალიან ხშირად გვხვდება ჩვენ, ყველას ყოველდღიურად.

"მაშინ, როდესაც აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის კონფლიქტია, ჩვენც, ანუ ბრიტანეთის საბჭომ, ამ ორი ხალხის ხასიათების მსგავსებას გავუსვით ხაზი. მთლიანად სერია ადამიანებზეა და პრობლემატური ხასიათისაა. სოციალური ფოტოგრაფია ხომ, მაინც ყოვლდღიურ პრობლემებს ეხება", - გვითხრა ბრიტანეთის საბჭოს არტ-მენეჯერმა ირაკლი ფიცხელაურმა.

გამოფენის გახსნას, საკმაოდ მრავალრიცხოვანი აუდიტორია დაესწრო. ორგანიზატორებს მიწვეული ჰყავდათ საელჩოს, დიპლომატიური კორპუსისა თუ ბრიტანული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

# დოკუმენტური ფილმი ქართულ კულტურაზე

ახალი პროგრამის "მსოფლიოს პოლიფონია - კულტურების პოლიფონია" ფარგლებში ქართულ კულტურაზე დოკუმენტური ფილმის გადაღება დაიწყება. როგორც პროგრამის ერთ-ერთმა ავტორმა ალექსანდრე ბაშკიმ თქვა, ამ დიდი პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ფილმები, რომლებიც ამა თუ იმ ხალხის კულტურაზე მოგვითხრობს.

პროექტის პირველ საღამოს, რომელიც მოსკოვში გაიმართა, გადაწყდა ორი ფილმის ჩართვა სერიალიდან "მატენდარანი", რომელიც კიმ ბაშკისა და ოვიკ ახვერდიანის მიერ არის გადაღებული. ერთ ფილმში წარმოდგენილია სომხეთის მიერ ქრისტიანობის მიღება, ხოლო მეორეში - მხატვარ-მინიატურისტის ტორეს როლსინეს შემოქმედება. ბაშკის აზრით, აუცილებელია იმ ერთიანი კულტურული სივრცის აღდგენა, რომელშიც ადრე საბჭოთა კავშირის ყოფილი ქვეყნები შედიოდნენ.
**(კავკას-პრესი)**

ქალენდარი

## 12 თებერვალი



იტალიელი კინორეჟისორი, ფრანკო ძეფირელი, ფლორენციაში დაიბადა. მისი კარიერა მსახიობობით დაიწყო – ლუკინო ვისკონტის თეატრალურ დადგმებში იღებდა მონაწილეობას, და მხოლოდ ამის შემდეგ მიიწვია დიდმა რეჟისორმა კინოგადაღებებზე ასისტენტად (ეს იყო ფილმები "მიწა იძვრის" – 1947 – და "ბელისიმა" – 1951).

1945 წელს ძეფირელიმ ოპერასა და თეატრში დეკორაციებისა და კოსტუმების დიზაინერობას მიჰყო ხელი. 50-იანი წლების დასაწყისში ის ლონდონში, ნიუ იორკსა და სხვა დიდ ქალაქებში უამრავი საოპერო და თეატრალური დადგმის რეჟისორი და მხატვარი იყო, და სპექტაკლების ბრწყინვალე გაფორმებით გაითქვა სახელი.

60-იანი წლების ბოლოს ძეფირელი კინორეჟისურითაც დაინტერესდა. მისი სადებიუტო ნამუშევარი ელიზაბეტ ტეილორისა და რიჩარდ ბარტონის მონაწილეობით გადაღებული "ჭირვეულის მორჯულება" იყო. ამ ფილმის გადაღების შემდეგ, ერთ წელიწადში ეკრანებზე მისი ყველაზე ცნობილი სურათი, "რომეო და ჯულიეტა" გამოვიდა. "რომეო და ჯულიეტა" კინოს ისტორიაში უჩვეულო მოვლენა იყო: ძეფირელიმ პირველმა მოიწვია შექსპირის გმირების ნორჩი შეყვარებულების როლების შესასრულებლად სრულიად უცნობი ახალგაზრდები.

1968-დან 1990 წლამდე ფრანკო ძეფირელი საუკეთესო რეჟისურისთვის ხუთჯერ იყო "ოსკარზე" წარდგენილი ფილმებისთვის: "რომეო და ჯულიეტა", "ჩემპიონი", "ტრავიატა", "ოტელო" და "ჰამლეტი".

ძეფირელი, კვლავაც განაგრძობს თავის საქმიანობას – ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საოპერო დადგმებს ახორციელებს.

**ფრანკო ძეფირელი** დაიბადა 1923 წლის 12 თებერვალს.

# „დანელიადა" - ლიტერატურული დებიუტი

ვერა ნეფარიძე

15 თებერვალს მოსკოვში, ლიტერატორების ცენტრალურ სახლში ცნობილი რეჟისორის, გიორგი დანელიას სადებიუტო ლიტერატურული ნამუშევრის პრეზენტაციაა დაგეგმილი.

"მიმდინარე კვირა ლიტერატორების ცენტრალურ სახლში კვლავ ტრიუმფით დასრულდება. შაბათს ფესტივალი "ტრიუმფი" წარმოადგენს გიორგი დანელიას "უბილეთო მგზავრს"; "ტრიუმფის" პრემიის ლაურეატ რეჟისორს გია ყანჩელის აკომპანიმენიტის ფონზე წარადგენენ. კომპოზიტორმა რეჟისორს სადღესასწაულო საჩუქარი მოუმზადა მოკრძალებული სახელწოდებით – "დანელიადა", - წერს რუსული მედია.

გიორგი დანელიამ საკუთარი ლიტერატურული ნაწარმოები ცნობილ იტალიელ სცენარისტს ტონინო გუერასა და მის მეუღლეს, ლორას მიუძღვნა. სწორედ გუერამ უკარნახა, თურმე, გამოჩენილ რეჟისორს ამ წიგნის დაწერა. როგორც გიორგი დანელია ყვება, გუერამ მას ჰკითხა, თუ რატომ არაფერი გადაიღო "ფორტუნას" შემდეგ და ურჩია დაეწერა რაიმე საკუთარი ცხოვრებიდან.



გიორგი დანელია

"გადავწყვიტე წიგნში არა მხოლოდ საკუთარ თავზე მომეთხრო, არამედ ჩემს მეგობრებსა და ახლობლებზეც. იმ ხალხზე, ვისთან ერთადაც მომიწია ცხოვრების გზაზე სიარული", - ამბობს რეჟისორი. წიგნის ფურცლებზე მოთხრობილია ისეთი პოპულარული კინოსურათების შექმნის ისტორიები, როგორებიცაა: "საშემოდგომო მარათონი", "დავდივარ მოსკოვში", "მიმინო", "პასპორტი" და სხვები. რასაკვირველია, დანელია ჩვეული იუმორითა და გამბედაობით ყვება სხვადასხვა ეპიზოდებთან დაკავშირებულ საინტერესო ამბებს. წიგნი გამოსცა მოსკოვურმა გამომცემლობა "ექსმომ" (სხვათა შორის, ამავე გამომცემლობას ეკუთვნის ოლეგ ტაბაკოვის მემუარების კრებულიც). "უბილეთო მგზავრი" "ტრიუმფის" კიდევ ერთი ლაურეატის, ფოტოგრაფიის მეტრის, იური როსტის ილუსტრირებულია.

შემოქმედებითი კვირეული მოსკოვში, გუშინ საქართველოს თემით დაიწყო. ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გაიმართა იუმორისტულ წიგნთა (Энциклопедия хулиганствующего ортодокса) ავტორთან, იოსებ რასკინისთან შეხვედრა. როგორც ჩანს, რასკინი მემუარისტად იქცა და ამჯერად წარადგინა ახალი ნამუშევარი "საქართველო, ჩემს გულში ხარ", რომლის მომზადებაშიც მას მოსკოველი ქართველები: ვახტანგ კიკაბიძე, ზურაბ სოტკილავა და ნაწილობრივ დიანა ღურწკაიაც დაეხმარნენ. რაც შეეხება კვირეულის დანარჩენ დღეებს, ეს პროგრამა ჩვენთვის შეიძლება ითქვას, ნაკლებად საინტერესოა. ყოველდღე გაიმართება შეხვედრები სხვადასხვა თანამედროვე რუს ლიტერატორებთან. პარასკევს კი ლიტერატურის მოყვარულები გაეცნობიან პროექტს "მეოცე საუკუნის 100 პოეტი. ლექსები ავტორთა შესრულებით".

# დიდი ოჯახის სიხარული

**პატარების ქველმოქმედება პატარებისათვის**

ნანა ბასილაშვილი

დიდი ოჯახი, სადაც რამოდენიმე უფროსი და უამრავი პატარა ცხოვრობს, რომლებსაც ერთი ტკივილი და ერთი დარდი აერთიანებთ, სადაც ერთი თხილის გული 109 ბავშვზე იყოფა, სადაც მცირედი ყურადღებაც კი არასოდეს ავიწყდებათ.

"ჩვენ ლელა წურწუმიას ვიცნობთ, ამას წინათ "ქუჩის ბიჭები" და ია ჩანტლაძე გვესტუმრნენ, მაგრამ ჩვენი ოცნებაა, რომ დათო ხუჯაძის კონცერტზე მოვხვდეთ, მისი ფანები ვართ", - №1 ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს გუშინ, მათთვის გამართულ საქველმოქმედო კონცერტზე გავესაუბრე.

147-ე სკოლის სააქტო დარბაზში, მხოლოდ თითო-ოროლა უფროსს თუ მოკრავდით თვალს. გაყინული დარბაზი პატარებით იყო სავსე, რომლებიც დიდი ინტერესით, მოუთმენლად ელოდნენ თანატოლების კონცერტს.



საბავშვო ანსამბლ "ნიკეს" ქველმოქმედება

მაია ყიასაშვილის ფოტო

ფილარმონიასთან არსებულ სახელმწიფო, საბავშვო ანსამბლ "ნიკეს" წევრებმა, მათთვის ბევრი ნაცნობი და ბევრიც უცნობი სიმღერა შეასრულეს. ბავშვთა სახლისათვის გამართული კონცერტი, ალბათ პატარა მომღერლებისთვისაც დაუვიწყარი იქნება, რადგან ეს, სულ რაღაც ერთი თვის წინათ დაარსებული ანსამბლის პირველი კონცერტი იყო. "სამომავლოდ გვინდა ტრადიციად დავამკვიდროთ, რომ ორ თვეში ერთხელ მაინც, მაგრამ აუცილებლად, ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს მსგავი კონცერტები გავუმართოთ", - მითხრა "ნიკეს" ხელმძღვანელმა ზურაბ ჩინჩალაძემ. საქველმოქმედო საღამოს მოწყობა სწორედ მისი ინიციატივა იყო, რომლის ორგანიზებაში ფილარმონიის დირექტორი მერაბ დონაძე დაეხმარა. თითქმის ორ საათიან კონცერტს განსხვავებული სადილიც მოჰყვა. ვფიქრობ, ეს დღესასწაული ამით არ დამთავრდებოდა, მას აუცილებლად მოჰყვებოდა გაგრძელება ღამით, ტკბილ სიზმრებში.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

# მარადონას ექიმიც სამკურნალო ჰყავს


მაურისიო ვერგარა

გინდ არგენტინაში იყოს, გინდ კუბაზე, გინდ სადმე სხვაგან, დიეგო მარადონას საზოგადოებისგან მოსვენება არ ექნება. რა გასაკვირია - თითქმის ათი წელიწადია, ფეხბურთის ლეგენდა ხან თვითონ აშავებს რამეს, ხან - მის გარშემო მყოფი ადამიანები. ამჯერად მარადონას ექიმის, მაურისიო ვერგარას ჯერი დადგა.

ვერგარა სწორედ ის ადამიანია, არგენტინელ ვარსკვლავს გამოსათხოვარი მატჩის წინ წონაში რომ დააკლებინა და ფეხბურთის თამაში შეაძლებინა. მაშინ მარადონამ მას სასწაულმოქმედი უწოდა და საქვეყნოდ განაცხადა, უკეთესი ექიმი მსოფლიოში არ მეგულებაო. არც ამას დასჯერდა და რამდენიმე ცნობილ სპორტსმენს ვერგარასთან მკურნალობისკენ მოუწოდა. მაშინ ვინ იცოდა, რომ ვერგარა ნარკოტიკებთან იყო დაკავშირებული.

შარშან, დეკემბერში, წარმოშობით კოლუმბიელი ვერგარა სამშობლოდან ბუენოს-აირესში აპირებდა გადაფრენას. ვინ აცალა - კალის აეროპორტის მებაჟეებმა ორი კილოგრამი კოკაინის საზღვარზე გატანის მცდელობისთვის დააკავეს. ექიმის ბარგში იყო ორი ჩემოდანი, რომლებსაც ორმაგი ძირი ჰქონდა. სწორედ იქ იყო დამალული ნარკოტიკები. გაუგებარია, რისი იმედი ჰქონდა კოლუმბიელ ექიმს, როცა ნარკოტიკების გატანას უარობდა და ხმამაღლა აცხადებდა, ეს ყველაფერი მოწყობილიაო. ამის უარყოფამ შედეგი რომ ვერ გამოიღო, ვერგარამ პოზიცია შეიცვალა და ყველაფერი აღიარა. "დამნაშავე ვარ. უდიდესი შეცდომა დავუშვი და ამისთვის უნდა დავისაჯო", - "ელ პაისისთვის" მიცემულ ინტერვიუში აღიარა ვერგარამ, - "მზად ვარ, მივიღო სასჯელი, რადგან ძალიან მიყვარს ჩემი ოჯახი და მინდა, მას, რაც შეიძლება, სწრაფად დავუბრუნდე. დანაშაულის აღიარება კი საამისოდ უმოკლესი გზაა". ყველაფერი შედარებითია და იმ უმოკლესი გზის გასავლელად, ვერგარას ოჯახთან რომ დააბრუნებს, ექიმს, სულ ცოტა, რვა წელი დასჭირდება. სწორედ ამ ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, კოლუმბიური კანონების თანახმად, ვერგარას მიერ ჩადენილი დანაშაული.

საინტერესოა, იმ პერიოდში თუ ხმარობდა ვერგარა ნარკოტიკებს, როცა მარადონასთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდა? თავად 42 წლის არგენტინელი ახლა კუბაზეა და თავს მშვენივრად გრძნობს. ბოლო დროს ის გოლფით დაინტერესდა და, როგორც თავად აცხადებს, მშვენივრადაც თამაშობს. მაშინ, როცა ვერგარა კოლუმბიის პოლიციას ჩვენებას აძლევდა, შესაძლოა, მარადონა თავის ახალ მეგობართან, ხავიერ სოტომაიორთან ერთად, გოლფს თამაშობდა.

# ბაჯოს პატივსაცემად

ლეგენდარული რობერტო ბაჯო თავს იკლავს, არაჩვეულებრივ ფორმაში ვარ და ნაკრებში ამიყვანეთო. "სკუადრა აძურას" თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი კი "პატარა ბუდას" პენსიაში გაშვებას უპირებს და არხეინად აცხადებს, იტალიის ფეხბურთის ფედერაციას გადაწყვეტილი აქვს, ბაჯოს პატივსაცემად საზეიმო საღამო მოაწყოსო.

"გვინდა, რობერტო ბაჯოს და პაოლო მალდინის მადლობა გადავუხადოთ იტალიური ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი უზარმაზარი წვლილისთვის. მათ ხომ ამდენი რამ გააკეთეს როგორც საკლუბო, ისე სანაკრებო დონეზე", - უთხრა ტრაპატონიმ ჟურნალისტებს.

მალე იტალიის ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან. რობერტო ბაჯოსთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი ნაკრებში გამოძახება იქნებოდა, მაგრამ ტრაპატონის უკვე აღარ სჭირდება ფეხბურთელი, რომელმაც აქამდე "სკუადრა აძურას" ცისფერი მაისურით 55 მატჩი ჩაატარა, 27 გოლი გაიტანა და მას გამოსათხოვარი საღამოსთვის ამზადებს...

# ბერტი ფოგტსი: "შოტლანდია საფეხბურთო ჯუჯაა"

ამ კვირაში ევროპაში ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩები ტარდება. თითქმის ყველა ქვეყანა გამალებული ემზადება ამ შეხვედრებისთვის. ასეთ ტესტ-მატჩს შოტლანდიის ნაკრებიც ატარებს ირლანდიელთა წინააღმდეგ, მაგრამ შოტლანდიელთა გერმანელი ხელმძღვანელი, ბერტი ფოგტსი, თამაშის წინ მაინცდამაინც ოპტიმისტურად არ არის განწყობილი.

"უკვე დიდი ხანია, შოტლანდია აღარ არის დიდი საფეხბურთო ქვეყანა, ისეთი, როგორიც წარსულში იყო. ჩემთვის სრულიად ბუნებრივ მოვლენად იქცა ნაკრებში იმ ფეხბურთელების მიწვევა, რომლებიც თავიანთ კლუბებში, ძირითად შემადგენლობაში თამაშის ნაცვლად, გამუდმებით სათადარიგოთა სკამზე სხედან. შოტლანდიელ ფეხბურთელთა უმრავლესობა ნაკლებად ცნობილ კლუბებში თამაშობს და ამის გამო იძულებული ვარ, "მანჩესტერ"-"არსენალის" მატჩის მაგივრად, "ბრისტოლ სიტისა" და "ვიგანის" შეხვედრას ვუყურო. ირლანდიის ნაკრებს ჩვენზე უფრო ძლიერი და გამოცდილი მოთამაშეები ჰყავს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მათი დამარცხება ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ირლანდიელებს თუ მოვუგებთ, ოფიციალურ მატჩებში უფრო თამამად ვითამაშებთ", - განაცხადა გერმანიის ნაკრების ექს-თავკაცმა.

## ისტორიული ფოტო

### ეს იყო 25 წლის წინათ...


1984 წლის 25 ივნისი. პარიზი.
მიშელ ფრანსუა იდალგო და მიშელ პლატინი.

## ფეხბურთი

# ბრაზილიის მსვლელობა მეექვსე ტიტულისკენ ჩინეთში იწყება

### ცრუ განგაში "ბაიუნის" აეროპორტში


ასე ეგებებიან ბრაზილიელებს ჩინეთში



აკა ტონია

დღეს, 12 თებერვალს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაიმართება საერთაშორისო ამხანაგური მატჩები. 27 შეხვედრიდან, ალბათ, განსაკუთრებით საინტერესოა იტალია-პორტუგალიის, ჰოლანდია-არგენტინისა და გერმანია-ესპანეთის მატჩები.

ჩვენთვის, რასაკვირველია, საყურადღებო იქნება კვიპროს-რუსეთის, შოტლანდია-ირლანდიისა და სლოვენია-შვეიცარიის შეხვედრები - ირლანდიასთან, შვეიცარიასთან და რუსეთთან სულ მალე საქართველოს ნაკრებსაც მოუწევს თამაში.

და მაინც, მთელი მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროს ყურადღება ჩინეთისკენ არის მიპყრობილი. მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი, ბრაზილიის ნაკრები, სწორედ ჩინეთს შეხვდება ქალაქ გუანგჯუში. მატჩი, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონები მონაწილეობენ, როგორც წესი, უდიდეს ინტერესს იწვევს, თუმცა, კონკრეტულად ამ შეხვედრის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი მარტო იმის ბრალი არ არის, რომ კვლავ მოგვეცა რონალდოს, რივალდოს, რობერტო კარლოსის, რონალდინიოსა და სხვების ერთად ხილვის საშუალება.

დღევანდელი მატჩი ბრაზილიის ნაკრებისთვის უბრალო გასეირნება არ იქნება. ეს არის პირველი მატჩი მას შემდეგ, რაც "სელესაოს" სათავეში კარლოს ალბერტო პარეირა და მარიო ზაგალო დაბრუნდნენ. სადებიუტო მატჩი კი ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მეორე მიზეზი, რის გამოც ამ მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია, მის ირგვლივ ევროპის სუპერკლუბების მიერ ატეხილი სკანდალია. საქმე ის არის, რომ შეხვედრის ორგანიზატორებმა, იმის ნაცვლად, რომ ჩინეთში თავისი ძირითადი შემადგენლობა ჩაეყვანათ, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას 1,125,000 დოლარი გადაუხადეს. G14-ად წოდებულმა, ევროპის სუპერ-კლუბების კოალიციამ, ამ ფაქტთან დაკავშირებით უდიდესი შეშფოთება გამოხატა. "რეალის", "მილანის", "ბაიერნის", "არსენალისა" და სხვა ევროპული გრანდების ხელმძღვანელები აცხადებდნენ, რომ ამ ამხანაგურ შეხვედრას სპორტული მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ ორგანიზატორები ფულს აკეთებენ. კლუბებს არ სურდათ, თავიანთი ბრაზილიელი ლეგიონერები ჩინეთში გაეშვათ. ამ საკითხთან დაკავშირებით G14 FIFA-ს პრეზიდენტთან შეხვედრასაც კი მოითხოვს.

ასეა თუ ისე, ბრაზილიის ნაკრები ჩინეთში თავისი სუპერ-ვარსკვლავებით დახუნძლული ჩავიდა.

მატჩის ირგვლივ ატეხილმა ხმაურმა იმატა მას შემდეგ, რაც ბრაზილიელები ჩინეთში ჩავიდნენ. "სელესაო" გუშინწინ შეიკრიბა გუანგჯუში. სანამ სტუმართა თვითმფრინავი "ბაიუნის" აეროპორტში დაეშვებოდა, კიდევ ერთი სკანდალი მოხდა. აეროპორტის დირექციაში უცნობმა პირმა დარეკა და განაცხადა, საფრენ ბილიკებზე სამი ბომბია დამონტაჟებულიო. პოლიციას დიდი თავსატეხი გაუჩნდა. გუანგჯუს სამართალდამცავები რამდენიმე საათის მანძილზე ათვალიერებდნენ აეროპორტის ტერიტორიას. როგორც გაირკვა, განგაში ტყუილად ატყდა - ბომბები ვერ იპოვეს. მიუხედავად იმისა, რომ აეროპორტში თვითმფრინავების მიმოსვლა წამითაც არ შეწყვეტილა, ბრაზილიის ნაკრების დაცვის სამსახურმა სიფრთხილე ამჯობინა და თვითმფრინავი გუანგჯუს მახლობლად, ფუჟუს აეროპორტში დასვა.

ამ უსიამო ინციდენტის მიუხედავად, მომავალ მატჩთან დაკავშირებით შექმნილი საზეიმო განწყობა ჩინეთში არ შენელებულა. უკვე რამდენიმე კვირაა, გუანგჯუს პროვინცია ბრაზილიის ნაკრების მოლოდინით ცხოვრობს. ქალაქში გამოფენილია უზარმაზარი პლაკატები, გახსნილია ექსპოზიციები, რომლებიც ბრაზილიის ნაკრების სტუმრობას ეხება.

"სელესაოს" აეროპორტში ჩინელ გულშემატკივართა დიდი ჯგუფი დახვდა. ბრაზილიელ ფეხბურთელებს გვირგვინები და თაიგულები მიართვეს.

გუშინწინ გაიმართა ორივე გუნდის მწვრთნელთა პრესკონფერენცია. მარიო ზაგალომ ქათინაურები არ დაიშურა ჩინეთის ნაკრების ჰოლანდიელი მწვრთნელის, არი ჰაანის მისამართით. "სწორი გადაწყვეტილებაა, რომ ჩინეთის ფეხბურთის ფედერაციამ, ბორა მილუტინოვიჩის შემდეგ, კვლავ ევროპელი მწვრთნელი დანიშნა. არი ჰაანი ჩინებული სპეციალისტია. დარწმუნებული ვარ, მისი ხელმძღვანელობით, ჩინეთის ნაკრები წარმატებებს მიაღწევს. მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობა უდიდესი გამოცდილებაა, მაგრამ თქვენ იქ ყველა მატჩი წააგეთ. იმისთვის, რომ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწიოთ, უნდა გაიზიაროთ იმ ქვეყნების გამოცდილება, რომლებსაც ფეხბურთის უფრო დიდი ტრადიციები აქვთ. არი ჰაანი კი ამ საქმისთვის საუკეთესო კანდიდატია. აგრეთვე, საჭიროა სათამაშო პრაქტიკა ძლიერ გუნდებთან. მომავალი მატჩი საუკეთესო საშუალებაა კლასის ასამაღლებლად, თქვენ ხომ პლანეტის უძლიერეს გუნდს ეთამაშებით", - განაცხადა ზაგალომ. მისი ჰოლანდიელი კოლეგა, ცხადია, უფრო თავმდაბალი იყო. "ბრაზილიის წინააღმდეგ თამაში ჩინური ფეხბურთისთვის უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს. დარწმუნებული ვარ, ამ მატჩში ბევრს ვისწავლით", - განაცხადა არი ჰაანმა.

ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, კარლოს ალბერტო პარეირამ, ჩინეთთან შეხვედრას "უმნიშვნელოვანესი" უწოდა: "ჩვენ დაგეგმილი გვაქვს თამაში სხვადსხვა სტილის გუნდებთან, რათა ერთმანეთისგან განსხვავებული ტაქტიკური სქემები დავხვეწოთ. ჩინეთთან მატჩი 2006 წლის ჩემპიონატზე მიზნად დასახული ტრიუმფისკენ მსვლელობის დასაწყისი იქნება".

მაშ ასე, 2006 წელს ბრაზილიის ნაკრები მეექვსედ შეეცდება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვებას. ამ გამარჯვებას კი ჩინეთში უყრის საფუძველს.

*დღეს გასამართი ამხანაგური მატჩები:*

ალჟირი - ბელგია
ანგოლა - მოზამბიკი
ბულგარეთი - უნგრეთი
ჩინეთი - ბრაზილია
ხორვატია - პოლონეთი
კვიპროსი - რუსეთი
ეკვადორი - ესტონეთი
ეგვიპტე - დანია
ინგლისი - ავსტრალია
საფრანგეთი - ჩეხეთი
**საქართველო - მოლდოვა**
საბერძნეთი - ნორვეგია
იტალია - პორტუგალია
იამაიკა - აშშ
ლიბია - კანადა
მალტა - ყაზახეთი
მექსიკა - კოლუმბია
მაროკო - სენეგალი
ჰოლანდია - არგენტინა
ჩრ. ირლანდია - ფინეთი
რუმინეთი - სლოვაკეთი
შოტლანდია - ირლანდია
სლოვენია - შვეიცარია
ესპანეთი - გერმანია
ტუნისი - შვედეთი
თურქეთი - უკრაინა
უელსი - ბოსნია-ჰერცეგოვინა

# გერმანელები ბრაზობენ

ევრო-2004-ის საკვალიფიკაციო ეტაპი რომ გადალახოს, მუნდიალის ვიცე-ჩემპიონს, გერმანიის ნაკრებსაც ისეთივე დიდი შრომა სჭირდება, როგორც, მაგალითად, მსოფლიოს საფეხბურთო ზეიმის იშვიათ სტუმრებს - ავსტრიელებს ან შვეიცარიელებს. გერმანელები ესპანეთის ნაციონალურ გუნდთან კუნძულ მაიორკაზე მართავენ ამხანაგურ მატჩს, რაც გულშემატკივართათვის საინტერესო მოვლენა უნდა იყოს, მაგრამ, იმის გამო, რომ შეხვედრა გვიან - ათის ნახევარზე იწყება, ბუნდესნაკრების ყველაზე ახალგაზრდა ფანები, ანუ ბავშვები, უკმაყოფილო დარჩნენ.

მკაცრი მშობლები, რა თქმა უნდა, პატარებს არ მისცემენ ასე გვიან ტელევიზორის ყურების ნებას და დასაძინებლად გაგზავნიან, რაც, ბუნებრივია, ცრემლებისა და ჭირვეულობის გარეშე არ ჩაივლის.

ის კი არა, თვით გერმანელი ტელეკომენტატორის, რაინჰოლდ ბეკმანის 9 წლის ვაჟიშვილს, ვინსენტსაც კი არა აქვს უფლება, მოუსმინის მამის რეპორტაჟს მაიორკადან. ბეკმანის რკინის ლოგიკის თანახმად, ბავშვებმა გვიანობამდე არ უნდა უყურონ ტელევიზორს, რათა მეორე დღეს სკოლაში, გაკვეთილებზე არ ჩაეძინოთ.

"ჩვენც ძალიან გვწყდება გული, რომ მატჩი ასე გვიან იწყება, - თქვა გერმანელთა თავკაცმა რუდი ფიოლერმა, - ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, გუნდი სათამაშოდ უფრო ადრე გასულიყო. ესპანეთის ტელევიზიას სურდა, კიდევ უფრო გვიან გაემართა მატჩი. ათ საათზე საინფორმაციო გამოშვება აქვთ და შეხვედრის ჩატარებას სწორედ ამის მერე აპირებდნენ. ჩვენ იმდენი მაინც შევძელით, რომ მატჩი ნახევარი საათით ადრე დავგეგმეთ".

თუმცა, პრობლემა მარტო ბავშვები არ არის - ამ მატჩის ნახვა არც იმ უფროსებს შეუძლიათ, რომელთა სამუშაო განრიგი დილით ადრე ადგომას ითვალისწინებს. "ჩემთვის ყოვლად წარმოუდგენელია ამ თამაშის ნახვა, რადგან დილით ხუთ საათზე უნდა ავდგე". "თამაში ისე გვიან იწყება, რომ, ალბათ, ტელევიზორის წინ ჩამეძინება. ამ მატჩს ვერც ბავშვები უყურებენ", - უკმაყოფილონი არიან გერმანელი გულშემატკივრები.

ესპანელთა "ღამურობის" ამბავი გერმანულ პრესასაც ძალიან აღიზიანებს. გერმანელ ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ ესპანელებს ცოტა მეტი პატივისცემა უნდა გამოეჩინათ სტუმრების მიმართ და რუდი ფიოლერს მოუწოდებენ, ადგილზე გასცენ პასუხი არასტუმართმოყვარე ესპანელებს.

# შევჩენკო კრიზისშია

ოც თამაშში მხოლოდ ოთხი გოლი, ხანდახან კი საერთოდ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა. ამ ბოლო დროს უკრაინელ ანდრეი შევჩენკოს "მილანში" არცთუ ისე დალხინებული ცხოვრება აქვს. "მილანის" თავკაცი, კარლო ანჩელოტი, აქამდე უარს არ ამბობდა, შევჩენკო ძირითად შემადგენლობაში დაეყენებინა, მაგრამ მას შემდეგ, რაც "მილანმა" "პერუჯასთან" ორი მატჩი ისე ჩაატარა (ერთი სერია A-ში და ერთიც - იტალიის თასზე), რომ უკრაინელმა საგოლე გადაცემითაც კი ვერ გამოიჩინა თავი, ანჩელოტის მოთმინების ფიალა აევსო.

ჯერჯერობით, "მილანის" ხელმძღვანელობა რადიკალური განცხადებებისა და შევჩენკოს სახალხოდ გაკიცხვისგან თავს იკავებს, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ანჩელოტი მომდევნო მატჩში, რომის "ლაციოს" წინააღმდეგ, აღარ აპირებს, უკრაინელი ფორვარდი სასტარტო შემადგენლობაში დააყენოს. შევჩენკოს ნაცვლად, რომაელთა კარს, სავარაუდოდ, დანიელი იონ დალ ტომასონი შეუტევს.

# რეკორდი - ყველაფრის მიუხედავად

კვირას ბუნდესლიგაში მხოლოდ ორი მატჩიღა იყო ჩასატარებელი. მიუნხენის "ბაიერნი" საკუთარ ოლიმპიურ სტადიონზე იღებდა "ჰამბურგს", დორტმუნდის "ბორუსია" კი შუტგარდტში სტუმრობდა ადგილობრივ კლუბს. ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის - "ბაიერისთვის" ეს მატჩი ბევრს არაფერს წყვეტდა, მაგრამ მთელი საფეხბურთო სამყარო განსაკუთრებული ინტერესით სწორედ მას ადევნებდა თვალს უბრალო მიზეზის გამო: ყველას აინტერესებდა, შეძლებდა თუ არა მიუნხენელთა სუპერგოლკიპერი, ოლივერ კანი, საკუთარი რეკორდის გაუმჯობესებას.

აქამდე კანს მოედანზე 736 წუთი ჰქონდა უგოლოდ ჩატარებული და თუ 24 წუთსაც გაძლებდა, 1998-99 წლებში დამყარებულ საკუთარ რეკორდს გააუმჯობესებდა. თავიდან "ბაიერნისთვის" ყველაფერი კარგად მიდიოდა. მე-11 წუთზე პერუელმა კლაუდიო პისარომ ჰამბურგელებს გოლი გაუტანა. "ბაიერნის" გამარჯვებას თითქოს წინ აღარაფერი უნდა დასდგომოდა, მით უმეტეს, რომ მიუნხენელებს მეტოქის კარის აღების არაერთი შანსი ჰქონდათ, მაგრამ ოლივერ კანმა კიდევ ერთი მატჩის უგოლოდ ჩატარება უკვე ვეღარ შეძლო.

უკანასკნელ, 90-ე წუთზე, ბუნდესლიგაში ახლად გამოჩენილმა იაპონელმა ნაოჰირო ტაკაჰარამ ჰამბურგელები ლიდერთან დამარცხების "პატივისგან" იხსნა... კანს ამ დროისთვის უკვე 800 წუთი ჰქონდა უგოლოდ გატარებული, მაგრამ ბოლო წუთზე გაშვებული გოლის გამო, ალბათ, ოდნავ მაინც დასწყდებოდა გული - ბოლოს და ბოლოს, რეკორდი კარგია, მაგრამ არც სამი ქულაა ურიგო...

თავისუფალი ჭიდაობა

# იგემეთ საქართველოს ჩემპიონობა!

ბიბა ბურასაშვილი

*ვერის ბაღში მდებარე მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში სტარტი აიღო საქართველოს ჩემპიონატმა, ოღონდ არა საკალათბურთომ. აქ თავი მოიყარეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა. აქ მოჭიდავეთა ჩემპიონატის გამართვის იდეა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციასა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს ეკუთვნის.*

"2003 წელი გარდამტეხი ეტაპია მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის. წლეულს ლიცენზიებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. საქართველოს ჩემპიონატზე გაირკვევა მათი ვინაობა, ვინც საოლიმპიადო ლიცენზიებისთვის იბრძოლებს". დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის გოჩა ძასოხოვის მისასალმებელი სიტყვა, რასაც ჩემპიონატის ოფიციალურად გახსნის ცერემონიალი მოყვა. ცერემონიალი კი, როგორც წესი, ეროვნული დროშის აღმართვითა და ჰიმნით დაიწყო. დროშის აღმართვის პატივი ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორს, ევროპის ოთხგზის ჩემპიონსა და 2002 წლის



ჭიდაობას რა უნდა?..

მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფატორს ელდარ კურტანიძეს ხვდა წილად.

საქართველოს ჩემპიონატს, პირველობის ამბიციით, ქვეყნის 22 რაიონიდან 124 ფალავანი ეწვია. დარბაზში მრავლად იყვნენ ვეტერანი სპორტსმენები, ოლიმპიური თუ მსოფლიო ჩემპიონები. გუშინდელი დღე საკვალიფიკაციო ორთაბრძოლებს დაეთმო. ფინალები კი დღეს გაიმართება. თუმცა, ფინალს რომ დაამშვენებდა, ისეთი პაექრობები გუშინაც ვიხილეთ. ნახევარი საათის განმავლობაში საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ექიმს, ზურაბ კახაბრიშვილს, სამმა ფალავანმა მიაკითხა დახმარებისთვის. ერთ-ერთი ორთაბრძოლისას კი მოჭიდავეები იმდენად შევიდნენ აზარტში, რომ ტრავმის გამო ერთ-ერთ სპორტსმენს შეჯიბრების გაგრძელებაზე უარის თქმა მოუხდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა - მეტოქემ ვერ მოზომა, მოწინააღმდეგესთან ერთად მსაჯის მაგიდას შეასკდა და თავიც გაიტეხა. თუ როგორ ორთაბრძოლებს ვიხილავთ დღეს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. ყველაზე დიდი კონკურენცია 66 და 74 კგ წონით კატეგორიებშია. ორივე წონაში 24-24 ფალავანს მოუყრია თავი. ყველაზე ნაკლები გარჯა კი მძიმეწონოსნებს მოუწევთ. ამასთან, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის, დავით ოთიაშვილის არყოფნაში, მათ, შედარებით, იოლი გასეირნებაც ელით.

საქართველოს ჩემპიონატში არც ელდარ კურტანიძე გამოდის. ბუნებრივია, მისი არყოფნით ჩვენც დავინტერესდით. როგორც თვითონ გვითხრა, მიზეზი უბრალოა: "მინდა, ცოტა დავისვენო. ეგეც არ იყოს, 1992 წლიდან დღემდე საქართველოს ჩემპიონი ვარ. ახლა ახალგაზრდების ჯერია. მათაც იგემონ საქართველოს ჩემპიონობა. თან, გულშემატკივრის როლში ყოფნაც მაინტერესებს. ესაა და ეს".

მძლეოსნობა

# მონტგომერი ბირმინგემში არ ირბენს

ამერიკელ სპრინტერს, ტიმ მონტგომერს უთხრეს, რომ თუ ბირმინგემის ტურნირზე გაემგზავრებოდა და ასპარეზობისწინა პრესკონფერენციაში მიიღებდა მონაწილეობას, მას აუცილებლად ჰკითხავდნენ ჩარლზ ფრენსისის შესახებ. ამან სპრინტერი ფრიად აღაშფოთა და ჟურნალისტებთან შეხვედრაზე და ტურნირში მონაწილეობაზეც უარი განაცხადა.

ასე რომ, ამერიკელი მორბენალი 21 თებერვალს ბირმინგემის ტურნირში არ გამოვა. არადა, 100 მეტრზე სირბილში მსოფლიო რეკორდსმენს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ორგანიზებულ "გრან-პრიში" 60-მეტრიან დისტანციაზე უნდა ესასპარეზა. ეს იქნებოდა რეპეტიცია ზამთრის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელსაც მარტში ასევე ბირმინგემი უმასპინძლებს. "ახლა ამაზე არავინ ფიქრობს. მთავარია, ტიმის ფსიქიკას გავუფრთხილდეთ. მას ჩარლზ ფრენსისზე გაუთავებელი შეკითხვები აუცილებლად დააზიანებს", - აცხადებენ მონტგომერის ბანაკში.

შეგახსენებთ, რომ სკანდალური ჩარლზ ფრენსისი კანადელი სპრინტერის ბენ ჯონსონის ყოფილი მწვრთნელია. სკანდალში კი მას შემდეგ გაეხვა, რაც აღიარა, რომ ჯონსონს აკრძალული პრეპარატებით კვებავდა. ფრენსისს კანადის მძლეოსნობის ფედერაციამ სიცოცხლის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მისცა და, ბუნებრივია, მწვრთნელობის ლიცენზია ჩამოართვა.

რაც შეეხება ტიმ მონტგომერს, რომელიც ფრენსისის თაობაზე ასე გაურბის შეკითხვებს, თავის მეგობართან, მერიონ ჯონსთან ერთად, სწორედ ამ სკანდალური მწვრთნელის მომსახურებით ისარგებლა, რის გამოც ორივე სპრინტერს დიდი უსიამოვნება შეხვდა. მოგვიანებით მონტგომერმა და ჯონსმა განაცხადეს, რომ ფრენსისთან ურთიერთობა გაწყვიტეს.

მოკლედ

**სამთო სათხილამურო სპორტი.** არა და არ ელევა პრობლემები ჰერმან მაიერს. მას ხან ტრავმა აწუხებს და ხან - ამ ტრავმის მოსაშუშებლად გამოყენებული მედიკამენტები თუ მასალები. ამჯერად ავსტრიელი მარჯვენა ფეხში არსებულმა ტიტანის ფირფიტამ შეაწუხა. 2001 წელს, ავარიის შემდეგ, მაიერს მარჯვენა ფეხში ტიტანის 40-სანტიმეტრიანი ფირფიტა ჩაუდგეს. ახლა კი მისი ამოღების დრო დამდგარა. მაიერის მკურნალი ექიმი, არტურ ტროსტი, ამ კვირის ბოლოს იტყვის საბოლოო სიტყვას. თუ ექიმი გადაწყვეტს, რომ ფირფიტა სასწრაფოდ ამოსაღებია, მაშინ მაიერისთვის წლევანდელი სეზონინაადრევად დასრულდება, რადგან ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციისთვის, დაახლოებით, თვენახევარი დასჭირდება.

"ძალიან ვწუხვარ, რომ ასე დამემართა. იმედი მქონდა, წლეულს კიდევ გამოვიდოდი, ოპერაციას კი ზაფხულში ან გაზაფხულის მიწურულს გავიკეთებდი. მართალია, ეს ვარიანტი ისევ ძალაში რჩება, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა ასე მოხდეს. გულშემატკივრებს იმედის გაცრუებისთვის დიდ ბოდიშს ვუხდი. ვეცდები, მომავალ წელს ყველაფერი გამოვასწორო", - ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა "ჰერმინატორმა".

ამ ამბავმა ერთობ დაამწუხრა ავსტრიის ნაკრების ხელმძღვანელობა. მათი თქმით, მაიერის ყოლით ავსტრიელებს მეტი მედლის მოგება შეეძლოთ, ახლა კი ყველაფერი სტეფან ებერჰარტერზეა დამოკიდებული.

■ ■ ■

**კრივი.** უკრაინელი ვიტალი კლიჩკო ბრიტანელ ლენოქს ლუისს სასამართლოში უჩივის. კლიჩკო იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო, რადგან ლუისმა მასთან ჩხუბზე უარი განაცხადა. მოკრივეები აპრილში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. უკრაინელის ადვოკატი ლუისს ხელშეკრულების დარღვევაში ადანაშაულებს. თუ კლიჩკო სასამართლოს მოიგებს, ლუისმა ქამარი უნდა დათმოს, კლიჩკო კი ჩემპიონობისთვის ევანდერ ჰოლიფილდთან იბრძოლებს.

■ ■ ■

**ჭადრაკი.** "მატჩები კომპიუტერსა და ადამიანს შორის მსოფლიოში ჭადრაკის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. ამიტომ ასეთი მატჩები ხშირად უნდა გაიმართოს", - მიაჩნია გარი კასპაროვს, რომელიც ცოტა ხნის წინ ნიუ-იორკში კომპიუტერს დაუზავდა. მისი თქმით, მსოფლიოში უძლიერესი მოჭადრაკე ადამიანი და საუკეთესო საჭადრაკო პროგრამა ერთმანეთს ყოველ წელიწადს უნდა შეხვდნენ.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** 2004 წლის ათენის ოლიმპიადის ორგანიზატორები საქვეყნოდ უარყოფენ ინფორმაციას, თითქოს ისინი ვერ ასწრებენ ოლიმპიადისთვის მომზადებას. მათი თქმით, ყველაფერი გრაფიკით მიდის, რამდენიმე ობიექტის მშენებლობა კი ვადაზე ადრე დასრულდა. ორი წლის წინ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ბერძნები მკაცრად გააფრთხილა: თუ მშენებლობის ტემპს არ დააჩქარებდნენ, ათენს ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება ჩამოერთმეოდა. მას შემდეგ მშენებლობა საბერძნეთის დედაქალაქში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

■ ■ ■

**ჰოკეი.** ჰოკეის ნაციონალური ასოციაციის კლუბის "ოტავა სენატორზის" გაკოტრებულად გამოცხადება ორი თვით გადაიდო. კანადის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის მოთხოვნები და კლუბი გაკოტრებულად არ გამოაცხადა. ამასთან, კლუბს გადასახდელი ვალი (17,5 მილიონი დოლარი) გაუნახევრა. ეს თანხა კანადელებმა 17 აპრილამდე უნდა გადაიხადონ, თუ არადა, "სენატორზი" გაკოტრებულად გამოცხადდება და არსებობასაც შეწყვეტს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ემერსონ ფიტიპალდი CART-ში გუნდის მფლობელი გახდა. ფორმულა 1-ში მსოფლიო ჩემპიონი CART-შიც საუკეთესო გახდა 1989 წელს. ასე რომ, 56 წლის ფიტიპალდი, შესაძლოა, პირველი ადამიანი გახდეს, რომელსაც CART-ი მოგებული ექნება როგორც პილოტს და ასევე გუნდის მეპატრონეს.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** გუშინ იტალიაში, ფიორანოს ავტოდრომზე, გაიმართა "ფერარის" ახალი ბოლიდის დებიუტი. მსოფლიო ჩემპიონმა, მიხაელ შუმახერმა, ახალი ბოლიდით რამდენიმე წრე გააკეთა "ფერარის" პრეზიდენტის ლუკა მონტეძემოლოს მეთვალყურეობით. ამის შემდეგ ბოლიდი გადაეცათ მექანიკოსებს, რომლებიც საბოლოოდ მოამზადებენ მანქანას რბოლისთვის. ახალი "ფერარის" დებიუტი 20 აპრილს, სან-მარინოს გრან-პრიზე შედგება.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** "ფერარის" მსგავსად, გუშინ ახალი ბოლიდი გამოსცადა "უილიამსმაც". ვალენსიაში გამართული ტესტებით კმაყოფილნი დარჩნენ "უილიამსის" პილოტები რალფ შუმახერი და ხუან-პაბლო მონტოია. მათი თქმით, ახალი ბოლიდი საგრძნობლად გაუმჯობესებულია.

■ ■ ■

**სუმო.** მონგოლი დოლგორსურენგიინ დაგვადორჯი გახდა პირველი არაიაპონური წარმოშობის სუმოისტი, რომელმაც იოკუძუნას (დიდი ჩემპიონის) ტიტული მოიპოვა. მონგოლი გუშინ დაბრუნდა სამშობლოში, სადაც მას, როგორც ეროვნულ გმირს, ისე შეხვდნენ. ამ გამარჯვებისთვის ქვეყნის მთავრობა მას 500 000 ტუგრიკით დააჯილდოებს.

ფორმულა 1

# ზაუბერის ახალი ბოლიდი

ორშაბათს, ღამით, "ზაუბერმა" ახალი ბოლიდი წარმოადგინა. C22 მესამე მანქანაა, რომელიც უილი რემპფის ტექნიკური ხელმძღვანელობით შეიქმნა. "C20-დან C21-ზე გადასვლა თანმიმდევრული იყო და ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ, ადრე თუ გვიან, თვისებრივად ახალ დონეზე გავიდოდით. C22-ის შემთხვევაშიც სწორედ ასე მოხდა. მანქანა, თავიდან ბოლომდე, პრაქტიკულად, ხელახლა შეიქმნა", - განაცხადა რემპფმა.

C22 წინა ბოლიდებთან შედარებით, მართლაც, მთლიანად შეიცვალა. თუმცა, ტექნიკური არსენალი, ძირითადად, იგივე დარჩა. ტრადიციის თანახმად, ახალი ბოლიდი მხოლოდ სეზონის შუაგულში შევა ხმარებაში. პირველი ტესტები კი მაისშია დაგეგმილი. "წინამორბედისგან განსხვავებით, C22-ს სერიოზული პოტენციალი აქვს. ამასთან, ჩვენ გვეძლევა საშუალება, მანქანა ჭკუაზე მოვიყვანოთ", - აცხადებს რემპფი, - ჩვენი თვითმიზანი არ არის, უბრალოდ, უფრო მძლავრი მანქანა შევქმნათ. ცვლილებები, ძირითადად, აეროდინამიკას შეეხო".

მომავალში "ზაუბერს" ახალი გეგმები აქვს. გუნდს სურს, უფრო მსუბუქი მანქანა შექმნას. ამასთან, საჯინიბო ფიქრობს, ისეთი ცვლილებები განახორციელოს, რომ ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს, რომლის



"ზაუბერის" პრეზენტაციაზე

სიმაღლე 178 სანტიმეტრია, მანქანაში ჩაჯდომისას პრობლემები არ შეექმნას. ადრე ფრენცენი სულ წუწუნებდა, C21-ში თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობო.

"რბოლის დროს მანქანა მთლიანად უნდა გემორჩილებოდეს, მაგრამ ამისთვის კომფორტია საჭირო, რასაც C21-ი ნამდვილად ვერ მიქმნიდა. ტექნიკურმა ჯგუფმა ეს ყველაფერი გაითვალისწინა და მპირდებიან, რომ ახალ ბოლიდში მდგომარეობა საჩემოდ შეიცვალა. ვნახოთ, ბოლიდის პირველი ტესტები ყველა კითხვაზე უპასუხებს. თუ ახალ მანქანას ჩემ ჭკუაზე მოვიყვან, ბუნებრივია, შედეგებიც უკეთესი მექნება", - განაცხადა ფრენცენმა.

სამთო-სათხილამურო სპორტი

# ტკივილგამაყუჩებელმა "ოქროც" იცის

*ხორვატთა სათაყვანებელ შვილს, იანიცა კოსტელიჩს, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის გარდა, ყველაფერი მოგებული აქვს, სენტ მორიცში ეს დანაკლისიც აინაზღაურა. ის პირველი ხორვატი მოთხილამურეა, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია. თავის მხრივ, არც მასპინძლები - შვეიცარიელები არიან უკმაყოფილონი. საუკეთესო სამეულში მათი თანამემამულეც მოხვდა. პრიზიორის გარეშე არც ავსტრიელები დარჩენილან.*

ბიბა ბურასაშვილი

იანიცა კოსტელიჩმა, რომელიც სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიურ თამაშებამდეც აღწევდა წარმატებებს და მას შემდეგაც რიგიანად დაქრის დათოვლილ ფერდობებზე, კომბინაცია მოიგო. ხორვატ მოთხილამურეს არც აქამდე აკლდა სახელი და დიდება, მაგრამ მას შემდეგ, რაც შარშან სამი ოლიმპიური "ოქრო" და "ვერცხლი" მოიპოვა, მისადმი ინტერესი ერთიორად გაიზარდა. ბუნებრივია, მისგან სენტ მორიცშიც ელოდნენ წარმატებას. კოსტელიჩმა თავის გულშემატკივრებს 2 წუთსა და 41,63 წამში გაუმართლა იმედი. თუმცა, მსოფლიო ჩემპიონობას მთლად უკვალოდ არ ჩაუვლია. შუა შეჯიბრებაში კოსტელიჩმა მუხლში ტკივილი იგრძნო - ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ალბათ, დანარჩენ დისციპლინებში ასპარეზობისგან ხელსაც აიღებს. ყოველ შემთხვევაში, ეტყობა, რომ ყოყმანობს. ჩემპიონობა კი ჩვეული გულგრილობით აღნიშნა.

"სასიამოვნოა, იყო პირველი, მაგრამ ეს იყო ჩვეულებრივი პაექრობა და ასეთივე წარმატება. ახლანდელი გამარჯვება არაფრით განსხვავდება დანარჩენებისგან. თუმცა, მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან ყველა "მსაყვედურობდა", რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული არ მქონდა. მიხარია, რომ დღეის იქით ამას აღარავინ შემახსენებს", - დამშვიდებულია კოსტელიჩი.

კოსტელიჩმა ზემოხსენებული ტრავმა სამი წლის წინათ სწორედ სენტ



იანიცა კოსტელიჩი

მორიცში მიიღო. ერთხანს ფიქრობდნენ კიდეც, რომ ხორვატი მოთხილამურე კარიერას დაასრულებდა, მაგრამ, მომჯობინებულმა, ისევ ძველებურად გააგრძელა სრიალი. თუმცა, პირველ დისციპლინაში (სწრაფდაშვებაში) დაწყებულმა ტკივილმა კოსტელიჩი იძულებული გახადა, მეორე დისციპლინაში (სლალომში) ტკივილგამაყუჩებლისთვის მიემართა.

"ტრავმა სერიოზული არ უნდა იყოს, მტკივნეული კი იყო. ვცდილობდი, ამაზე არ მეფიქრა. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ბოლომდე ვერც ვივლიდი. ტკივილგამაყუჩებლის შემდეგ სისულელე იქნებოდა, შეჯიბრებაზე ხელი ამეღო...

ახლა ცოტას დავისვენებ და მერე ვნახოთ. თუ ყველაფერი რიგზე იქნება, მერე გადავწყვეტ, გამოვიდე თუ არა გიგანტურ სლალომში", - აცხადებს 21 წლის ჩემპიონი.

თუ ხორვატის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდება, მას მოუწევს, უარი თქვას 2001 წლის წარმატების გამეორებაზე. ორი წლის წინათ კოსტელიჩი მსოფლიო თასის ბროლის გლობუსს დაეუფლა. 2002-2003 წლების გათამაშებაშიც ლიდერის პოზიციაზეა. სხვათა შორის, წლეულს მოგებული ხუთი ეტაპიდან ერთი კომბინაციაზე მოდის. ტრიუმფებს ნაჩვევი მოთხილამურისთვის კი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სენტ მორიცის მედალი პირველია მსოფლიო ჩემპიონატებზე. იანიცას იმედი აქვს, რომ მას საკუთარი ძმა – ივიცაც მიბაძავს. მან სლალომში უნდა ჩააბაროს გამოცდა.

რაც შეეხება ჩემპიონატის სხვა მონაწილეებს, ყველასთვის გასაოცრად, ტიტულის არათუ შენარჩუნება, არამედ სამეულში მოხვდრაც ვერ შეძლო ახლანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა და ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა, გერმანელმა მარტინა ერტლიმ. მან მე-6 ადგილი დაიკავა. პრიზიორთა შორისაა ავსტრიელი ნიკოლ ჰოსპი. მან მეორე შედეგით დაასრულა ასპარეზობა. დაფასდა მასპინძელთა ქომაგობაც. კომბინაცია, რომელიც შვეიცარიელთათვის მეორე ყველაზე წარმატებული დისციპლინაა მსოფლიო ჩემპიონატებზე, საკუთარ სიძლიერეს მხოლოდ იმით გაუსვეს ხაზი, რომ მარლი ოსტერმა "ბრინჯაო" მოიპოვა.

## 12 თებერვალი



ხუან კარლოს ფერერო

1924 - დაიბადა ბენ ვოდერი. ბოდიბილდინგის ფუძემდებელი.

1934 - დაიბადა ბილ რასელი. ამერიკელი კალათბურთელი. ოლიმპიური ჩემპიონი. "ბოსტონ სელტიკსის" შემადგენლობაში კალათბურთის ნაციონალური ასოციაციის 11 გზის ჩემპიონი. ხუთჯერ გახდა NBA-ის საუკეთესო კალათბურთელი, 1980 წელს კი კალათბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

1980 - დაიბადა ხუან კარლოს ფერერო. ესპანელი ჩოგბურთელი.

1980 - ლეიკ პლესიდში (აშშ) დაიწყო ზამთრის მე-13 ოლიმპიადა.



მეუღლე ცირა, შვილები კახა, სერგი, ძმა ლევანი, შვილიშვილები გიორგი, თეკლა, თორნიკე, ძმისშვილები ნინო, ლაშა, დავით გაბუნიები, რძლები ქეთევან გოჩიტაშვილი, თამარ მანჯგალაძე, მირანდა ღურწკაია, თამილა ვეკუა, ბიცოლა ქეთევან გურგენიძე, ბიძაშვილები თემურ, ნანა, მარინე გაბუნიები, ლულუ დევიძე, დეიდაშვილი ზეინაბ ცაგარეიშვილი, ცოლისძმა ანზორი, ცოლისდები ლენა, ირა მენთეშაშვილები, მძახლები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**არჩილ სერგოს ძე გაბუნია**

პანაშვიდები 13, 14 თებერვალს, 17 საათზე
დაკრძალვა 15 თებერვალს, 14.00.
**მის:** ვაჟა-ფშაველას VI კვ., Iა კორპუსი, II სადარბაზო.

---

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების კვითარი

ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვაკანსიები, მომსახურება, სამუშაო, მკურნალობა

12.02.03 N-41

---

## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**თეატრალური სარდაფი**
"ინსტინქტი", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ჭინსების თაობა (დაგვიანებული რექვიემი)", რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

**მარჯანიშვილის თეატრი**
კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი
"ამფიტრიონი 38", რეჟ. მიხეილ თუმანიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3-5 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეა**
ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა "ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ"

**ეროვნული გალერეა**
ნანა მჭედლიშვილის ნამუშევრების პერსონლური გამოფენა
გიორგი უსტიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**შარდენი**
ტიხრული მინანქარი, ხათუნა ჩხეიძის ნამუშევრების გამოფენა

**ქარვასლა**
კახა შენგელიას ფოტონამუშევრების პერსონალური გამოფენა
"თექის ტანსაცმელი და აქსესუარები"

**TMS**
ბრიტანეთის საელჩოს ფოტონამუშევრების გამოფენა

**ორიენტი**
"კოლექციიდან კოლექციამდე 3", წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ზეჭდების მბრძანებელი", რეჟ. პიტერ ჯექსონი
დას: 11:00; 15:00 სთ; ფასი 5-8 ლარი
"პლუტონეში"
დას: 19:00; 21:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი„**
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ტრანსპორტერი"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

**„ელისო„**
"ტრანსპორტერი"
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 17:00; 21:30სთ; ფასი 5 ლარი

---

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომერით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება კეთილმოწყობილი, 100 კვ.მ. საკუთარი სახლი 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთით ბაგებში. ფასი 30 000. 23 59 18

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

### მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

### კომერც. ფართი

**სასწრაფოდ!** ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაკდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.
ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

იყიდება მაღაზიისთვის 160 კვ.მ. ფართი სარდაფით, ვარკეთილის III მ/რ-ში. საწყისი ფასი 4 500. 8(99) 58 32 35

იყიდება მოქმედი სუპერმარკეტი ევრორემონტით ქალაქის ცენტრში. 8(99) 90 57 75

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

## სწავლება

შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ჩემთან, ბინაზე მოსვლით. ფასი შეღავათიანია. 8(77) 41 87 33 თათია

მოვამზადებ მათემატიკაში და გერმანულში. 61 18 34 ზურაბი

შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას და ბეჭდვას ინდივიდუალურად. ფასი 15 ლარი. 98 80 23 იკითხეთ ნიკო. გაბაშვილის 7 (მ. „რუსთაველის" კ/თ „ქოლგის" უკან)

აიკიდოს. შესწავლის მსურველები დაგვიკავშირდით ტელ: 899 963354, 899 980189

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. WINDOWS; WORD; EXCEL; INTERNET; E-MAIL. ტელ: 98-80-23. მის: გაბაშვილის 7 (მ "რუსთაველი").

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## ეპილაცია

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

## სხვადასხვა

იყიდება ნატურალური ღვინო "ოჯალეში, რომელიც განთქმულია სამკურნალო თვისებებით. ფასი 5 ლარი.
ტელ: 52-30-30, 899 181945

იყიდება CD ფლეიერი. 98 65 02

შევიძენ 1-ტონიან პლასტმასის ავზს. 899 973993, 899 298705.

ვთარგმნი გერმანულიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

**გეპატიჟებათ
კაფე-რესტორანი
„იმედი"**

გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევოთ ადგილები და მენიუ.

**სანდრო ეულის ქ. 1.**
**8(93) 21 76 12**

**სადილი ყველას!**

ა/წ 15 თებერვალს, შაბათს, 12-დან 17 საათამდე, "კათარზისში" კვლავ ღია კარის დღეა. ამ დღეს ყველა მსურველს შეუძლია ეწვიოს სათნოების სახლს, სადაც გემრიელ კერძებს შესთავაზებენ.

**დარეკეთ 11-დან 17 საათამდე. 95-16-46**

## TV პროგრამა 12 თებერვალი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.15 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა"
19.05 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
20.05 სერიალი „მაცდური სიყვარული"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „დარღვეული დუმილი" მთ. როლებში მაიკლ დუგლასი, ელიზაბეტ ეშლი
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 დოკ.სერიალი „აფრიკის ბუნების დიდებულება"
10.10 მხ. ფილმი „შეხვედრების ადგილი უცვლელია" მე-4 ს.
11.30 შემეცნ. ფილმი "მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო"
12.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 „ნაშუადღევს"
14.05 ქართული ენის გაკვეთილი
14.30 „პალიტრა"
14.55 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საქართველო-მოლდოვა. შესვენებისას „მოამბე"
16.55 დოკ. ფილმი „მსოფლიო ბაზრები"
17.20 50-50
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ავიაშოუ"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ისტორიანი"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
20.55 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 ირმა ნიორაძე
22.35 „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო" (ტოკიო-კიოტო)
23.00 „დღის ბოლოს"
00.00 მხ. ფილმი „კანონის მეორე მხარეს"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით რუსული მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „რაინდის ისტორია" მთ. როლში ჰით ლეჯერი, შანინ სოსამონი
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ქართულ-უცხოური მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 პა-სეანსი
23.00 ჩაძიროგანა

00.00 ფილმი ბრავო „ჯონ მალკოვიჩად ყოფნა" მთ. როლ-ში ჯონ კიუსაკი, კამერონ დიასი
01.45 ფილმი ღამურა „ნიჟი" მთ. როლ-ში კეიტ ბლანშეტი, ჯოვანი რიბიზი
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 და არს მუსიკა
21.00 დოკ. ფილმი
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ანგელოზის გადაფრენა"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
09.30 მხ. ფილმი „უიღბლოთა კლუბი"
10.20 მხ.ფ. „მშვიდობით პოლიციელო"
12.20 ლიტერატურული - სილუეტი (განმეორებით)
13.10 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „რაბინ იაკობის თავგადასავალი"
22.00 დიალოგი
23.30 მხ.ფ. „ლენი"
00.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ კერკეტი კაკალი -2"
14.00 მხ. ფილმი „ტერმინატორი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „ოცნების ზღვარი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „კერკეტი კაკალი -3"
23.00 დოკ. ფილმი

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.40 მულტფილმი „ტომი და ჯერი"
10.00, 11.50, 14.20, 17.20, 19.50, 21.50, 23.40 მუსიკა
10.10 მხ. სერიალი „ჯონ როსი"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
12.50 მხ. ფილმი „ბაზა-1"
14.45 მულტფილმი „ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები"
15.10 დოკ. სერიალი „მწერები იმპერია" 1-ლი ნაწ.
15.40 მხ. ფილმი „ბინძური ჭორები"
17.45 მხ. სერიალი „ჯონ როსი"
18.40 მულტფილმი „ვიზიონერები - მაგიური სინათლის რაინდები" მე-9 ს.
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 დოკ. ფილმი „პალიტრა" ფრანგი მხატვრები- პიკასო 1-ლი ნაწ.
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი."
22.00 მხ. ფილმი „ბაზა-2"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი" მე-8 ს.
00.45 მხ. ფილმი „დაბრუნება"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.30 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.20 კომედია „სიცილის მეფეები"
11.05 დოკუმენტური ფილმი
12.10 ზღაპარი „დაბრუნება ოზ-ის ქვეყანაში"
14.10 მელოდრამა „ქორწილი"
16.10, 19.40, 23.00, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.15 მულტფილმი „ბუფი და მისი მეგობრები"
17.25 დრამა „ყველაფერი დედაჩემის შესახებ"
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.30 „პრესდაიჯესტი"
19.50 მხატვრული ფილმი „პაერის ქალიშვილი"
22.00, 00.00 „დღეს"
22.50 „პრესდაიჯესტი"
23.05, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.10, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.20 „ალტერნატივა"
01.10 დეტექტივი „გამოსავალი არ არის"
03.30 მხატვრული ფილმი „მოცეკვავის დრო"

### VII არხი

09.15 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.50 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.30 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა -განმეორებით
11.05 კომპიუტერული ტექნიკა
11.45 „ბიორითმი" - შერი.
12.05 მობილურები
12.45 დისნეი და მისი მეგობრები
13.05 კომპიუტერული თამაშები
13.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.40 მობილურები
20.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა
21.00 კომპიუტერული თამაშები
21.05 „ლა-ლა-ლა"
22.00 კომპიუტერული ტექნიკა
22.40 „კინოკლუბი „ - „ზეცის ტყვეები".
00.50 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
01.15 „ბიორითმი" - შერი.

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.10 Комедия „Следующий", 1 с.
12.05 „Кумиры". Тамара Глоба
12.35 Дисней-клуб: „Ллойд в космосе"
13.15 Детектив „Звезда и смерть"
15.00 „Новый день". „Русский экстрим"
15.30 „Новый день". Новые чудеса света. „Александрийская библиотека"
16.15 Док.сериал „Дикие штучки"
16.40 Худ.фильм „Отряд специального назначения", 3 с.
18.00 „Большая стирка"
19.25 „Смехопанорама"
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
21.00 „Русская рулетка"
22.00, 00.30 Время
22.40 Комедия „Следующий", 2 с.
23.45 „Потаенные годы Иисуса", 2 с.
00.50 „Новый день". „Практическая магия"
01.20 „Новый день". „Искатели". Кудеяр - царь разбойников
01.50 „Апология"
02.55 Боевик „Неудержимый". „Суета в городе ветров"

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Сериал „Леди Босс"
10.35 Сериал „Семнадцать мгновений весны"
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Ключ к разгадке"
13.20 Сериал „Команда спасения 77"
14.15 Экспертиза
14.30 Москва-Минск
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех"
17.15 Сериал „Простые истины"
17.45 Экспертиза
18.20, 03.00 Дорожный патруль
18.35 Вести-спорт
18.45, 20.50 Вести. Дежурная часть
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди Босс"
22.50 Сериал „Семнадцать мгновений весны"
00.20 „Вести +"
00.50 Вести-спорт
00.55 Худ.фильм „Механическая сюита"

### НТВ

07.00 Утро на НТВ
10.00 Сериал „Скорая помощь 6"
11.00 Сегодня утром
11.20 Погода на завтра
11.25 „Очная ставка". „Клад-убийца"
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Шоу Е. Степаненко"
12.55 Вкусные истории
13.05 Мелодрама „Я вам больше не верю"
14.50 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Как стать богатым?" Ток-шоу „Принцип „Домино"
18.10 Боевик „Кодекс чести"
19.15 Чистосердечное признание
20.40 Сериал „Тайны следствия"
21.50 Боевик „Кодекс чести", 10 с.
23.00 „Страна и мир". Главные события дня
23.35 Сериал „Секс в большом городе"
00.15 Детектив „Тайны следствия"
01.20 Гордон
02.20 Сериал „Солдаты удачи"
03.10 Ночь


Image CENTRE

პროფესიული განვითარების სტუდია და მოდელების სააგენტო
"იმიჯ-ცენტრი"



ბერლინალე 2003

# მშვიდობით, ლენინ!

## აღმოსავლეთის ნოსტალგია


lenin-1: კატრინ სასი, დანიელ ბრუელი, ჩულპან ხამატოვა, რეჟისორი ვოლფგანგ ბეკერი (მარჯვნიდან მარცხნივ)

კანისა და ვენეციის კინოფესტივალებზე ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავია: მასპინძელი ქვეყნების, "ოქროს პალმისა" თუ "ოქროს ლომის" მოსაპოვებლად საფრანგეთისა თუ იტალიის კინოხელოვანები აუცილებლად არიან ხოლმე კონკურსში ჩაბმულნი. "ბერლინალეზე" კი მრავალი წლის განმავლობაში სულ სხვა სურათის მოწმენი ვიყავით: ხშირად კონკურსში ერთადერთი (ან საერთოდ არცერთი) გერმანული ფილმი არ ჩნდებოდა. მაგრამ შარშან, იმის შემდეგ, რაც ფესტივალის წამყვანის თანამდებობა დიტერ კოსლიკმა დაიკავა, ვითარება შეიცვალა – 2002 წელს შეჯიბრში ოთხი გერმანული ფილმი მონაწილეობდა, წელს კი საკონკურსოდ სამი ფილმია წარდგენილი.

წელს, 53-ე "ბერლინალეზე", "ოქროს დათვისთვის" ბრძოლაში გერმანული კინო ვოლფგანგ ბეკერის "გერმანიის დემოკრატიული რეს-პუბლიკის დროინდელი" კომედიით, Good Bye, Lenin!-ით ჩაება. თავად რეჟისორმა, ბეკერმა, ფილმი ასე დაახასიათა: "ფილმი იმის შესახებაა, თუ როგორ დაუბერა ისტორიის დიდმა ქარმა პატარა ოჯახში". ეს სასაცილო და მელანქოლიური ფილმი ბერლინის კედლის დაცემის და ახალგაზრდა ალექსის (დანიელ ბრიული) და დედამისის (კატრინ ზასი) ისტორიას მოგვითხრობს.

სულ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საბოლოოდ შეწყვეტდა არსებობას, ამ წყობის თავდადებულ მომხრეს, ქრისტიანა კერნერს, ინფარქტი დაემართა და კომაში ჩავარდა. "გამარჯვებული კაპიტალიზმის წინსვლამ" მის გარეშე ჩაიარა – ქალს ეძინა. როცა რამდენიმე თვის შემდეგ გამოიღვიძა, აღმოჩნდა, რომ მთელი სამყარო შეიცვალა: აღმოსავლეთ ბერლინში დასავლური მანქანები დაჰქრიან, ულიმღამო შენობებზე კოკა-კოლას სარეკლამო პლაკატებია მიმაგრებული...

მთელი პრობლემა ისაა, რომ ავადმყოფი ქალისთვის ნერვიულობა აკრძალულია – შეიძლება ისევ ინფარქტი დაემართოს. ამიტომ მისი შვილი, ალექსი, იძულებულია, ლოგინად ჩავარდნილი დედის საძინებელ ოთახში პატარა გდრ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) მოაწყოს, ზუსტად ისეთი, როგორიც ადრე არსებობდა: დასავლურ პროდუქტებს ძველებურად ფუთავს, მეგობართან ერთად ვიდეოკამერით საინფორმაციო გადაცემებს იღებს, რომლებშიც დასავლეთიდან აღმოსავლეთში გამოქცეული გერმანელების ამბებს ჰყვებიან. მაგრამ ერთ დღეს დედა აცხადებს, რომ გამომჯობინდა, და გარეთ გასვლა უნდა...

ფილმის რეჟისორისთვის, ბეკერისთვის, ეს პირველი ბერლინალე როდია. ის კონკურსში 1997 წელსაც მონაწილეობდა, საკმაოდ გახმაურებული ფილმით "ცხოვრება სამშენებლო მოედანია". თავის ახალ ფილმს ის სერიოზულ საფუძველზე შექმნილ კომედიას უწოდებს: "ცოტა აღმოსავლური ნოსტალგიაც ხომ დასაშვებია". მისი თქმით, გერმანიის გაერთიანება ამ ფილმის ფონია, და არა თემა.

ალექსის როლის შემსრულებელი, დანიელ ბრიული, 2003 წლის ამომავალ ვარსკვლავად აღიარეს. ეს ამბავი მას და პრემიერაზე შეკრებილ საზოგადოებას ჰოლივუდის ვარსკვლავმა, დენის ჰოპერმა ამცნო. მსახიობი მოჰყვა, "როცა სცენარი წავიკითხე, ჯერ სიცილით მოვკვდი და მერე ცრემლი მომადგაო".

გერმანელმა მაყურებელმა ფილმი საუკეთესოდ მიიღო. ფედერალურმა პრეზიდენტმა, ვოლფგანგ თირსემ, მას "გდრ-ის ხალისიანი აღსასრული" უწოდა, ბერლინის მერმა, კლაუს ვოვერაიტმა კი განაცხადა: "ეს სრულიად გერმანიის ფილმია".

როგორც ჩანს, უცხოელმა სტუმრებმაც გულთან ახლოს მიიტანეს უახლესი ისტორიის მხიარული და ნაღვლიანი ამბავი.: Good Bye, Lenin! იტალიაში, საფრანგეთში, დიდმა ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე გაიყიდა.

Good Bye, Lenin!-ის შემდეგ ბერლინალეზე, საკონკურსო პროგრამაში, კიდევ ორი გერმანული ფილმი იქნება ნაჩვენები: გერმანია-პოლონეთის საზღვარზე გადაღებული "შუქები" (რეჟისორი – ჰანს-ქრისტიან შმიდი) და "ხელშეუხებელთა" რეჟისორის, ოსკარ როელერის ფილმი "ბებერი მაიმუნის შიში".

# მშვიდობის შანსი

## დასტინ ჰოფმანი ომის წინააღმდეგ



ორშაბათ საღამოს, ბერლინალეს სადღესასწაულო შეხვედრაზე, "ჟანდარმენმარკტის" საკონცერტო სახლის ფასადის ლურჯ ფონზე თეთრი მტრედები დაფრინავდნენ. შავ საღამოს კაბებში გამოწყობილ სახელოვან ქალბატონებსაც თმას მშვიდობის მტრედი უმშვენებდათ.

ჩანაფიქრის თანახმად, ამ საღამოს UNICEF-ის და ომის ზონებში მყოფი ბავშვების დახმარების შესახებ უნდა ყოფილიყო საუბარი. საღამოს მასპინძელი ყოფილი ჯეიმს ბონდი, როჯერ მური გახლდათ, რომელიც, უკვე ორი დღეა, საპატიო ფედერალური ორდენის – ჯვრის მფლობელია.

უზარმაზარი ჭაღებით გაბრჭყვიალებული დარბაზი ვარდებით იყო მორთული. ვახშამი სადა იყო, მაგრამ შესანიშნავი – გერმანულმა პრესამ აღნიშნა, ჟურნალისტებსაც კი არნახული გულუხვობით გაუმასპინძლდნენო. თეთრი სუფრებითა და ვერცხლის შანდლებით დამშვენებულ მაგიდებთან კინოს ლეგენდარული ვარსკვლავები – როჯერ მური, ქრისტოფერ ლი და ფეი დანავეი ისხდნენ. მაგრამ უცებ მათი არსებობა ყველას მიავიწყდა.

დასტინ ჰოფმანი პატარა კაცია, ძალიან თუ გაიჯგიმა, სიმაღლეში 1,65 მეტრს აღწევს. ამიტომ მსახიობს მიკროფონის დაბლა დაწევა მოუწია – ეს გამოსვლა წინასწარ დაგეგმილი არ ყოფილა. დარბაზში სამარისებრი სიჩუმე გამეფდა.

"მე ანტი-ამრიკული განწყობა არა მაქვს, მაგრამ მმართველი მთავრობის შეხედულებების წინააღმდეგ გამოვდივარ," მოახსენა ჰოფმანმა დარბაზს.

ჰოფმანი ამბობდა, რომ 60-იანი წლები აგონდება და ძალიან მკაფიოდ ახსოვს ვიეტნამის ომის ამბები. "ის ომიც ტყუილით დაიწყო," თქვა მსახიობმა და ხმა ჩაუწყდა. "ის დრო შეიძლება გამეორდეს." თავისი სპონტანური გამოსვლა ჰოფმანმა ამერიკელი პოეტის, კარლ სენდბერგის ციტატით დაასრულა, ნაზი ყვავილის ამბით, რომელიც ამოსვლას ლამობს და გზად ქვის დაძლევასაც კი ახერხებს.

დასტინ ჰოფმანის მოწოდება – "მიეცით მშვიდობას შანსი" – ყველას გულზე მოხვდა. ერაყის ომის წინააღმდეგ წარმოთქმულ სიტყვას 500 კაციანი აუდიტორია ოვაციებით შეხვდა. შემდგომ მრავალმა სახელოვანმა სტუმარმა ერთი და იგივე კომენტარი გააკეთა: "მან სწორედ ის თქვა, რასაც ყველანი ვფიქრობთ".

# ჯორჯ კლუნის სარეჟისორო დებიუტი



ბერლინის 53-ე საერთაშორისო კინოფესტივალი სულ რამდენიმე დღის წინათ დაიწყო, მაგრამ თუკი იკითხავთ, ვინაა ბერლინალეს ვარსკვლავიო, ყველა ერთხმად ჯორჯ კლუნის დაასახელებს. ორშაბათს მან "ოქროს დათვის" მოსაპოვებლად ბერლინალეს ჟიურისა და მაყურებელს თავისი სარეჟისორო დებიუტი, Confessins of a Dangerous Mind წარუდგინა.

ამერიკული კინოს მოყვარულთათვის ეს ფილმი მრავალი ნიშნითაა საინტერესო: რეჟისორი კლუნი ტელეპროდიუსერის ორმაგი ცხოვრების არეულ ამბავს მოჰყვა, მსახიობი კლუნი CIA-ს (ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო) აგენტის როლს თამაშობს. ჰოლივუდის ვარსკვლავის, თვალწარმტაცი ჯულია რობერტსის თაყვანისმცემლები კი სურათში მის ხილვას შეძლებენ.

ფილმის გმირია ჩაკ ბერისია (მის როლს სემ როკველი თამაშობს), რომელმაც აშშ-ში პოპულარული ტელეშოუს წყალობით გაითქვა სახელი. მაგრამ იმის ფონზე, რაც ბერისის მოგონებები გამოქვეყნების შემდეგ გამოაშკარავდა, მისი ცხოვრების ეს მხარე არაა იმდენად მნიშვნელოვანი: თურმე CIA-ს საიდუმლო აგენტი იყო და ცივი ომის დროს მთელს მსოფლიოში 33 ადამიანი ჰყავდა მოკლული! რა არის ეს – საშინელი ცილისწამება თუ სიმართლე? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვან პასუხს ფილმი არ იძლევა.

ჯორჯ კლუნიმ და ჰოლივუდის ამჟამად ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა სცენარის ავტორმა, ჩარლი კაუფმანმა, ფილმში მრავალი ნახევრადდოკუმენტური ჩანართი გააკეთეს, ნაჩვენებია ინტერვიუები მათთან, ვინც ბერისს ცხოვრების სხვადასხვა მონაკვეთებში ახლდა. მაგრამ ეს ყველაფერი ამ უცნაურ ისტორიას არამცთუ ნათელს ჰფენს, არამედ კიდევ უფრო ბურუსით მოცულს ხდის...

მოამზადა
ნატო თორთლაძე

## იაპონელები ზეიმობენ

გუშინ იაპონელები პირველი იმპერატორთა დინასტიის და ფაქტობრივად, სახლმწიფოს დაარსების დღეს ზეიმობდნენ: თავიანთი მონარქის წინაპრებს პატივი მიაგეს, სახლებზე ეროვნული დროშები გამოფინეს და იმპერატორს ჰიმნი უმღერეს.

ამ დღესასწაულის თარიღი ისტორიკოსებმა მითების საფუძველზე დაადგინეს. პირველი ლეგენდარული იმპერატორი, ძიმუ, ქალღმერთ ამატერასუს შთამომავალი, ტახტზე 660 წელს ავიდა. მას შემდეგ ქვეყნის მმართველ იაპონელ მონარქებს ერთიანი საგვარეულო ფესვები აქვთ.

ახალი დინასტიის წლისთავის აღნიშვნა იაპონელებმა მხოლოდ 1872 წელს დაიწყეს. თუმცა მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ ოკუპაციურმა ხელისუფლებამ დღესასწაული აკრძალა, 1966 წელს "სახელმწიფოს დაარსების დღის" ტრადიცია კვლავ აღორძინდა.

## ვის ერგება „ოქროს ჟოლო"?

მადონა, ბრიტნი სპირსი და ედი მერფი არაჩვეულებრივ ნომინაციაზე არიან წარდგენილი: 2002 წლის ყველაზე ცუდი ფილმისთვის რომელიმე მათგანი "ოქროს ჟოლოს" მიიღებს. ყველაზე ცუდი მსახიობის წოდებისთვის მადონასა და ბრიტნი სპირსთან ერთად ჯენიფერ ლოპესი და ანჟელინა ჟოლი იბრძვიან, მაგრამ მათ გამარჯვების შანსი, აშკარად, ნაკლები აქვთ. ჟიურის წინასწარი მონაცემების თანახმად, მადონას ალბათ ვერავინ აჯობებს, თან ეს ჯილდო ისედაც უკვე ოთხჯერ აქვს მიღებული.

ისე, წესით, ედი მერფისაც კარგად აქვს საქმე. მას "ოქროს ჟოლოზე" წარდგენის პატივი "პლუტო ნეშში" შესრულებული როლისთვის ხვდა წილად: სურათი 85 მილიონი ამერიკული დოლარი დაჯდა და 5 მილიონი მოიტანა. ჯილდოების გადაცემა 22 მარტს შედგება.

## პარიზი – ჩემი სიყვარული

ჰოლივუდის "საოცნებო წყვილს", 28 წლის პენელოპა კრუსსა და 40-ს მიტანებულ ტომ კრუზს, მალე ახალ ფილმში ვიხილავთ. მექსიკელი რეჟისორი, ალეხანდრო გონსალეს ინარიტუ ამერიკელ და ესპანელ მსახიობებთან ერთად პარიზის ძველ უბნებში მოკლემეტრაჟიან სურათს Paris je t'aime იღებს. მის გარდა, ამავე სახელწოდების ფილმების გადასაღებად საფრანგეთის დედაქალაქში მთელი მსოფლიოდან კიდევ 20 რეჟისორი გაემგზავრება.

**დღეს**

**ოთხშაბათს, 12 თებერვალს**

1861 წელი: "შეფილდისა" და "ჰალამის" გუნდებს შორის ისტორიაში პირველად ჩატარდა კლუბთაშორისი საფეხბურთო მატჩი.



1851 წელი: ავსტრალიაში, ახალ სამხრეთ უელსში ოქროს საბადოს აღმოჩენის შემდეგ ოქროს დიდი "ციებ-ცხელება" დაიწყო.

1912 წელი: მანჩუს დინასტიის დამხობის შემდეგ ჩინეთი რესპუბლიკა გახდა.

1948 წელი: ინდოეთის სულიერი ლიდერის მაჰათმა განდის ფერფლი მდინარე განგზე მოაფრქვიეს.

1999 წელი: ბილ კლინტონის სასარგებლოდ დასრულდა საიმპიჩმენტო საქმე. სენატორებმა პრეზიდენტი გაამართლეს.

2002 წელი: ჰააგის ტრიბუნალში დაიწყო იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის, სლობოდან მილოშევიჩის სასამართლო პროცესი.

© GRAPHIC NEWS



# მადონა ომის და არა ბუშის წინააღმდეგ


*გაი რიჩი და მადონა*

მადონა წარსულს იხსენებს და შოუბიზნესს კვლავაც თავსატეხს უჩენს. ამჯერად ის არც ჯვარს წვავს, არც მწვავე ეროტიკულ სცენებში მონაწილეობს, მაგრამ სამაგიეროდ პოდიუმზე ადის და მაყურებელს ბომბს ესვრის... ეს პროვოკაციული იმიჯი მას ხელოვანთა საპროტესტო ტალღასთან შესაერთებლად სჭირდება.

დევიზს "უარი ომს" ის აჟღერებს ახალ მუსიკალურ კლიპში, რომელიც სიმღერისთვის American Dream შეიქმნა. მომღერლის პრეს-აგენტი, ლიზ როზენბერგი აცხადებს: "ეს ვიდეო, როგორც მადონას წინა ნამუშევრები ფიქრისკენ გიბიძგებს. ის გახლავთ ანტი-საომარი დევიზი, რომელიც ძალადობისა და ომის ყველანაირ სიმახინჯეს უარყოფს. თუმცა, კლიპი არავითარ შემთხვევაში არ უნდა განვიხილოთ, როგორც ბუშის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლა. მასში ვერ ნახავთ ვერც ერაყელ ბავშვებს და ვერც სისხლიან სცენებს. თუმცა, ეს უკანასკნელი პუნქტი შეიძლება მუშაობის პროცესში შეიცვალოს".

"კლიპი, რომლის რეჟისორიც იონას აკერლუნდი გახლავთ, ამერიკულ კულტურასა და მოსალოდნელ ომს პანორამული რაკურსით გვთავაზობს. მთავარი მოქმედი პირი კი ქალი სუპერ-გმირია, რომლის როლსაც მადონა ასრულებს", - დასძენს როზენბერგი.

American Dream-ის ვიდეო მოდის ჩვენებით იწყება. მანეკენებს სამხედრო ტანსაცმელი აცვიათ, შემდეგ სიტუაცია ირევა, სცენაზე მადონა ადის, ბომბით ხელში... ამ და სხვა ვიზუალური ეფექტების საშუალებით, მომღერალი ანტი-საომარ განწყობას მაყურებელს იოლად გადასცემს. როზენბერგიც ადასტურებს: "მართალია, კლიპი ბუშის გაკრიტიკებას არ ისახავს მიზნად, მაგრამ ცხადია, მადონა შეძრწუნებულია ომის საფრთხით".

American Dream გახლავთ პირველი ჩანაწერი მადონას ალბომისა American Life, რომელიც აპრილში გამოვა. ანტი-საომარი კლიპი კი დღის შუქს მარტში იხილავს.

ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ ეს ბოლო წამოწყება მადონას წინა პროვოკაციული გამოსვლებიდან ყველაზე კეთიშობილურია – ის ომისა და ძალადობის წინააღმდეგ იმაღლებს ხმას. 1989 წელს კი, სიმღერაში Like a Prayer მადონა ჯვრებს წვავდა... მაშინ ამ რელიგიური სცენების გამო "პეპსის" ხელმძღვანელები იძულებული გახდნენ, მომღერლისთვის კომპანიის სახის "თანამდებობა" ჩამოერთმიათ. 1990 წელს, MTV-მ, საშინლად ეროტიკული შინაარსის გამო, უარი თქვა მადონას მორიგი პროვოკაციული კლიპის Justify My Love-ის გაშვებაზე, ორი წლის შემდეგ კი, თავისი მორალური მოთხოვნები ოდნავ შეარბილა და მადონას "ეროტიკა" მხოლოდ დილის ეთერში გაუშვა – ისევ და ისევ, მწვავე სექსუალური კონტენტის გამო. პრეცედენტი განმეორდა 2001 წელსაც. მაშინ არხებმა VH1-მა და MTV-მ მადონას ძალადობით აღსავსე მორიგი კლიპი What it Feels Like For a Girl დაიწუნეს.




დაზღვეულია ბრიტანეთში
მშენებარე სახლი პეტრიაშვილის ქუჩაზე

არაყიშვილის ქ. №14 ტელ: 25 34 34 91 25 34 91 25 33

- ექსტერიერზე მაღალი ხარისხის მეტალო-პლასტიკის კარ-ფანჯარა ორმაგი შემინვით და ალუმინის დამცავებით
- ტიხრები ამოყვანილი აგურით თქვენს მიერ შერჩეული გეგმარების მიხედვით
- გათბობის ინდივიდუალური სისტემა
- კედლების მაღალი ხარისხის ლესვა გაჯით
- იატაკი მოჭიმული
- ჩართული კომუნიკაციები
- ავტოსადგომი, დისტანციური მართვის კარით
- დაცვის აუდიო და ვიდეო სისტემები

- საერთო მოხმარების ფართის მოვლა-დასუფთავება
- ავტომანქანის რეცხვა
- ტექნიკური მომსახურება
- ნაგვის გატანა

ერთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის, სანიტარული და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს უზრუნველყოფს კომპანია აქსისი

ელ.ფოსტა: axis@axisbuilding.com

აქსისი
AXIS



DERTOUR-ი გთავაზობთ

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიურო გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით, Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, სამთო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწინებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ...

DERTOUR

მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge



სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგ პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 3 აპრილი.

MBA
მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

MSc
საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი
$5950
ხანგრძლივობა 1წ.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულება 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულება £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებსაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიღების განყოფილებაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნინო მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67



ფაუერლინ-ქლა

სრულიად ახალი სიტყვა ბუნებრივი საკვები დანამატების წარმოებაში!




მსოფლიოში ცნობილმა ინგლისურ-შვეიცარიულმა კომპანია "სვისჰელსმა" მრავალწლიანი მეცნიერული კვლევის საფუძველზე განსაკუთრებული ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნა დიეტური დანამატი, "ფაუერლინ-ქლა", რომელიც სრულიად ბუნებრივი და ჯანსაღი პროდუქტია ...

"ფაუერლინ-ქლა" არ არის ტოქსიკური ...

GPC ... ტელ. 99-87-37.



წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.